



მაცხოვლოვანი

სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის კერიკულური განყოფილება.
ეპისკოპოსის სამ თვეში ერთხელ. 2010 წლის 27 სექტემბერი.

№2



„მიუზარან მაცუალნი ეგე უენნი
და მუნ მნებავს ბონებითა“

წმიდა მეფე მირიანი

**სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი**

0105, თბილისი, მეფე ერეკლე II-ის მოედანი №1
ტელ.: (995 32) 990378, 989540; ფაქსი: 987114



**CATHOLICOS-PATRIARCH
OF ALL GEORGIA**

1, King Erekle II sq. Tbilisi, 0105
Tel.: (995 32) 990378, 989540; Fax: 987114

გულითადად მივესალმებით სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის მიერ დაარსებული ჟურნალის „მაყვლოვანის“, – გამოცემას. მოხარულნი ვიქნებით, თუ მისი შემდგენელნი შეძლებენ, მკითხველს გააცნონ საქართველოში დაცული სიწმინდენი, ბერ-მონაზვნური ცხოვრების სიღრმე, აზრი და მნიშვნელობა, ის, თუ რა არის ჩვენი ეროვნული ფასეულობანი, როგორია ჩვენი ტრადიციები, ისტორია, ეთნოგრაფიული თავისებურებანი, ჩვენი ხალხური სიბრძნე.

ეს ყოველივე დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი საზოგადოების სულიერი და ინტელექტუალური დონის ამაღლებას და მათში ჭეშმარიტების გზით სვლის სურვილის გაღვივებას.

ღმერთმა და წმიდა ნინომ დალოცოს „მაყვლოვანის“ გამომცემელნი და მკითხველნი.

ღმერთმა დალოცოს სრულიად საქართველო.

სრულიად საქართველოს

კათოლიკოს-პატრიარქი

25 მაისი 2010 წელი

	სსამეგრე ქრისტიანულ-გაგაუთუბის სარეგისტრაციო სამსახური	პირდაპირი რეგისტრაციის №.....
	პირდაპირი რეგისტრაციის №.....	პირდაპირი რეგისტრაციის № 2..... 1...09...10... თარიღი
დასახელება: <i>ქუჩნაძე მაყვლოვანი</i>		
რეცენზენტი: <i>მიქაბერიძე ვახუშტი ვაკნითე</i>		

„როცა ვფიქრობთ იმაზე, თუ რა არის ქართული იდეა, მივდივართ დასკვნამდე, რომ ქართველი ერის დანიშნულებაა – იქადაგოს ჭეშმარიტი სარწმუნოება. ხომ არსებობს წინასწარმეტყველება, რომ საქართველო, ქართველი ერი უკანასკნელ უამს გაბრწყინდება. ვიცით სახარებიდან, რომ უკანასკნელ უამს ყველგან დაეცემა რწმენა, ზნეობა, საქართველო კი ღვთის მადლითა და წყალობით გაბრწყინდება და ჯილდოდ ამისა, როგორც დიდი მამა და მოღვაწე ამბობს, მეორედ მოსვლის უამს მთელი ქვეყნიერება განიკითხება „ქართულითა ენითა“. ეს იქნება კიდევ ერთი მადლი, რომელსაც მოგვანიჭებს უფალი. მადლობას ვწირავთ ყოველადწმიდა ღვთისმშობელ დედას, რომელმაც ინება, რომ იყოს პატრონი საქართველოსი...“

უწმიდესი და უნეტარესი ილია II

შინაარსი

„მართლმადიდებლობის გარეშე არ არსებობს ხსნა“ – უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ქადაგებიდან.....4	სწავლანი.....34
სრულიად საქართველოს აღსარება დღესა მას სინანულისასა. – თქმული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის მიერ.....5	კახაბერ კენკიშვილი სქემმონოზონი ბესარიონი (ქიქოძე).....37
„ჩვენი აღსარება და ჩვენი მოხსენიება“ – უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.....8	ღირსი ანატოლი ოპტელი (პოტაპოვი) ნუ გეშინია მწუხარების, გეშინოდეს მომაკვდინებელი მწვალებლობის.....40
აღწერა სუეტისა ცხოველის სასწაულებებისა. შედგენილი უწმიდესისა და უნეტარესის, ყოვლისა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ნიკოლოზ გულაბერისძის მიერ.....9	წმიდა ექვთიმე აღმსარებელი (კერესელიძე) წერილი სულიერ შვილებს.....42
წმიდა დიდმოწამე ქეთევან დედოფალი.....21	მარიამ ნიაური იღუმენია დარია ფაღავა.....44
ქეთევან ბეზარაშვილი საქართველოს ღვთისმშობლისადმი წილხვდომილობის იდეა.....24	შარლოტა კვანტალიანი იდიდებოდე მარადისაო.....51
არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე) საკვირაო ქადაგება(2010 წლის 27 ივნისი).....31	ტკბილადმგალობელნი.....54
	მონასტრის ხატწერა.....56
	ეთერი უროტაძე ქართული ნაქარგობა.....57
	ქრონიკა.....60

შენიშვნა

ჟურნალ „მაყვლოვანის“ პირველ ნომერში, ტექნიკური მიზეზებით, გაიპარა რამოდენიმე შეცდომა, რისთვისაც შენდობას ვითხოვთ:


1. გვ.7 ალავერდელი მიტროპოლიტი დავითის გვარი დაიწერა შეცდომით – მახარაძის ნაცვლად წერია სამხარაძე.

2. გვ.24 უნდა ეწეროს – უწმიდესმა იღუმენია ქეთვანის საბოლოო განსასვენებელი მიუთითა სამთავროს ტაძრის საკურთხევლის კედელთან, იღუმენიებისა და მონოზონების სამარხების დასაწყისში.

3. გვ.46 მონოზონ მონიკას გვარის, სირბილაძის, ნაცვლად წერია სისარულიძე.

„მართლმადიდებლობის გარეშე არ არსებობს ხსნა“

(უწმიდესისა და უნეტარისის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ქადაგებიდან)



ყველა ერის წარსულში ჩანს ხალხის ნიჭი, ხასიათი, შესაძლებლობა, იკვეთება მისი ადგილი ამ ქვეყანაზე, საცნაური ხდება მასში ჩადებული ღვთის განგებულება... უფლისაგან ჩვენთვის ნაბოძები უმთავრესი მადლი სიყვარულია. ალბათ ესაა უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ წარსულშიც და ახლაც შინაური თუ გარეშე მტერი არ მოგვეკლებია – ბოროტი ძალა ებრძვის სიყვარულის მატარებელ ერს, რათა ეს ნიჭი დააკარგვინოს, რადგან იცის, მიზნის მიღწევის შემთხვევაში, უფალს განგვაშორებს, ამიტომაც ამ მადლს განსაკუთრებით უნდა გავუფრთხილდეთ.

მთელი ისტორიის მანძილზე საქართველოს ტერიტორია იყო დაუსრულებელი ომების სარბიელი. ამაზე მიუთითებს სისხლითა და ცრემლით ნაწერი საქართ-

ველოს ისტორია და ქართული მისაღმეობაც: „გამარჯვება“ და „მშვიდობა“...

ჩვენი ერის წინაშე არაერთგზის მწვავედ დასმულა არჩევანი ყოფნა – არყოფნას შორის. როგორც კუნძულს ტალღები, ისე მუდმივად გვაღება ირგვლივ ურიცხვი მტერი... ჩვენი წალეკვა უნდოდა სიბნელისა და ურწმუნოების მძვინვარე მორევს... ქართველი ერი ზღაპრული ძალითა და ენერგიით ებრძოდა მუდამ მტერთა ურდოებს... ხალხს სწყუროდა არა მხოლოდ თავის გადარჩენა, არამედ გადარჩენა იმ დიდი მადლისა, რომელიც ქრისტეს წმიდა კვართს, მოციქულთა აქ მობრძანებას და ღვთისმშობლის მიერ ქალწული ნინოსთვის ბოძებულ ვახის ჯვარს შემოჰყვა. ჩვენმა ეროვნულმა სულმა ისე შეიყვარა მხოლოდშობილი ძე ღვთისა, რომ ქართველობა და ქრისტიანობა ერთ მცნებად იქცა. ამიტომაც საუკუნეთა მანძილზე დაუნანებლად ვსწირავდით თავს მართლმადიდებლობის გადასარჩენად...

ვინ მოთვლის რამდენჯერ შებმია მოძალადე მტერს ჩვენი ხალხი. ვინ მოთვლის რამდენი მართალი, სამშობლოს ერთგული დამცველის სისხლით მორწყულა ჩვენი კურთხეული მიწა-წყალი. მტერთან ყოველი შერკინება იყო თავისებური გამოცდა ჩვენი ერისა. ამ ბრძოლებში იწრთობოდა და ყალიბდებოდა ქართული სული.

გასაოცარია, ამდენ წინააღმდეგობაში როგორ შევინარჩუნეთ თვითმყოფადობა, ჩვენი ენა, დამწერლობა, სარწმუნოება, ჩვენი ღრმა და მრავალფეროვანი კულტურა, მითუმეტეს, რომ საქართველოს არ ჰქონდა სასაზღვრო კავშირი თითქმის არცერთ ქრისტიანულ ქვეყანასთან.

უნდა ვიცოდეთ და მუდამ გვახსოვდეს, რომ მართლმადიდებლობაშია ჩვენი ძალისა და სიმტკიცის საიდუმლო. მართლმადიდებლობა ხომ ის სარწმუნოებაა, რომელმაც უცვლელად შეინარჩუნა უფლის მიერ მოციქულთათვის დატოვებული წესები და ტრადიციები. მართლმადიდებლობის გარეშე არ არსებობს ხსნა, რადგან ქრისტეა თავი ეკლესიისა

და ეკლესიაა მისტიური სხეული მისი; და თუ არ ვიქნებით წევრი მისი ეკლესიისა – ნაწილი მისი სხეულისა, წილი არ გვექნება მაცხოვართან... მართლმადიდებელი სარწმუნოება ხერხემალია ჩვენი ეროვნული სხეულისა.

ყოველმა ერმა, რომელსაც აღდგომა და განახლება სურს, გოლგოთაზე თავისი ჯვარი უნდა აიტანოს; მაგრამ ეს გზა მხოლოდ ჯვარცმით როდი მთავრდება, არამედ აღდგომითა და ამადლებით. სწორედ აღდგომისა და ამადლების რწმე-

ნამ მისცა ჩვენს ღვთივკურთხეულ ქვეყანას ძალა ათასგვარი განსაცდელის გაძლებისა და სარწმუნოების სიწმინდით დაცვისა.

არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ჩვენს ეროვნულ ერთობაში, ერისა და ეკლესიის ერთიანობაშია ჩვენი სასოებისა და სიყვარულის წყარო; და რომ მხოლოდ ესაა საწინდარი ჩვენი ნათელი მომავლისა.

„ნათელი ქრისტესი“
წიგნი I, 2003 წ.



სრულიად საქართველოს კლესია და მისი სინანულისა

(1999 წლის 25 დეკემბერი)

დაუსაბამო და დაუსრულებელი, უხილავი და მიუწვდომელი, უძლეველი და მოწყალე, სიყვარული და სასოება, ჩვენი; წმიდაო, წმიდაო, წმიდაო უფალო საბაოთ, შემოქმედო ცათა და ქვეყანისაო, – დიდება შენდა.

ძეო ღვთისაო, უფალო იესო ქრისტე, თანაარსო და თანასწორო მამისაო, სიტყვაო მამისაგან მხოლოდშობილო, ჩვენთვის განკაცებულო, ჯვარცმულო, მკვდრეთით აღდგომილო და ამადლებულო, მეორედ მოსვლისას წყალობით განმკითხველო და შემწყნარებელი მონანულთაო, – დიდება შენდა.

სულო წმიდაო, უფალო, მამისაგან გამომავალო, რომელი ყოველგან ხარ და ყოველსავე ალავსებ მადლითა შენითა, უძლურთა მკურნალო და ნაკლულეგანთა აღმავსებელი, – დიდება შენდა.

ყოვლადწმიდაო სამებაო, ერთარსებაო და განუყოფელი, ერთღვთაებით თაყვანისცემული, არსთაგანმგებელი, – დიდება შენდა.

„შენ გიგალობთ, შენ გაკურთხევთ, შენ გმადლობთ, უფალო და გვედრებით, შენ ღმერთო ჩვენი“.

ყოვლადწმიდაო სამებაო, რომელსა გაქუს ხელმწიფებაჲ ცოდვათა მიტევებისა, შეგივრდებით უხმარნი მონანი და მხევალნი შენნი - სრულიად საქართველო, ყოველნი ქართველნი და აგრეთვე, ჩვენთა წინაპართა სახელით გვედრებით, მოგვანიჭე განცდაჲ ცოდვათა ჩვენთა და არა განკითხვა ძმისა ჩვენისა, წინაშე შენსა მოვიდრეკთ მუხლთა სულისა და ხორცთა ჩვენთასა და აღვიარებთ უსჯულოებათა ჩვენთა და გთხოვთ, მოწყალეობით შეგვიხადე ჩვენ და ჩვენთა წინაპართა მრავალნი ცოდვანი ჩვენნი.

მიუტევე ერსა ჩვენსა პირველი და უმძიმესი ცოდვა ადამისა – ამპარტავნება. ქედმაღალნი ვიყავით და ვართ, ვითარცა ცარიელნი თავთავნი პურისანი და მარად ვივიწყებთ სწავლებასა ბრძენისა სოლომონისა:

„ამპარტავანთა შემუსრავს ღმერთი, ხოლო მდაბალთა მისცემს მადლსა“ (იგავნი 29,23). „დაღუპვას წინ უსწრებს ამპარტავნება, დაცემას – ქედმადლობა“ (იგავნი, 16,18).

უფალო, განგვეკურნე ჩვენ ამ სენისაგან და შეგვიწყალებ ჩვენ.

უფალო, შეგვინდე და გვაპატიე შენგან განდგომა და ურწმუნოება, ტადრებისა და მონასტრების ნგრევა, ეკლესიის შეურაცხყოფა, მართლმადიდებელი სარწმუნოების უარყოფა, შეგვინდე უფალო სასულიერო პირთა და ბერ-მონაზონთა დევნა და დამცირება.

გვაპატიე, ღმერთო, სამშობლოს დალატი და ორგულება, კაცთა კვლა, ძმათა სისხლის ღვრა, დედათა მიერ ჩვილთა მუცლადმოწყვეტა.

დიდად გცოდეთ, უფალო, მრუშებით, მეუღლისა და ოჯახის დალატით, მეძაობით.

ვცოდეთ, უფალო, მშობლების მიმართ უპატივცემულობით, შეურა-



ცხყოფითა და გულგრილობით და დავივიწყეთ გაფრთხილება ესე შენი: „წყეულიმც იყოს დედ-მამის შემაგინებელი“ (მეორე სჯული 27,16), – როგორც ბრძანებს მეფე სოლომონი.

ვცოდეთ უფროსების დამცირებით, განკითხვით, გარდაცვლილთა ულოცველობით, მათთა ნაშრომთა და ნაღვაწთა დაუცველობით და დაუფასებლობით.

ვცოდეთ არაწმიდა ფიქრით, ცილისწამებით, შურით, მეგობართა მიმართ დალატით, შფოთით, მრისხანებით, შურისძიებით, სხვისი ქონების მიტაცებით, სიხარბით, ქურდობით, ძალადობით, სიმდიდრის სიყვარულით და მასზე იმედის დამყარებით; შეგვინდე და გვაპატიე, უფალო: ღოთობა, ნარკომანია, მტრობა და ღვარძლი, სხვისი ნაკლისა და ცოდვების განკითხვა, ეგოიზმი, გემთმოყვარება, პატივმოყვარეობა, ქონებისა და ფულის უაზროდ ფლანგვა, მომხვეჭელობა, გაჭირვებულთა დაუსმარებლობა, პირადი განდიდების სურვილი.

ღმერთო მოწყალებო, ვცოდეთ უსაქმურობით, დაზარებით, უიმედობით, აღსარებისა და ზიარების გარეშე ცხოვრებით, მკითხავთა დაჯერებით, ოთხშაბათ-პარასკევს და სხვათა მარხვათა დარღვევით, შაბათ-კვირას და დღესასწაულებზე წირვაზე დაუსწრებლობით, თვითმკვლელობაზე ფიქრით,

შვილების, ახლობლებისა და სხვა ადამიანების წყევლით, ჭეშმარიტი რწმენისა და სულიერების გარეშე შვილთა აღზრდით, არაეკლესიური, ამოცნობით და მრავალი სხვა ცოდვით.

ჩვენცა უფალო, შენთა მდაბალთა მსახურთა – სასულიერო პირთა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა შეგვინდევ უღირსად მსახურება შენი, შეგვეწიე, შეგვიწყალებ და გვაცხოვნენ ჩვენ.

ჰოი, უფალო, მუხლმოდრეკილნი გვედრებით ჩვენთა წინაპართა, სრულიად საქართველოსა და ყოველთა ქართველთა სახელით, მკვიდრთა საქართველოდსათა და სამშობლოს საზღვრებს გარეთ მყოფთა ჩვენთა თანამემამულეთა სახელით, და შეგთხოვთ, მოიხილეთ ჩვენ ზედა დიდითა წყალობითა შენითა და მრავლითა მოწყალებითა შენითა აღბოცენ უსჯულოებანი და ცოდვანი ჩვენნი. გვასხურეთ ჩვენ უსუპითა და განვსპეტაკნეთ. შეახეთ ყოვლადწმიდა ხელი შენი სულსა და ხორცსა, გულსა და გონებასა ჩვენსა და განგვწმიდენ ჩვენ.

მწყემსო კეთილო, რომელმან გვზარდეთ, და გვწურონეთ წელნი ათასეულნი და მრავალთა განსაცდელთაგან საკვირველად გვიხსენ, აწცა მოგვხედეთ მოწყალებითა.

შეჭირვებულნი გვედრებით, აღადგინეთ და განამტკიცეთ საზღვარნი საქართველოდსანი, დალოცეთ მამული ჩვენი და ყოველი მკვიდრი მიწისა ამის, მტერნი და მეტროლნი ჩვენნი მოყვარედ მოაქციენ, მოგვეცეთ, მოწყალო, შეუორგულელებელი სიყვარული ღვთისა და მოყვასისა, მშვიდობა, სიბრძნე, თავმდაბლობა, სიხარული, გული გონიერი, უნარი ცოდვათა მიტეგებისა, უნარი კეთილისა და ბოროტის გარჩევისა, შთაგვაცვი სამოსელი სპეტაკი ნათლისღებისა და შეგვაერთეთ სიყვარულითა, რათა ვიყოთ ერთ სამწყესო და შენ იყო მწყემსი ჩვენი კეთილი.



უწმიდესის და უნეტარესის ილია II-ის ხელნაწერი 90-ე ფსალმუნი.

ცოდვათა ჩვენთა ზღვა აღძრულ არს და დანთქმასა გვიქადის, მაგრამ შენზედა მონდობილნი, უფალო, ვსასოებთ, რათა აღსრულდეს ნათქვამი შენი: „მეწამულიც რომ იყვეს თქვენი ცოდვები, თოვლივით განვასპეტაკო; ჭიაფერივით წითელიც რომ იყოს, მატყლის ფთილასავით ვაქციო. ნისლივით წარვხოცავ უსჯულოებათა შენთა და ღრუბელივით ცოდვათა შენთა; დამიბრუნდი, რადგან მე გამოვიყიდე შენ (ისაია 1,18; 44,22)“.

მკვიდრნო ყოვლისა საქართველოდსა და ყოველნო ქართველნო, „განდებულ არს კარი სინანულისა, შევიდეთ მას შინა, ძმანო შევიწინათ შეცოდებანი ჩვენნი, რათა მიერ გამოვიდეთ წმიდანი ხორცითა და განათლებულნი სულითა“ (იოანე მინჩხი).

უფალო ჩვენო, გულთა მხილველო ისმინეთ და შეიწირეთ აღსარება ჩვენი მეოხებითა ყოვლადწმიდისა ღვთისა ჩვენისა ღვთისმშობელისა და ყოველთა წმიდათა შენთათა. გვაცხოვნენ ჩვენ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. ამინ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
ილია II

„ჩვენი აღსარება და ჩვენი მოხსენიება“

„უწმიდესი და უნებარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II“

2010 წლის 28 აგვისტოს, ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულზე, უწმიდესმა და უნებარესმა ილია II-მ სრულიად საქართველოს მისცა ლოცვა-კურთხევა, მიცვალებულ მშობელთა და წინაპართა სულის მოსახსენებლის შედგენისა. უწმიდესის განმარტებით, ეს მოსახსენებელი მიცვალებულ წინაპართა მხოლოდ ჩამონათვალს კი არ უნდა წარმოადგენდეს, არამედ – თვითუელმა ჩვენთაგანმა, შეძლებისდაგვარად, სულიერად უნდა განიწმიდოს თავი აღსარებით, რითაც შემდეგ, უწმიდესისა და უნებარესის ლოცვით, „უფრო მიუვა უფალს ჩვენი ვედრება“.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის განმარტებით, ეს იქნება ზეცად აღვლენილი ლოცვა, ჩვენს პირველ წინაპრებთან, ადამთან და ევასთან აღსული, „რადგან ყველა მათთან მივდივართ“.

უწმიდესმა ქართველ ერს მისცა დავალება, მიცვალებულთა სულის მოსახსენიებელთან ერთად საკუთარი აღსარებაც უნდა დაწეროს, რომელიც ყველამ უნდა შეასრულოს. ეს იქნება „ჩვენი სულიერი თხოვნა“ და „ჩვენი აღსარებაც და ჩვენი მოხსენიებაც“.

„...ყოველმა ჩვენგანმა უფალს უნდა შეავედროს თავისი მშობლები, მამა-პაპანი და წინაპრები. ეს უნდა იყოს ლოცვა უფლისადმი. უნდა დავიწყოთ ასე: სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა! და ჩვენგან უნდა წავიდეთ მაღლა, წარსულისკენ – ე. ი. ჯერ შევავედროთ მშობლები, შემდეგ მამა-პაპანი და მერე თუ ვიცით, იმათი წინაპრები და ა.შ. ამგვარად ჩვენი ლოცვა უნდა მივიდეს ადამთან და ევასთან, რადგან ყველანი მათგან მოვდივართ. ეს იქნება დიდი ძალისა და მადლის მომცემი ჩვენი ერისა და თვითოეული ჩვენგანისთვის. ვისაც ესერხება, შეიძლება დაწეროს ლექსად, შეიძლება დაწეროს უბრალოდ, თქვენი სიტყვებით, დაახლოებით ასე: „უფალო, წმიდა სამება, გვედრებით, შეიწყალეთ ჩემი მშობლები, ჩემი წინაპრები...“ და უნდა ეცადოთ, რომ ვისი სახელები და გვარებიც გახსოვთ, ახსენოთ, რომ იცოდეთ, როგორი ადამიანია და როდის ცხოვრობდა.“

ამ კურთხევის შესასრულებლად თქვენ გეძლევათ ორი კვირა. შეიძლება გამოგივიდეთ 5 ფურცლამდე. ჩვენ შევაგროვებთ თქვენს მოსახსენებლებს და ეს იქნება რაღაც უნიკალური, ერთი დიდი მოსახსენებელი. ჯერ მსოფლიოში არ გაკეთებულა სხვა ამგვარი. უფალმა შთაგვაგონა, რომ ჩვენ ვაღდებულნი ვართ, როგორც დავითიანნი, – ღვთისაგან შეყვარებულნი. მუდამ გვახსოვდეს, რომ უფალი გვწყალობს, წყალობს ჩვენს სამშობლოს ისევე, როგორც სწყალობდა დავით წინასწარმეტყველს. შეცდომებიც ჰქონდა დავით მეფესალმუნეს, მაგრამ უფალს მაინც უყვარდა იგი და ანიჭებდა დიდ მადლს, რადგან ხედავდა მის დაბადებასაც და ბოლო ჟამსაც ისე, როგორც ადამიანი უყურებს აწმყოს.

მაშასადამე, დაიმახსოვრეთ, რომ საქართველოში ყველას ეძლევა ლოცვა-კურთხევა, – შევავედროთ უფალს ჩვენი მშობლები და წინაპრები. ამ მოსახსენებელ ლოცვაში უნდა გამოვთქვათ ჩვენი სიყვარული, უპირველეს ყოვ-

ლისა, უფლისადმი, წმიდა სამებისადმი; უნდა დაეწეროთ იმის შესახებ, თუ როგორ გვეხმარება ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ჩვენ პირადად და ეხმარებოდა საქართველოს. ვიმეორებ, ეს ლოცვა უნდა ავიდეს ადამთან და ევასთან. ამით თქვენ მიიღებთ დიდ მადლს და დიდ წყალობას ღვთისაგან.

საერთოდ, უნდა იცოდეთ, რომ არსებობს სულთა კავშირი წასულებსა და ამქვეყნად მცხოვრებთა შორის. როცა ადამიანი გარდაცვალების პირასაა, ხშირად მას ეგებებიან მისი წინაპრები, მისი მშობლები და შესაძლოა – წმინდანებიც კი. ეს არ არის ჰალუცინაცია, ეს არის სინამდვილე, მას აქვს ხილვა. სულები ხვდებიან ერთმანეთს. ძალიან ძნელია განშორება სულისა და ხორცისა. ადამიანი დაბადებულია უკვდავად და ცოდვამ მოიტანა სიკვდილი. ასე რომ, იმედი მაქვს, ორ კვირაში თქვენ მოასწრებთ ამის დაწერას. გთხოვთ, ერთი პირი მე გამომიგზავნეთ და ასლი თქვენთვის დაიტოვეთ. ეს მოსახსენებელი ლოცვა ყოველდღე თუ არა, კვირაში სამჯერ მაინც წაიკითხეთ. ჩვენც ვეცდებით მოვისხენოთ თქვენი წინაპრები.

დალოცვილი და გახარებული იყავით. ღმერთმა დალოცოს ჩვენი წინაპრები! მათი ლოცვით, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ლოცვით, ღმერთმა დაგვიცვას და დაგვიფაროს ხილული და უხილავი მტრებისაგან! ღმერთმა დალოცოს ჩვენი ახალგაზრდობა, ღმერთმა დალოცოს უცხოეთში წასული ქართველობა და მშვიდობით დააბრუნოს შინ. ღმერთმა დალოცოს ჩვენი მეცნიერები, ჩვენი ხელისუფლება, ჩვენი პრეზიდენტი, ჩვენი მთავრობა. ღმერთმა დალოცოს ჩვენი ჯარისკაცები, რომლებიც იმყოფებიან როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში და ღმერთმა გაგვაერთიანოს ყველანი! ღმერთმა მოგვცეს ძალა და მადლი! უფალმა ყველაზე დიდი ჯილდო მოგვცა ჩვენ, ქართველებს – სიყვარული და ჩვენ ვმადლობთ უფალს ამ დიდი წყალობისათვის“.

სუეტის სიონის აღმშენებლის 1000 წლისთავისათვის

აღწერა სუეტისა სხოველის სასწაულებისა – შედგანილი უნეიდისისა და უნეზარისის, ყოველისა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ნიკოლოზ გულაბერიძის მიერ

ნიკოლოზ I გულაბერიძე, საქართველოს კათოლიკოსი XII ს. მეორე ნახევარში, მოღვაწეობდა გიორგი III-ის დროს. იგი იყო მწერალი და ფილოსოფოსი. დაახლოებით 1178 წელს იგი კათოლიკოსობიდან გადაამდგარა და, როგორც ჩანს, იერუსალიმში წასულა. 1184 წელს ნიკოლოზ I თამარ მეფემ იერუსალიმიდან მოიწვია საქართველოში საეკლესიო საქმეების მოსაგვარებლად. იგი, თამარის თხოვნით, ანტონ ქუთათელაძესთან ერთად ხელმძღვანელობდა საეკლესიო კრებას, რომელიც მიქაელ მირიანისძის მღვდელმთავრობის მიზანშეწონილობას განიხილავდა.

ნიკოლოზ I არის ავტორი თხზულებისა „საკითხავი სუეტისა ცხოველისა და კუართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკლესიისა“. თხზულებაში აღწერილია საუფლო კუართისა და წმიდა ნინოს მიერ ქართველთა გაქრისტიანების ამბავი. ბოლოში დართული აქვს შესხმა „გისხაროდენ“. წინამდებარე გამოცემა შესრულებულია გობრონ საბინინის „საქართველოს სამოთხის“ მიხედვით.

აბიათარ მღვდელმა მოგვითხრო ის, რაც იცოდა წიგნებიდან და მამამისის დედისაგან, ხოლო ამ უკანასკნელს კი თავისი მამისაგან ჰქონდა გაგონილი. აბიათარს სურდა ეს ამბავი, როგორც უეჭველი და ჭეშმარიტად აღსრულებული ხმამაღლა განეცხადებინა.

როდესაც იერუსალიმში მეფობდა ჰეროდე, ხმა გავრცელდა, რომ იერუსალიმი სპარსელებმა დაიპყრეს. მცხეთელი ებრაელები ძალიან შეწუხდნენ ამის გამო, იწყეს გლოვა და ტირილი. მცირე ხნის შემდეგ ხმა გავრცელდა, რაც უკვე მათთვის დიდად სანუგეშო იყო: სპარსელებს კი არ დაეპყროთ იერუსალიმი, არამედ მოგვი მეფეები მოსულიყვნენ სამეფო ძღვენით. მათ თან ჰქონდათ ოქრო, გუნდრუკი და მური და ეძებდნენ ყრმას, რომელიც იყო ძე ღვთისა. მათ მცირე გამოქვაბულში იპოვეს ქალი, ახალშობილ ყრმასთან ერთად, მიეახლნენ შიშით და ძრწოლით, თაყვანი სცეს და სამეფო ძღვენი შესწირეს. ეს ცნობილი გახდა მცხეთელი ებრაელებისთვის. ისინი მეტად გაახარა ამ ამბავმა.

ამის შემდეგ გავიდა ოცდაათი წელი.

მცხეთელმა ებრაელმა, ელიოზმა, იერუსალიმიდან მიიღო წერილი, რომელშიც ეწერა: „ის, ვისაც სპარსთა მეფეებმა ძღვენი მიართვეს, უკვე სრულყოფილების ასაკშია და თავს ღმერთის ძედ მოიხსენებს. იგი ახალ

რჯულს ქადაგებს. ჩვენ ყველა, მოსეს რჯულის მიმდევრები, შევიკრიბეთ, რომ მოსეს მცნება აღვასრულოთ და ჩვენი რჯულის მიმდევართაგან არავის მივცეთ საშუალება, რომ ახალ რჯულზე მოიქცეს. ამიტომ შური უნდა ვიძიოთ მისი სიკვდილით“.

მოსუცი ელიოზი წასასვლელად მოემზადა. ელიოზის დედა წარმოშობით ელია მამთავრის ტომიდან იყო. ელიოზს ჰყავდა ერთი და, სახელად სიდონია. წასვლის წინ ელიოზს ევედრებოდა მისი დედა, რომ არ გაეზიარებინა ებრაელების ბოროტი განზრახვა და არ დაედგარა ძე ღვთისას სისხლი. ელიოზის დედას სწამდა, რომ ის ნამდვილად ძე ღვთისა იყო, როგორც დიდმა წინასწარმეტყველებმა იწინასწარმეტყველეს.

წავიდნენ ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი და დაესწრნენ უფლის ჯვარცმას. როდესაც უფალს სამსჭვალით აკრავდნენ ჯვარზე, ეს ხმა მოესმა მცხეთაში ელიოზის დედას. მან საშინელი ხმით შეჰყვირა: „მშვიდობით, ისრაელთა მეუფებო, რადგან თქვენ, უბადრუკო და წარწყმედილნო, უგუნურებით მოკალით უფალი და მაცხოვარი ყოველთა და თქვენ გახდით თქვენი შემოქმედის ბოროტი მკვლელები. ვაი, თქვენ, უბადრუკო, უდიდესი გლოვის ღირსნი ხართ თქვენ. უპირველესად კი, ვაი მე, რადგან საშინელი მწუხარე-

ბის მსმენელი შეიქმნა ჩემი ყური” – ეს თქვა ქალმა ღრმა მწუხარებით და გლოვით და მაშინვე განუტევა სული.

უღმერთო ურიებმა წილი ყარეს უფლის კვართისათვის უფლის ჯვარცმასთან. ღვთის განგებით, კვართი წილად ხვდა მცხეთელ ელიოზს, არა იმიტომ, რომ ის ამის ღირსი იყო. არამედ, ასეთი იყო ღვთის ნება. ღმერთი, რომელიც ჩვენი ცხონებისთვის ქვეყნად მოვიდა, თავისი განგებით წინასწარვე განაგებდა ყველაფერს. რადგან კვართი ყოველად წმიდა ღვთისმშობლის მოქსოვილი იყო, საქართველო კი – მისი წილხვედრი, ამიტომ გახდა კედარი იგი უდიდესი მადლის ღირსი, ამისთვის წარმოავლინა ღმერთმა თავის მადლი საქართველოზე, რათა დაწინდულიყო იგი ღვთის მადლით და წმინდა კვართით, რომელიც ფარავდა ღვთის სხეულს. ნამდვილად სამეფო არის შენი განზრახვა, მეუფეო და ღმერთო ყოველთაო, დიდება შენს სიკეთეს. მაშინ, როდესაც ამქვეყნიური მეფეები მიმოდინან, რომლებიც წინასწარვე გზავნიან ძალებს ქვეყნის დასაპყრობად, ხოლო ეშმაკები შერისხულნი არიან ღვთისაგან, მათ კვართი ზარად და რისხვად დაატყდათ თავს და შეაძრწუნა წყევლნი და უბადრუკნი. ხოლო, როდესაც ღვთის სიტყვა, რომელიც არის სახარების განმარტება, იქადაგა მოციქულმა, ეშმაკები სრულიად გაიფანტნენ.

წმინდა კვართი ელიოზმა მოიტანა მცხეთაში. მას წინ მიეგება მისი და – სიდონია და მოეხვია თავის ძმას. როგორც კი დაინახა სასურველთა შორის ყველაზე სასურველი, კვართი მაცხოვრისა, უდიდესი სიყვარულით ჩაიკრა გულში და სული განუტევა. მის სიკვდილს სამი მიზეზი ჰქონდა: პირველი მიზეზი იყო უფლის ჯვარცმისა და სიკვდილის ამბავი, მეორე – გაცნობიერება იმისა, რომ მისი ძმა ეზიარა უფლის სისხლს, ხოლო მესამე – ხელახლა განიცადა ღვთის სიკვდილი, რომელიც უფლის ჯვარცმასა და ებრაელების უღირს საქციელს უკავშირდებოდა.

ეს საკვირველი ამბავი სწრაფად გავრცელდა ქალაქში და მეფის ყურამდეც მიაღწია. ამ დროს მეფობდა ადერკი მეფე. როდესაც მან იხილა საკვირველი მშვენიერება კვართისა, განიზრახა მისი წაღება, რათა თვითონ შემოსილიყო უფლის სამოსელით. მაგრამ ვერანაირი ძალით ვერ შეძლო წმინდა კვართის სიდონიას მკერდიდან მოცილება. სიდონია კვართთან ერთად დაკრძალეს. მაშინ სარწმუნო შეიქმნა წინასწარმეტყველება: არაწმინდათაგანი ვერავინ ჩაიგდებს ხელში კვართს.

მრავალი წლის შემდეგ ეს ამბავი გაიგო ადერკი მეფის შთამომავალმა, არმაზელ მეფემ და ებრაელებთან ერთად ძებნა დაუწყო კვართს, მაგრამ პოვნა ვერ შეძლო, რადგან მაშინ წმინდა კვართის სამყოფელი დაფარული იყო. ახლა კი ნათლის სვეტი სამარადისოდ ანთია ზედ თავისი ბრწყინვალეობით.

ერთხელ წმინდა ნინომ ძილში იხილა ჩვე-



მირონმდინარე ნათლის სვეტი მონასტრის ძველი ხატი

ნება: მასთან მოფრინდნენ შავი ზეციური ფრინველები, შევიდნენ მდინარეში, განიბანნენ და გამოვიდნენ იქიდან სრულიად განსპეტაკებულები, გათეთრებულები. ეს ჩვენება მოასწავებდა ქართველი ერის ცოდვებისაგან განწმენდას და ნათლისღების მადლით განსპეტაკებას. მცირე ხნის შემდეგ უფალმა ეს საქმით გამოაჩინა, როდესაც ქართველი ერი წმინდა ნინოს მიერ გაქრისტიანდა და სულიწმინდის მადლით მოინათლა.

წმინდა ნინო ვაზის ჯვრით სასწაულებს ახდენდა, სნეულებს კურნავდა. ღმერთი წმინდა ნინოს მეშვეობით ღვთისმადლად გამოაჩენდა ქრისტიანული სარწმუნოების ჭეშმარიტებას.

წმინდა ნინოს შვიდი მოწაფე ჰყავდა. მათ შორის იყვნენ სიდონია – აბიათარის ასული და, აგრეთვე სამოთხის მცველი ცოლ-ქმარი. აბიათარ მღვდელი, პავლე მოციქულის მსგავსად, უშიშრად და გაბედულად ქადაგებდა. იგი ყველას აცნობდა ქრისტიანული სარწმუნოების ჭეშმარიტებას. ებრაელებმა ქვით ჩაქოლეს აბიათარი მათი მხილებისათვის. ამის გამო მირიან მეფემ განდევნა ისინი. მირიანი იცნობდა ქრისტეს სარწმუნოებას და იმ სასწაულების შესახებაც ჰქონდა გაგონილი, რომლებიც მაცხოვარმა მოახდინა. ამიტომ მირიანი არ აბრკოლებდა წმინდა ნინოს და მისი მოწაფეების მოღვაწეობას. ხოლო ნანა დედოფალი, მირიანის ცოლი,

მეტად გულფიცხელი იყო და შეურაცხყოფდა წმინდა ნინოს ქადაგებას. წმინდა ნინომ სამი წელი გაატარა მაცვლოვანში განუწყვეტელ მარხვასა და ღოცვაში. მისი, როგორც სასწაულთმოქმედის სახელი, ცნობილი გახდა ხალხისათვის. მასთან მოყავდათ სხვადასხვა სენით დაავადებული ხალხი განსაკურნებლად. ამ ქალაქში იყო ერთი მძიმე სენით შეპყრობილი ყრმა, რომელსაც დედა მკურნალებთან დაატარებდა. მკურნალები მისი გამოჯანმრთელების იმედს არ იძლეოდნენ. ამ ყრმის დედა წარმართი იყო. მას არც ქრისტიანული სარწმუნოების სწამდა და არც წმინდა ნინოს



სამთავროს ტაძრის კანკელის წმიდა ნინოს ხატი. შესრულებულია 1800-იან წლებში მაკარ მინინის მიერ

სასწაულებრივი უნარის, მაგრამ, როდესაც შვილის განკურნების ყოველგვარი იმედი გადაეწურა, მივიდა წმინდა ნინოსთან, დავარდა მის წინაშე და ტირილით სთხოვდა თავისი ძის განკურნებას.

– ჰოი, დედაკაცო, მე არ შემიძლია განკურნო იგი, როგორც აღამიანმა, ეს მხოლოდ ჩემს ღმერთს შეუძლია, – უთხრა წმინდა ნინომ მას.

ამის შემდეგ მან დააწვინა სნეული ყრმა,

რომელიც მიცვალებულივით უძლური იყო, თვითონ კი ღოცვა დაიწყო და ცრემლით ევედრებოდა ღმერთს მის განკურნებას. ღმერთის შეწევნით წმინდა ნინომ განკურნა სნეული და გადასცა დედამისს. ხოლო სნეულის დედამ აღიარა ქრისტე ჭეშმარიტ ღმერთად და თქვა:

– არ არის სხვა ღმერთი, გარდა იმ ღმერთისა, რომელსაც წმინდა ნინო ქადაგებს.

იმ დღიდან ეს ქალი დაემოწაფა წმინდა ნინოს.

სწორედ ამ დროს დასნეულდა ნანა დედოფალიც ძლიერი და სასტიკი სენით. მისი განკურნება, დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერავინ შეძლო. ნანა დედოფალს შეახსენეს, რომ წმინდა ნინომ უკურნებელი სენით დაავადებული მრავალი აღამიანი განკურნა და შესაძლოა მისი განკურნებაც მოეხერხებინა. ნანა დედოფალმა ბრძანა წმინდა ნინოს სასახლეში მოყვანა. წავიდნენ მისი მსახურები და ნახეს იგი მაცვლოვანში სწორედ იმ დროს, როცა ღოცულობდა. როდესაც წმინდა ნინოს აუწყეს დედოფლის ბრძანება, მან თქვა:

– ჩემთვის არ შეიძლება აქედან გასვლა, თუ ღმერთის ნებაა, დედოფალი თვითონ მოვა აქ და უფლის ნებით განიკურნება.

მსახურებმა მოიყვანეს ნანა დედოფალი წმინდა ნინოსთან. დედოფალს მოჰყვა მისი ძე – რევი და უამრავი მხლებელი. წმინდა ნინო გულმხურვალედ ღოცულობდა. აიღო ჯვარი, შეახო მის თავს, ფეხებს და მხრებს. შემდეგ მთლიანად გადასახა ჯვარი და მეყსეულად განკურნა იგი. ნანა დედოფალმა ირწმუნა ქრისტე ჭეშმარიტ ღმერთად. მასთან ერთად, მისმა მხლებლებმაც და ძემაც აღიდეს ჭეშმარიტი ღმერთი.

ამის შემდეგ ნანა დედოფალი დაუმეგობრდა წმინდა ნინოს. იგი ცდილობდა ყველაფერი გაეგო ქრისტეს სჯულის შესახებ. დედოფალმა შეიცნო ჭეშმარიტი ღმერთი და შეიქმნა მორწმუნე. მეფემ ჰკითხა დედოფალს, თუ როგორ განიკურნა იგი ასე სწრაფად. დედოფალმა და მისმა მხლებლებმა მოუთხრეს მეფეს იმ სასწაულის შესახებ, რომელიც წმინდა ნინომ მოახდინა. ამ ამბავმა მეფე გააკვირვა და დაიწყო ქრისტეს სჯულის შესწავლა. იგი ეკითხებოდა აბიათარ მღვდელს ძველი და ახალი აღთქმის წიგნების შესახებ, რომელიც მირიან მეფეს ჰქონდა ნებროთისაგან⁴. ამ წიგნებში მოთხრობილი იყო იმ გოდოლის ამბავი, რომლის შენებაც დაიწვეს ბაბილონელებმა მსოფლიო წარღვნის შემდეგ. აქვე ეწერა, რომ ნებროთს ხმა ესმა ზეციდან: „მე ვარ მოციქული, ღვთის მიერ დადგინებული, გადი მაგ ქალაქიდან, რადგან ღმერთი განსაცდელს მოუვლენს და დაფარავს მას. ხოლო უკანასკნელ ჟამს მოვა ზეციური მეუფე, რომლის ნახვასაც შენ ნატრობ და, რომელსაც დაამცირებს და შეურაცხყოფას მიაყენებს საძაგელი ერი. ზეციური მეუფე გიხილავს შენ გასაჭირში და დაგიხსნის.“

მირიან მეფე მიხვდა, რომ ძველი აღთქმის წიგნები ახალი სჯულის ქადაგების დამოწმება იყო და სურვილი გაუჩნდა უფრო ახლოს გასცნობოდა ქრისტეს სჯულს. ხოლო ადამიანის მტერი, ანუ ეშმაკი, ცდილობდა მის შეფერხებას. ამიტომ მეფემ მერყეობასა და ორგულებაში გაატარა ერთი წელი.

წმინდა ნინო დაუცხრომლად უქადაგებდა ერს ქრისტეს სარწმუნოებას. იგი არ ამხელდა თავის ვინაობას, უბრალო ტყვე ქალს უწოდებდა საკუთარ თავს. ამ დროს ცხოვრობდა ერთი მთავარი, მეფის ნათესავი, სახელით – ხუარა. იგი იყო მოგვი ხელოვანი. მისი სული შეიპყრო უკეთურმა ბოროტმა. ამის გამო მისი ტანჯვა განუზომელი იყო. მეფე და დედოფალი დიდად წუხდნენ ამ მთავრის მდგომარეობის გამო. ისინი ევედრებოდნენ წმინდა ნინოს მის განკურნებას. მირიან მეფე, ჯერ ისევ ურწმუნოებით შეპყრობილი, ეკითხებოდა წმინდა ნინოს:

– მითხარი სიმართლე, ნინო, რომელი ღმერთის ძალით ახდენ სასწაულებს და კურნავ სნეულებს? შენ ალბათ არმაზის ასული ხარ, ანდა – ზადენის შვილი და მათ მიერ მოგენიჭა სასწაულთმოქმედების ძალი? მე უკეთეს რჩევას მოგცემ შენ და, თუ დამიჯერებ, დიდებას და პატივს დაუუნჯებ შენს თავს: აი, დიდი და საკვირველი ღმერთები, მზის მომფენნი და წვიმის უშურველად მომცემელნი, ქვეყნის ნაყოფით გამომზრდელნი – არმაზი და ზადენი – რომელთათვის არაფერია დაფარული, ასევე ჩვენი წინაპრების ღმერთები, გაცი და გაიმ. თუ მათი ვედრებით კურნავ შენ ამ მთავარს, გაგამდიდრებ ყველაზე მეტად და დაგაწესებ არმაზის დიდებული კერპის მსახურად.

წმინდა ნინომ პასუხად მიუგო მეფეს:

– სახელითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა და ვედრებითა ყოვლადწმინდისა დედისა მისისათა და ყოველთა წმიდათა მისთათა, ღმერთმან ყოვლისა დაბადებულისა, ცისა და ქვეყანისა, ხილულისა და არახილულისა შემოქმედმან და დამბადემელმან მოგივლინა შენ მრავალი წყალობა, როგორც ძლიერი ცეცხლისაგან მადლის ნაპერწკალი, რათა შეიცნო სიმაღლე ცისა და ნათელი მზისა, ზღვის სიღრმე და სივრცე ქვეყნიერებისა. ეს არის იესო ქრისტე, რომლის სჯულსაც მე ვქადაგებ, რომელიც უდედოდ იშვა მამის ღვთაებისაგან, რომელიც გარდამოხდა ქვეყნად და ხორცნი შეისხნა, რათა ჩვენც შევიმოსოთ ღვთაებრივი ნათლით, ვინაიდან დამონებულნი ვიყავით ეშმაკს. ამის გარეშე ვერ გავთავისუფლდებოდით ბოროტის ტყვეობისგან. როგორც სამოელი დაეცა ბოროტი ამპარტავნებით, ისე ჩვენც ამპარტავნებით და ღმერთის განდგომით დაგვიმონა ეშმაკმა. ამიტომ სატანა შეიძლება დაამარცხო სიმაღლით. მაცხოვარი ჩვენი ცხონებისა და გამოსხნისათვის იგვემა, თავს იღვა ტანჯვა უღმერთობისაგან თავისი ნებით, ჯვარს ეცვა

და მოკვდა ჭეშმარიტად კაცობრივი სიკვდილით, შეუხებელი და უვნებელი აღდგა მესამე დღეს და დიდებით ამაღლდა ცაში. იგი კვლავ მოვა ქვეყნად ცოცხალთა და მკვდართა განსაკითხავად, იგი სამარადისოდ განუშორებელია მამის წიაღისაგან და უხილავად სუფევს ჩვენ შორის.

ჰოი, მეფეო, მალე მიეახლები შენ ჭეშმარიტ ღმერთს, რომ შემდეგ ამ სიტკბოების ხმამაღლა მქადაგებელი გახდე. რადგან შენთვის და ამ ქალაქისათვისაც ეს ჭეშმარიტება ჯერ შეუცნობელია. ჰოი, მეფეო, შეუცნობელია შენთვის ამ ღმრთივბრწყინვალე საუნჯის ძალა და საკვირველება. ყოველივეს სიბრძნით განმგებელმა ღმერთმა წინასწარი განგებულებით მიანიჭა ამ ქალაქს თავისი ძის სამოსელი და შენს მეფობას შემოუნახა იგი. ნუ გგონია, მეფეო, რომ ქალღმერთთა ღმერთს – ითრუჯანს, ან შენს ღმერთს – არმაზს, ან გაცის და გაიმს რამე შეუძლიათ. ასეთი ღმერთები ადამიანის ხელით შექმნილი ოქროსი და ვერცხლის ნივთები არიან, რომელთა შორისაც ბოროტი ეშმაკები დამკვიდრებულან და, რომელთაც თავისი თავის შეწევნაც არ ძალუძთ, რადგან, როდესაც ჩემმა ღმერთმა ცეცხლი დაატეხა მათ თავს, ამ უბადრუკებმა საკუთარი თავის დახსნაც კი ვერ მოახერხეს. ნამდვილი საკვირველების მოხდენა მხოლოდ ჭეშმარიტ ღმერთს შეუძლია. მე, უძლური დედაკაცი, ქრისტეს სახელითა და მისი ჯვართან განგკურნავ სნეულს, ისევე, როგორც დედოფალი ნანა განგკურნე მძვინვარე სენისაგან.

მეფე უსიტყვოდ უსმენდა და ვერაფერს ამბობდა, რადგან არ იცოდა, რა პასუხი გაეცა მისთვის. ბოლოს ვედრებით უთხრა წმინდა ნინოს:

– რადგან ჩვენ ვერ შევძელით დიდი და დიდებული საქმეების გაკეთება, ახლა შენ მიატოვე ეს გრძელი თხრობა და განკურნე ეს მთავარი. ჩვენ ძალიან განვიცდით მის დასნეულებას.

მოიყვანეს თავადი და დააწვინეს მაღალი ნაძვების ძირში, პირით აღმოსავლეთით. მეფე, დედოფალი და ხალხი მოუთმენლად ელოდა, თუ რა მოხდებოდა. წმინდა ნინომ ზეცისკენ აღაპყრო ხელები, ტირილით ღოცულობდა და ღმერთს სნეული მთავრის განკურნებას ევედრებოდა. შემდეგ შებრუნდა და მთავარს სამჯერ ათქმევინა:

– განგეშორები, შენ, ეშმაკო, განგეშორები ყველა შენს საცდურს და შეუვრდები ქრისტე ღმერთს.

როგორც კი ეს თქვა, მაშინვე გამოვიდა მისგან ეშმაკის ბოროტი სული და მთავარი გაჯანსაღებული დაუბრუნდა ხალხს. მეფე და დედოფალი სიხარულით აღიდებდნენ ღმერთს და ამბობდნენ:

– ნამდვილად ის ღმერთი არის ჭეშმარიტი, რომელსაც ეს ქალი ქადაგებს, ამგვარი საკვირველების შემძლე სხვა ღმერთი ვერ

იქნებოდა. მისი დიდება იყოს უკუნიითი უკუ-
ნისამდე.

მაგრამ მირიან მეფის გულში კერპებისად-
მი თავყანისცემა საბოლოოდ დათრგუნული
მაინც არ იყო.

ეს მოხდა ზაფხულში. 11 ივლისს, შაბათ
დღეს. მირიან მეფე სანადიროდ წავიდა
მუხრანის მიდამოებში. ამ დროს მას ეშმაკმა
გულში ისევ კერპების სიყვარული გაუღვიძა.
მირიანმა უთხრა თავის ოთხ მსლემელს:

– ნამდვილად არა ვართ ღირსნი ჩვენი
ღმერთების წყალობისა, რომლებსაც ასე გან-
ვუდექით და ჩვენი ნებით გვსურს ვეზიაროთ
ქრისტეს სჯულს. ჩვენ უნდა მივუბრუნდეთ
ჩვენს ღმერთებს, ვამხილოთ ჩემი ცოლიცა და
ნინოც, რათა მათ შეინანონ თავიანთი უგუ-
ნური ცდომილება. ხოლო, თუ ისინი წინააღმ-
დეგობას გამიწევენ, მაშინ დიდ განსაცდელს
შევამთხვევ მათ.

მეფემ მოიარა მუხრანის სანახები და თხ-
ოთის მთაზე ავიდა. ანახდად მზე დაბნელდა,
უკუნი სიბნელე ჩამოწვა. მეფე და მისი მს-
ლებლები ერთმანეთს ასცდნენ.

მარტო დარჩენილი შეძრწუნებული მეფე
ფიქრობდა: „ასეთი რა შევცოდე მე უბადრუკ-
მა და საწყალობელმა, რომ ამგვარი რისხვა
დამატყდა თავს?“

მეფემ საშველად თავის ღმერთებს უხმო,
მათ სთხოვდა შემწეობას, მაგრამ – ამოდ-
ბოლოს კი თქვა:

– ტყუილად ვუხმობ ჩემს ღმერთებს, იქნებ
ჯვარცმულმა იესომ, რომლის სახელითაც
ქადაგებს უცხო დედაკაცი, ნინო, მიხსნას ამ
გასაჭირისგან.

მეფე მირიანი ხელაპყრობილი, ტირილი-
თა და გოდებით ევედრებოდა ქრისტე ღმერ-
თს ხსნას. როდესაც ღოცვა დაამთავრა, მეყ-
სეულად ნათელი მოეფინა ქვეყანას და მზემ
გამოანათა. მეფემ მსურვალე მადლობა შეს-
წირა ღმერთს. ხოლო იმ ადგილას ბრძანა
დიდი ძელის ჯვარის აღმართვა.

ნანა დედოფალი მსლებლებთან ერთად
გამოვიდა მეფის მისაგებებლად. ყველამ გაი-
გო ეს საკვირველი ამბავი, რომელიც მეფეს
გადახდა თავს. ყველა ხარობდა მეფის მშვი-
დობით გადარჩენის გამო, განსაკუთრებით
კი – ნანა დედოფალი, რომელმაც საღმრთო
გონებით უწყოდა ღვთის განგებულება. წმინ-
და ნინო ამ დროს ისევ მაყვლოვანში იმყო-
ფებოდა. მეფე მივიდა მასთან, ჩამოქვეითდა
და უთხრა წმინდა ნინოს: „ახლა უკვე ღირსი
ვარ სანატრელო დედაო, რომ მოვიქცე შენს
სარწმუნოებაზე, თუკი ამას შენი ღმერთი ინ-
ებებს.“

აცრემლებული წმინდა ნინო მსურვალე
მადლობას სწირავდა ღმერთს და მეფეს საღმ-
რთო სწავლებით განუმტკიცებდა რწმენას.
ატირებული მეფე-დედოფლის შემხედვარე,
მთელი ერი ტიროდა. როგორც კი ქალაქში
მივიდნენ, მირიან მეფემ მეორე დღესვე გაგზა-
ვნა მოციქულები საბერძნეთში, დიდ კონსტან-

ტინესთან. წმინდა ნინომ წერილი მისწერა
ელენე დედოფალს, ხოლო მირიანმა – მეფეს.
წერილში იგი სინანულით იხსენებდა თავის
წარსულ ცხოვრებას, როდესაც უმეცრებისა
და სიბნელის ტყვე იყო, ხოლო ახლა სახიერ-
მა ღმერთმა წყალობა მოიღო მასზე და ღვთაე-
ბრივი ნათლით განანათლა მისი სული. იგი
ევედრება მას, დიდ გვირგვინოსან კონსტან-
ტინეს, რათა იგი, არაღირსი ქრისტიანულ
სარწმუნოებასთან ზიარების ღირსი გაეხადა
და გამოეგზავნა მისთვის მღვდელი – საღმ-
რთო მსახური ქრისტესი, წმინდა მირონი,
ჯვარი რომელზეც ევნო მაცხოვარი, სახარე-
ბა და სხვა საჭირო ნივთები.

წმინდა ნინო და მისი მოწაფეები დადიოდ-
ნენ ხალხში, დაუცხრომლად ქადაგებდნენ და
ტეშმარიტების გზას ასწავლიდნენ მათ, ვიდრე



მოციქულთასწორნი
წმიდა მეფე მირიანი და წმიდა ნანა დედოფალი

საბერძნეთიდან მოვიდოდნენ მღვდელი და
მოციქულები.

– ჰოი, მეფეო, – უთხრა წმინდა ნინომ მირ-
იან მეფეს – მინდა, რომ ჩქარა ავუშენოთ
ტაძარი ღმერთს.

– ტეშმარიტად უწყი, სანატრელო დედაო,
რომ, რაც შენ საჭიროდ მიგანჩნია, ის უეჭვე-
ლად ღვთის ნებაა, ამიტომ, როგორც შენ ბრ-
ძანებ, ისე მოვიქცევით, – მიუგო მეფემ.

გადაწყვიტეს საბერძნეთიდან მღვდლის
ჩამოსვლამდე აეშენებინათ ტაძარი მეფის
სასახლესთან გაშენებულ ბაღში. მოიწვიეს
ხუროთმოძღვრები. დიდი და საკვირველი ნაბ-
ვები, რომლებიც იდგა მეფის ბაღში, მოჭრეს

და მათგან ეკლესიის სვეტები დაამზადეს. ეკესი სვეტი აღმართეს საჭირო ადგილას, ხოლო მეშვიდე სვეტი, რომელიც უდიდესი იყო სხვათა შორის და, რომლის აღმართვაც ეკლესიის შუაში სურდათ, ვერაფრით დაძრეს ადგილიდან. ეს საკვირველი ამბავი აუწყეს მეფეს. უამრავი ხალხი მოგროვდა, მათაც სცადეს სვეტის აღმართვა, მაგრამ ისინიც ამაოდ დაშვრნენ. მეფე გაკვირვებული და დამწუხრებული შებრუნდა სასახლეში. წმინდა ნინომ თავის თორმეტ მოწაფესთან ერთად დაიწყო ღოცვა. ტირილით და გოდებით ევედრებოდა იგი ღმერთს. ყოველდამ ღოცულობდა, ცრემლის ნაკადულებით აღტობდა მიწას. ერთ ღამეს კი ასეთი ხილვა ჰქონდა; ორივე მთა – არმაზისა და ზადენის – ჩამოიქცა, ჩამოიშალა და დააგუბა ორივე მთის წყალი. გადმოხეთქა წყალმა ქალაქის თავზე. წარღვნა და დაღუპვა ემუქრებოდა ქალაქს. მდინარენი ქუხდნენ და გრგვინავდნენ. შეშინდნენ წმინდა ნინოს მოწაფე დედები და გაქცევა დააპირეს. ხოლო ნეტარი ნინო ნუგეშს სცემდა მათ და ეუბნებოდა:

– ნუ შეძრწუნდებით, ჩემო დებო, რადგან ეს სხვა არაფერია, თუ არა ეშმაკის ბოროტი ზრახვები. მთები ისევ თავის ადგილას დგას, მდინარეები ისევ იმგვარად მოედინება და ერსაც მშვიდად სძინავს. ხოლო ეს საოცარი ჩვენება ნიშანია ურწმუნოების მთების რღვევისა, წყალთა დინება კი გამოსახავს მსხვერპლად შეწირულ ყრმათა სისხლს. ამიერიდან შეწყდება ჩვილი ყრმების ორთქლიანი სისხლის დინება. სწორედ ამის გამოა ეშმაკი განრისხებული. თქვენ კი ქრისტეს ძალით ხართ გაძლიერებულნი, ილოცეთ და შემწეობა სთხოვეთ მას.

ეს თქვა, დადგა პირით აღმოსავლეთით, ხელები ცისკენ აღაპყრო და ღოცვა დაიწყო. მეყსეულად შეწყდა ეს ჩვენება, ხოლო როდესაც მამალმა იყივლა, ქალაქის სამივე მხრიდან მოისმა ლაშქრის ხმაური, მათ დაღეწეს ქალაქის კარნი, ქალაქი მებრძოლებით აივსო, შეიქმნა საშინელი ზარი და კაცისკვლა, ყველგან სისხლი იღვრებოდა, ადამიანები კი ყვიროდნენ: „მეფე სპარსთა ხუარა და მეფეთა მეფე ხუარან ხუარა! ყოველი ურია⁶ განარიონეთ პირისაგან მახვილისა.“

ეს ხმა მაშინ გაიგეს წმინდა ნინომ და მისმა მოწაფე დედებმა, როცა მებრძოლები უკვე მოახლოვებული იყვნენ. ამ დროს გავარდა ხმა მირიან მეფის შეპყრობის შესახებ. წმინდა ნინომ თქვა:

– ამ ადამიანებმა არ იციან, რომ მოახლოვებულია ჟამი მათი წარწყმედისა და ამ ადგილის დიდებისა.

წმინდა ნინო, როგორც მხნე მოღვაწე, ნუგეშს სცემდა თავის მოწაფე დედებს. შემდეგ კი გამოვიდა მომხდურებთან და იკითხა:

– სად არიან წყეულნი მეფეები ხუარა და ხუარან? წაიყვანეთ ისინი მათთვის გამზადებულ ბნელსა და ქვესკნელში.

გადასწერა ჯვარი და მაშინვე გაქრა ეს ეშმაკეული ჩვენება. ამის შემხედვარე დედები ადიდებდნენ ღმერთს.

თენდებოდა, როდესაც მათ მიეძინათ. მხოლოდ სიდონიას ეღვიბა. წმინდა ნინო ხელაპყრობით ღოცულობდა. ამ დროს, როგორც ელვა, ისე გამობრწყინდა ნათელშემოსილი ჭაბუკი, რომელმაც სამი სიტყვა უთხრა წმინდა ნინოს. წმინდა ნინო დაეცა მიწაზე მისი სახის საკვირველი დიდებულებისგან შეძრული. ჭაბუკმა ხელი მოჰკიდა დიდ სვეტს და აამალლა ჰაერში. სიდონია გაკვირვებული მიეახლა წმინდა ნინოს და შიშით ჰკითხა:

– ჩემო დედოფალო, რა არის ეს?

– თავი დახარე და ჩუმად იყავი, – მიუგო პასუხად ნინომ.

წმინდა ნინო ტირიდა დიდი ზარისა და



სატი „საქართველოს დიდება“

საკვირველი ხილვის გამო. მცირე ხნის შემდეგ კი ადგა, სიდონიაც ააყენა და გაშორდნენ იმ ადგილს. წმინდა ნინოს მოწაფე დედებმაც იხილეს სვეტი, რომელსაც ცეცხლის სახე ჰქონდა და, რომელიც ჰაერში ამაღლებული ნელ-ნელა იწვედა დაბლა. იგი მიწიდან თორმეტი წყრით იყო დაშორებული და, მანამ იწვედა ქვევით, ვიდრე ორი წყრთა მანძილი არ დარჩა მიწამდე.

როდესაც ირიურაჟა, ადგა მწუხარებისაგან გულდამძიმებული მეფე, მივიდა სამოთხის ბაღის მშენებარე ეკლესიასთან და იხილა ნათელი, რომელიც ელვასავით ანათებდა და, რომელიც მიწიდან ზეცამდე აღწევდა. გახარებული მეფე აჩქარებული ნაბიჯით გაეშურა იმ ადგილისაკენ. უამრავი ხალხი მოგროვდა სასწაულის სანახავად. უსაზღვრო,

თვალშეუდგამი და ბრწყინვალე ნათელი, ცეცხლის სახით მოვლენილი, საკვირველად იყო ჰაერითა შორის გამოკიდებული. ხოლო ხალხი, შიშითა და სიხარულით ადვსებული, მადლობდა და აღიღებდა ღმერთს.

ამ დროს კიდევ ერთი სასწაული მოხდა: იმდენი ხალხი მოგროვდა, რომ ხიდი, რომელიც

ცრემლებით აღტობდა მას. მან თვითონაც ირწმუნა და მთელი ოჯახიც მოაქცია ქრისტიანულ სარწმუნოებაზე.

ამ დროს ცხოვრობდა ყრმა სეფეწული ამაზასპანი, რომელიც რვა წლის განმავლობაში იტანჯებოდა მძიმე სენით შეპყრობილი. იგი სიკვდილის პირამდე იყო მისული.



ძელიცხოველის ნაწილი. საუკუნეების მანძილზე ინახება სამთავროს ფერისცვალების ტაძარში. მოთავსებულია ვერცხლის ძვირფასთვლებიან ლუსკუმაში. (ლუსკუმის ავტორია დავით კაკაბაძე (უმცროსი))

ქალაქის თავში იყო, ვეღარ იტევდა ადამიანთა სიმრავლეს. აქ იყო ერთი წარმართი ებრაელი კაცის მეუღლე თავის მხოლოდშობილ ძესთან ერთად. ბავშვი ოთხი წლისა იყო. ქალს შვილი ხელში ეჭირა. ხალხის ტალღა ქალს დაეჯახა და ბავშვი ხიდიდან მდინარეში გადავარდა. მდინარე კლდეებს შორის უფსკრულში მიედინებოდა. საბრალო ქალი საზარელი ხმით კიოდა. შემდეგ კი თვითონაც მდინარეში გადაეშვა და ამის თქმა მოასწრო:

– ჰოი, უცხო და საკვირველო სახილაგო, მიითვალე უცხო სიკვდილი დედის ძითურთ.

შეძრწუნებული უყურებდა ხალხი ამ ამბავს. უცებ მათ დაინახეს, როგორ შეაერთა წყალმა დედა და ძე და როგორ გადარჩნენ ისინი უვნებლად. ორივეს ილიქტრიონის სახით ნათელი ედგა. ყველა ეკითხებოდა ამ ქალს, თუ როგორ დააღწია მან თავი მდინარის ტალღებისაგან კლდის ნაპრალებს შორის დანთქმას, ხოლო იგი ტირილით პასუხობდა:

– როდესაც მე, საწყალობელი, ჩემს საწყალობელ ძეს წყალში გადავეყვი, ვიხილე ცეცხლის სვეტის საოცარი ნათელი, რომელიც გამოვიდა ამ სამოთხის ბაღიდან, სადაც ეკლესია და სვეტია აღმართული. მან მე და ჩემი ძე ერთმანეთს შეგვაერთა, ამის შემდეგ კი აღარ ვიცი თუ როგორ გვიხსნა სვეტმა. მხოლოდ ეს ვიცი, როგორც ნავის საჭე, ისე გვმართავდა იგი. არც ღელვა გვეხებოდა და არც კლდეს ვეხეთქებოდით. ჭეშმარიტად დიდია ქრისტიანთა ღმერთი, რომელსაც უცხო დედაკაცი ქადაგებს. მეფე, დედოფალი და მთელი ერი ტიროდა ამ საკვირველების გამო. ხოლო ქალი წავიდა, მოეხვია სვეტს, ღოცულობდა, ეამბორებოდა და მხურვალე

მისმა დედამ მიიღო ქრისტიანობა და ევედრებოდა წმინდა ნინოს:

– მოხედე, დედოფალო, ამ ჩემს საწყალ ძეს, რომელიც სიკვდილის პირას არის მისული. როგორც მე მითხრეს, ღმერთი ღმერთთა და უფალი უფალთა ის არის, ვისაც შენ ემსახურები და ჩვენც გვიქადაგებ. გვეედრები, განკურნოს წმინდა სვეტმა ჩემი ძე შენი სიტყვითა და ღოცვით.

წმინდა ნინოს შეებრალა მავედრებელი მისი, შეახო ხელი წმინდა ნათლის სვეტს, შემდეგ ხელი დაადო იმ ყრმას.

– გწამს უფალი იესო, ღმერთის ძე, ამქვეყნად მოსული ყოველთა ცხოვნებისათვის? – ჰკითხა სნეულს წმინდა ნინომ.

– მწამს ჭეშმარიტად იესო, ძე ღმერთისა, – ხმამაღლა უპასუხა მან

– შენი რწმენისაებრ მოგეგოს შენ, – თქვა ნინომ.

დავრდომილი მაშინვე განიკურნა, ფეხზე ადგა და სიხარულით აღიღებდა ღმერთს.

შეწინდა მეფე და ხალხი.

სწორედ ამ დროს, იქვე ახლოს, ერთ ებრაულ ოჯახში მხოლოდშობილი ძე გარდაიცვალა. მიცვალებულთან აღარავინ დარჩა, მისი მშობლების გარდა, რადგან ყველა წმინდა სვეტის სანახავად მოდიოდა. მიცვალებულის მშობლები ტიროდნენ და გოდებდნენ:

– აჰა, ჩვენო სასურველო ძეო, დავრჩით ჩვენ ოხრად და უკაცურად, არა მხოლოდ შენგან, არამედ ჭირის თანაზიართა და ნუგეშისმცემელებისაგანაც მიტოვებულნი. აღარავინ არის ჩვენი ჭირის გამზიარებელი და ხელის აღმპყრობელი. მაგრამ მხოლოდ ამის გამო არ ვწუხვართ, ჩვენო საყვარელო ძეო,

ვწუხვართ იმიტომაც, რომ ყველანი იხარებენ უცხო სახილველით, საკვირველი ნათლის სვეტით, ხოლო შენ ვერ მოასწარი მასთან მიახლება და ახლა ჩვენც, შენი დაკარგვის გამო, ვერ ვიხილავთ მას და, აჰა, ცოცხლივ ჯოჯოხეთს მიწვევნილი შევიქმნებით. ადექი, ჩვენო მხოლოდშობილო ძეო და მივეახლოთ საკვირველ ნათლის სვეტს. ადექი, ჩვენო თვალის ჩინო და წავიდეთ იმ საკვირველების სანახავად, რომელსაც წინასწარმეტყველები ღმერთის ძედ მოიხსენებენ. აწ შენც მოგეცეს თვალთა ნათელი და სიკვდილით დაბნელებულ შენს გვამს სიცოცხლე მიენიჭოს.

როდესაც ისინი ამგვარად გოდებდნენ, ყრმა, როგორც გაღვიძებული, ისე წამოჯდა და ჰკითხა მშობლებს:

– სად არის ის ცეცხლის სვეტი, რომელმაც ამომიყვანა მე ჯოჯოხეთის უფსკრულიდან?

განცვიფრებულ მშობლებს სიტყვის თქმაც არ შეეძლოთ, მცირე ხნის შემდეგ, როდესაც გონს მოეგნენ, მოეხვივნენ შვილს და ჰკითხეს:

– სად იყავი, ჩვენო საყვარელო შვილო, და ვინ მოგანიჭა კვლავ სიცოცხლე?

ხოლო იგი კვლავ იმეორებდა:

– სად არის ნათლის სვეტი? მიმიყვანეთ მე იქ და ყველა შეიტყობს იმ საკვირველებას, რომელიც აღესრულა ჩემზე.

მშობლებმა წაიყვანეს შვილი სვეტთან და, როცა იქ მივიდნენ, ყველასთვის საცნაური შეიქმნა ის სასწაული, რომელიც მოხდა.

გაკვირვებული მეფე, დედოფალი და ხალხი ეკითხებოდა ყრმას, თუ როგორ მოხდა ეს საოცრება. მან დაიწყო თხრობა ტირილით:

– როდესაც გარდავიცვალე, ჩემთან მოვიდნენ სასტიკი, შავი სახის არსებები და ჩამათრიეს ჯოჯოხეთის ბნელ ქვესკნელში, სადაც არის ცეცხლი გეენისა და, სადაც იტანჯებიან ყოველნი ცოდვილნი და კერპთმსახურნი. მეც მათთან ერთად ვიტანჯებოდი ცოტა ხანს. ანაზღად გამობრწყინდა ნათელი ჯოჯოხეთის უფსკრულში. ეს იყო ნათლის სვეტი, რომელიც ცას სწვდებოდა, ხოლო ზემოთ მოჩანდა იესო ქრისტე, რომელიც ჩვენმა მამებმა ჯვარს აცვეს. მე ორი პირმშვენიერი არსება მომეგლინა და ამ დროს, როგორც ქუხილის ხმა, ისე მოისმა სვეტიდან: „წაიყვანეთ ეგ ყრმა, გლახაკი მშობლების შვილი, რადგან გული მეკუთმება მათი მწუხარებისაგან. დაუბრუნეთ იგი თავის მშობლებს, რათა იხარებდნენ და აღიდებდნენ ჩემი სიხარულის დღეს“. მაშინვე ამომიყვანეს და დაუბრუნდა სიცოცხლე ჩემს გვამს. და აი, ახლა, როგორც ხედავთ, თქვენთან ვდგავარ და გეუბნებით: ვაი მას, ვისაც მოელის სასტიკი ტანჯვა, რომელიც ვიხილე მე.

ამის გაგონებაზე საშინელი გლოვა შეიქნა. ხოლო ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცეული ადამიანები ხარობდნენ და აღიდებდნენ ღმერთს.

ამის შემდეგ მოიყვანეს ძლიერი ჯაჭვე-

ბით შეკრული ეშმაკეული კაცი. როდესაც იგი სვეტთან მიიყვანეს, საზარელი ხმით იყვირა და მკვდარივით დაეცა. წმინდა ნინომ აიღო ჭურჭელი, ევლოგია⁷, მოაპკურა ნაკურთხი წყალი ეშმაკეულ კაცს და მაშინვე განკურნა. იგი მოეხვია ნათლის სვეტს, თაყვანისსცემდა და ეამბორებოდა მას. ხალხი აღიდებდა ნათლის სვეტს. უამრავი სასწაული ხდებოდა იმ დროს. ბრძმებს თვალის ჩინი უბრუნდებოდათ, კეთროვნები კეთრისგან განიკურნებოდნენ, მიცვალებულნი მკვდრეთით აღდგებოდნენ, ყოველი უნუგეშო ნუგეშს პოვებდა. მეფემ განიზრახა სვეტის შემოსახლვრა, რათა ყველა მიმსვლელი უდიერად არ შეხებოდა მას. იგი მართლაც შემოსახლვრეს ხის ფიცრებით. ამის მიუხედავად, სასწაულები მაინც ხდებოდა.

კეთილი იმედებითა და სასწაულებით გაძლიერებულმა მეფემ სწრაფად დაიწყო ეკლესიის შენება და მცირე ხანში დაასრულა კიდეც. ამ დროს კონსტანტინესთან მივიდნენ მირიანის წარგზავნილი მოციქულები და გადასცეს მას მირიან მეფის უსტარი და დანაბარები.

კონსტანტინე მეფე და დედამისი ელენე სიხარულით აღივსნენ ამის გაგონებაზე. მათთან ერთად ხარობდა მთელი ქრისტიანი ერი. კონსტანტინე მეფემ დიდი სიყვარულით გამოგზავნა მოციქულები უკან. მათ გამოაყოლა ეპისკოპოსი იოანე, ორი მღვდელი და სამი დიაკვანი, მირიან მეფეს გამოუგზავნა ოქროთი და თვალ-მარგალიტით მოჭედული ჯვარი, ძვირფასი თვლებით შემკული ოქროს ხატი, ღვთისმშობლის ხატი⁸, სხვა ამგვარი ნივთები და აგრეთვე უსტარი, რომელშიც წერდა, რომ მადლობას სწირავდა ღმერთს იმ დიდი წყალობისათვის, რომელიც მაცხოვარმა მირიან მეფეზე და მის ხალხზე გარდამოავლინა. სიხარულით შეხვდა მთელი ერი კონსტანტინეს მიერ გამოგზავნილ სასულიერო პირებს. ყველაზე მეტად კი წმინდა ნინო ხარობდა, რადგან ღმერთმა სრულ-ყო მისი საწაღელი⁹.

მეფე მირიანმა ეპისკოპოსი იოანე კვლავ მიავლინა კონსტანტინესთან და სთხოვა გამოეგზავნა მისთვის ძელიცხოველის ნაწილი, მრავალი მღვდელი, რათა მთელი საქართველო გაექრისტიანებინა და კირითხურონი ტაძრების ასაშენებლად. მორწმუნე კონსტანტინემ სიხარულით გამოუგზავნა ძელიცხოველის¹⁰ ნაწილიცა და ის ფიცრებიც, რომლებზეც მაცხოვარი ფეხით იყო მიჭედებული, მრავლად წარმოგზავნა მღვდელნი და ქვითხურონი. როდესაც ეპისკოპოსმა იოანემ მიაღწია ერუშეთს¹¹, დატოვა ის ქვითხურონი და სამსჭუალნი¹² და წავიდა მანგლისში. იქაც დაიწყო ეკლესიის შენება. იოანემ იქ დატოვა წმინდა ფიცრები. ეს რომ მირიანმა გაიგო, შეწუხდა, რადგან იოანე თავდაპირველად სატახტო ქალაქში არ მივიდა და აქ არ დაიწყო ეკლესიის შენება. უფრო მეტად შეწუხდა,

როცა გაიგო, რომ ეპისკოპოსმა სამსჭუალნი და ფიცარნი იქ დატოვა. წმინდა ნინომ ანუგეჟმა მეფე და უთხრა:

– ნუ სწუხხარ, მეფეო, რადგან უფალმა უფრო დიდი სიწმინდეები მიანიჭა ამ ქალაქს. ეს არის კვართი უფლისა ჩვენისა, იესო ქრისტესი და სვეტი წმინდა განმანათლებელი და ნათელმყოფელი სულთა და გონებათა ჩვენთა.

მაშინვე მეფემ მოიყვანა აბიათარ მღვდელი, სხვა ებრაელებიც და გამოიკითხა მათგან ჭეშმარიტი ამბავი. ყველაფერი შეიტყო უფლის კვართის შესახებ, აღივსო გამოუთქმელი სიხარულით, ხელები ცისკენ აღაპყრო და თქვა:

– კურთხეულ ხარ, ქრისტე, ძეო და სიტყვაო ღმრთისაო, რომელიც ყველაფერს წინასწარ განაგებ სიბრძნით, რადგან შენ ხარ ჭეშმარიტი ღმერთი, რომელმაც გამოგვიხსენი ეშმაკის ხელისაგან და, რომელმაც ჩვენი სულების ცხონებისათვის წარმოავლინე ყოვლად განათლებული შენი წმინდა სხეულის დამფარველი სამოსი იერუსალიმიდან ჩვენს სამეფოში. ამისთვის ჩვენ სიხარულით გიძღვნი მადლობას და გადიდებთ უკუნიით უკუნისამდე.

ხალხი ქრისტიანულად ინათლებოდა. პირველ რიგში, ნათელი იღეს მეფემ და დედოფალმა. ყველგან გამოუთქმელი სიხარული სუფევდა და ყველა ერთხმად აღიძვებდა ღმერთს. დაიწყეს ეკლესიის შენება ქალაქის გარეთ, იქ, სადაც იმყოფებოდა წმინდა ნინო და, როდესაც ეკლესიის შენება დაასრულეს, ზეცისკენ ხელაპყრობილმა წმინდა ნინომ თქვა:

– კურთხეულ ხარ შენ, უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, და შენ, მამაო უფლისა ჩვენი-სა იესო ქრისტესო, რომელმან მოავლინე შენი სიტყვა ქვეყნის ხსნისათვის, რომელმაც თავმდაბლად ხორცი შეიმოსა, განკაცდა და ხელიდან გამოგვტაცა ბოროტს.

ხალხი ეკითხებოდა წმინდა ნინოს:

– გვითხარი, სანატრელო დედაო, რას ნიშნავს ეს საკვირველი სანახაობა? რას მოასწავებს ვარსკვლავების აღმოსავლეთით და დასავლეთით გაყოფა, ხოლო მათგან უმთავრესის ზეცად ამადლება?

– გაგზავნეთ რამდენიმე ადამიანი მაღალ მთებზე. აღმოსავლეთით კახეთის გზაზე, ხოლო დასავლეთით – ამ ქალაქის სანახებამდე. როდესაც ეს ვარსკვლავები გამობრწყინდებიან, ეს ადამიანები იხილავენ მათი გაბრწყინებით ადგილს.

როგორც კი ეს თქვა წმინდა ნინომ, მეფე მაშინვე შეუდგა ამის აღსრულებას. პარასკევი დღე იყო, შაბათი თენდებოდა, როდესაც ის სასწაული ისევ განმეორდა. მოვიდნენ წარგზავნილი კაცები და მოახსენეს წმინდა ნინოსა და მეფეს, რომ დასავლეთ მხარეს ვარსკვლავი თხოთის მთის თავზე გაჩერდა, ხოლო აღმოსავლეთით – კახეთის კუთხეში, ბოდს. მაშინ უბრძანა წმინდა ნინომ ორი ჯვა-

რის წადება. ერთი აღმართეს თხოთის მთაზე, ხოლო მეორე ჯვარი წმინდა ნინომ ქრისტეს მხევალს, სალომეს, წააღებინა უჯარმის¹⁵ ქალაქში, რათა იქ აღმართა, რადგან ამ ადგილს დასაბამიდან ეწოდებოდა ბოდი. მესამე, ჯვარი პატიოსანი, ზეგარდამო უწყების მიხედვით, აღმართეს ბორცვზე, რომლის ძირშიც წყარო მოედინებოდა და, რომლის თავზეც დიდი და უმთავრესი ვარსკვლავი კაშკაშებდა. იქვე გაათიეს დამე ლოცვითა და ვედრებით. წმინდა ნინოს ცრემლები უერთდებოდა იმ წყაროს, რომელიც ბორცვთან მოდიოდა. მეორე დღეს წმინდა ნინო კვლავ ავიდა ბორცვზე. დაემხო მიწაზე და ტირილით ევედრებოდა ღმერთს წყალობას. მასთან ერთად ტიროდნენ მეფე, მთავრები და მთელი ერი. წმინდა ნინომ ხელი დაადო ერთ ქვას და უთხრა მთავარეპისკოპოსს:

– მოდი, მეუფეო, და გადასახე ჯვარი ამ ქვას, რადგან შენ ხარ მწყემსი ცხოვართა.

მთავარეპისკოპოსმა გადასახა ჯვარი და იმ ადგილას აღიმართა დიდებული ჯვარი. ხალხმა მუხლი მოიდრიკა, თაყვანი სცა ჯვარს და აღიარა იესო ჭეშმარიტად ძედ ღმრთისად. დიდგვაროვანი თავადები არ შორდებოდნენ წმინდა ეკლესიას, ნათლის სვეტსა და პატიოსან ჯვარს, რადგან ხედავდნენ უამრავ სასწაულს. ხოლო კვირიაკეს, ადგსების დღეს, მირიან მეფემ და მთავრებმა გადაიხადეს დღესასწაული ჯვარი პატიოსანისა და დიდალი შესაწირავი შესწირეს მას.

ოთხშაბათ დღეს კიდევ საოცარი სასწაულის მომსწრენი გახდნენ ისინი: ნათლის სვეტი ჯვარის სახით დადგა პატიოსანი ჯვარის ზემოთ და თორმეტი ვარსკვლავი გვირგვინით დაადგა თავზე. ბორცვი კი, რომელზეც ჯვარი იყო აღმართული, საოცარ სურნელს გამოსცემდა. ეს სასწაული ყველამ იხილა და მრავალი უღმერთო წარმართი მოიქცა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე, ხოლო მორწმუნეებს კიდევ უფრო განუმტკიცდათ რწმენა.

სხვა სასწაულებიც იხილეს ჯვართან: მზის ნათელი, შვიდჯერ უფრო მეტად ბრწყინვალე, დაადგა ჯვარს თავზე, ელვა, როგორც გავარგარებული რკინა, ისე კრთებოდა და უფლის ანგელოზები თავს დასტრიალებდნენ ჯვარს. ბორცვი ძლიერად ირყეოდა და მთები გამოუთქმელი სიხარულით ხარობდნენ.

მეფის ძეს, რევს, ჰყავდა ვაჟი, რომელიც მომაკვდინებელი სენით იყო შეპყრობილი, ამიტომ მათი ოჯახი გლოვასა და მწუხარებაში იყო, რადგან მხოლოდ ეს ერთი შვილი ჰყავდათ. მოიყვანა იგი რევმა და მისცა წმინდა ნინოს.

– თუ შენი ლოცვით სიცოცხლე დაუბრუნდება ჩემს მომაკვდავ ძეს, თუ ჯვარი პატიოსანი შექლებს მის განკურნებას, მაშინ მე ავაშენებ ისეთ საყდარს, როგორც კი შემეძლება, – ეს თქვა რევმა, დააწვინა ვაჟი ჯვართან და ცრემლით და გოდებით ითხოვდა მის შევლას.

– შენ, უფალო, რომელმაც მიწისაგან და-

ბადე კაცი, რომელიც მოაკვდინებ და აცხონებ ადამიანს, რომელიც ჯოჯოხეთში ჩაიყვან და ამოიყვან მას, რომელიც შენი მეორედ მოსვლით აღადგენ ყველას, შენ, ღმერთო, მიანიჭე სიცოცხლე ჩემს მხოლოდშობილ ძეს ჯვარი პატიოსანის ძალითა და შეწევნით.

როგორც კი ღოცვა დაამთავრა რეგმა, მაშინვე გამოჯანმრთელდა ყრმა და ყველა ერთხმად აღიძვებდა ღმერთს. რეგმა აღასრულა თავისი აღთქმა და ააშენა მშვენიერი საყდარი, სადაც სწეულებით შეპყრობილი მრავალი ადამიანი მოდიოდა განკურნებული, სიხარულით აღიძვებდა ღმერთს და მადლობას სწირავდა პატიოსან ჯვარს.

ერთი მამაცი ჭაბუკი ცხოვრობდა იმ დროს. იგი ორივე თვალით დაბრმავდა. იჯდა ქრისტეს ჯვარცმის წინ მწუხარე და დღედაღამ განკურნებას ევედრებოდა ღმერთს. მის თვალებს სცხეს ჯვრის ევლოგია და მაშინვე განიკურნა. ჯვარცმასთან მიიყვანეს, აგრეთვე, ერთი ბოროტი სულისაგან შეპყრობილი ქალი. იგი ემთხვია ჯვარს და თორმეტი დღის შემდეგ სრულიად განკურნებული წავიდა. მოდიოდა მრავალი უშვილო ადამიანი და ევედრებოდა პატიოსან ჯვარს შვილის მიცემას. ისინი აღიძვებდნენ საკვირველთმოქმედ ღმერთს, თუმცა თხოვნა უსრულდებოდა იმას, ვინც სასოებით ითხოვდა შეწევნას.

როდესაც მირიანის ძე, რევი გამეფდა, მან ის ხის ფიცრები, რომლებითაც სვეტი იყო შემოსაზღვრული, შეცვალა ქვის კედლებით, რომლებიც დღემდე შემორჩა.

მრავალი ურწმუნო შეიძლება დაეჭვდეს საუფლო კვართისა და ცხოველი სვეტის სასწაულების ჭეშმარიტებაში. მათთვის ვიტყვი, რომ გონიერად მოისმინონ და გულისხმაცონ, რადგან სასწაულები განკუთვნილია არა მორწმუნეთათვის, არამედ – ურწმუნოთათვის.

კიდევ მრავალი სასწაულის ჩამოთვლა შეიძლება, მაგრამ მხოლოდ იმ სასწაულებს ვისხენებთ, რომელიც თავიდან მოხდა.

იმ დროს ცხოვრობდა ერთი დედოფალი, სახელად – სუჯი⁴. იგი გარე კახეთის დედოფალი იყო. ერთხელ, როდესაც იგი თავისი ამალით მოდიოდა, მიაღვა არაგვის ნაპირს. არაგვი იმდენად იყო აღიძვებული, რომ მეორე ნაპირზე გადასვლა ვერ შეძლეს.

დედოფალი, რომელიც გამორჩეული იყო თავისი ღვთისმოსაობით, ცხენიდან ჩამოქვეითდა და გულმხურვალედ ევედრებოდა ღმერთს და ცხოველ სვეტს შეეკლას. მოხდა იმგვარი სასწაული, როგორც ეგვიპტიდან ებრაელების გამოსვლის დროს, როდესაც მეწამული ზღვა გაიპო და ხალხმა დააღწია თავი მტერს. აქაც აღიძვებული არაგვი შუაზე გაიპო. მარჯვნივ და მარცხნივ წყალი ზღუდედ აღიმართა, ხოლო დედოფალი და მისი ამალა უვნებელი გადავიდა მეორე ნაპირზე. ისინი მადლობას სწირავდნენ და აღიძვებდნენ ღმერთსა და ცხოველ სვეტს.

ეს სასწაული არამც თუ ჩამოუვარდება, თავისი საკვირველებით აღემატება კიდევ მეწამული ზღვის სასწაულს, რადგან იქ მდორე ზღვა გაიპო, ხოლო აქ – მგელივით გამძვინვარებული მდინარე. ორივე სასწაული კი ღვთის მადლით მოხდა.

ის სასწაული კი, რომლის შესახებაც ახლა მოგიხსრობთ, ყველასთვის ცნობილი გახდა თავისი საკვირველებით.

ცოდვით დაკნინებულსა და ეშმაკის ძალით დასუსტებულ ჩვენს ქვეყანას თურქები შემოესივნენ სულთანის მეთაურობით. მხეცური მძვინვარებით შეპყრობილმა ბარბაროსებმა ჰკითხეს ჩვენს ერთ-ერთ წინაპარს:

- რა არის ამ კონქთან⁵ დაფარული?
- აქ არის სვეტი საკვირველი და ცხოველი, – მიუგო მან.

ღმერთის დიდებულება ურწმუნო გონებაზეც ახდენს საკვირველ ზემოქმედებას. სულთანი ცნობას მოვიდა და გულისხმაცო, რომ ამ გოდოლში მართლაც იყო დაფარული ღვთიური საკვირველება. იგი არც შეეხო, ისე დატოვა სვეტი და წავიდა ზემო ქართლში, ხოლო ეკლესიას მცველი დაუტოვა, რათა მისი მშვენიერებისათვის ზიანი არავის მიეყენებინა. სულთანის წასვლის შემდეგ მოვიდა მისი მეუღლე – შაჰრიხათუნი. ეკლესიაში შესულმა მცველისაგან შეიტყო სულთანის საქციელისა და დანაბარების შესახებ. ურწმუნოებით დაბრმავებულ შაჰრიხათუნს ეგონა, რომ სვეტის ქვეშ დიდძალი სიმდიდრე იყო დაფარული, ამიტომ მან, სინანულის ნაცვლად, მისი ხელყოფა განიზრახა. როდესაც მხლებლები ცდილობდნენ დედოფლის სურვილის შესრულებას, მათ თავს დაატყდათ ღმერთის რისხვა: სვეტიდან გადმოეშვა ღვთაებრივი ცეცხლი, რომელმაც ეს ბარბაროსები გაანადგურა. ყველა იქ მყოფი შეაძრწუნა ამ სასწაულმა, ხოლო დედოფალი, ნაცვლად იმისა, რომ გონს მოსულიყო, განრისხდა და შურისძიება გადაწყვიტა. მან ბრძანა დაეწვათ ტაძარი და მასთან ერთად – ცხოველი სვეტი. ამ ბრძანების შემდეგ სპარსეთისაკენ გასწია, მაგრამ თავს დაატყდა ღმერთის რისხვა: ცეცხლი მოედო მის ნაწლავებს, სხვა ორგანოებს და საშინელი ტანჯვით მოკვდა ისე, რომ სულთანმა ცოცხალს ვერ მოუსწრო.

სულთანი და მისი ლაშქარი განერიდა უფლის რისხვას, მაგრამ მათგან მხოლოდ მცირე ნაწილმა მიაღწია თავის ქვეყანას უვნებლად. ამ სასწაულის შემსწრე ხალხი აღიძვებდა ღმერთს, საუფლო კვართსა და ცხოველსმყოფელ სვეტს.

ერთი ბერი მნათე მოღვაწეობდა ამ ეკლესიაში. მას თავისი სათნოების გამო კეთილს უწოდებდნენ. ყოველთვის ჭეშმარიტებას მეტყველებდა ეს ბერი. ის ამბობდა, რომ ხშირად, როდესაც ზარების დასარეკად მიდიოდა სამრეკლოზე, ტაძრიდან ესმოდა საღმრთო სიტკბოებით შეზავებული ანგელოსთა გალობის ხმა. ეს ხმა სენაკებშიც ხშირად ესმო-

დათ ბერებს. ერთხელ კი ასეთი რამ შეემთხვა ამ ბერს. როდესაც მისი მამის ძმა, სვიმონ პატრიარქი⁶, არმაზში, წმინდა საბას მონასტერში, იყო, იგი კახეთში მიდიოდა და თან ახლდა ერთი ცხენოსანი კაცი. ცხენი ღვინით იყო დატვირთული. მგზავრები წიწამურის მონასტერში მიდინარე არაგვს მიაღვნიენ. გაზაფხული იყო და მდინარე აღიდებულ მოდიოდა. ჩამობნედა. ბერის მხლებელი ძალიან შეწუხებული და შემფოთებული ჩანდა. ბერმა მიზეზი ჰკითხა. ამ კაცს თურმე წყლის შიში ჰქონდა და მდინარეში არასოდეს გაეგლო. ახლაც შიშობდა, რომ, როგორც კი მდინარეში შევიდოდა, თვალთ დაუბნელებოდა, ცხენიდან გადმოვარდებოდა და აღიდებულ არაგვში დაიხრჩობოდა.

კაცი უკვე ახლოს იყო მდინარესთან. ბერი შეშინდა, რადგან თვითონ დასახმარებლად მისვლას ვერ მოასწრებდა, სასოებით მიმართა სვეტს შემწეობისათვის და თვითონაც მდინარეში შეაგდო ცხენი. მდინარის მეორე ნაპირთან მოგროვილი ხალხი მთვარის შუქზე ხედავდა ბერს და მის მხლებელს, რომლებსაც წყვილად მიჰყავდათ ცხენები. ხალხი აფრთხილებდა მათ, რომ მდინარესთან ამგვარ ჭიდილს შეიძლებოდა დაეღუპა ისინი. მაგრამ ბერი, სვეტის მადლს მინდობილი, გვერდით ამოუდგა თავის მხლებელს და ისინი უვნებლად გავიდნენ მეორე ნაპირზე. ვიდრე ისინი წყალში იყვნენ, ბერი ხედავდა საკვირველი ნათლით გაბრწყინებულ ეკლესიას, ხოლო, როდესაც ნაპირზე გამოვიდნენ, ეს გამოსახულება გაქრა და მის ადგილას ჩვეულებრივი მთვარის ანარეკლი მოჩანდა. ამ სასწაულის შემსწრე ყველა ადამიანი აღიდებდა ღმერთს, პატიოსან ჯვარსა და ცხოველ სვეტს.

წმინდა და ცხოველსმყოფელი სვეტი მრავალგზის მრავალ ადამიანს უხილავს ნათლის სვეტის სახით. ნათლის სვეტი ძველთაგანვე წინ უძღოდა ისრაელთა ერს. მრავალ ადამიანს ჰქონია ხილვა, რომლის დროსაც ნათლის სვეტი მოვლინებიათ მოხუცებული კაცის სახით. ყველამ, ვინც ჭეშმარიტი ქრისტიანები ვართ, ვუწყით წმინდა სამების ძალა, რომ მამა, ძე და სულიწმინდა სამგვაროვანია და ერთარსი. ეს არის ღმერთი, ერთი ძლიერება, ერთი ნათელი ერთითა მით ღვთაებითა. წმინდა ნათლის სვეტი ერთნათლად შეერთებული სამების წმინდა სახის გამომხატველია, ხოლო მოხუცებული კაცის სახით მისი ხილვა საცნაურჰყოფს დანიელ წინასწარმეტყველის სიტყვებს, რომელიც ამბობდა: „სამების წმინდისა ერთნათელი ძველთა დღე⁷ მოვალს“, ანუ მეორედ მოსვლისას ვიხილავთ ძველთა დღეს – იესო ქრისტეს.

მეფეთა შორის გამორჩეული დავით აღმაშენებელი ღმერთის მსასოებელი და ღვთისმსახურების დიდი პატივისმცემელი იყო. მეფეს აეჭვებდა, რომ ნამდვილად აქ იყო საუფლო კვართის სამყოფელი და სშირად ფიქრობდა

„რა ვიცით, რა არის ამ კონქის შიგნით, ან რას ვცემთ თაყვანს?“

ერთხელ გზად მიმავალი მეფე შევიდა სვეტიცხოვლის ტაძარში, მივიდა სვეტთან, ამგვარი დაბრკოლებული გონებით მოილოცა და წავიდა. ღამით, როგორც კი ჩასთვლიმა, ესიზმრა მოხუცებული კაცი, ძველთა დღე, ბრწყინვალე ნათელით განათებული, რომელიც სვეტის თავზე იყო მჯდომარე და, რომლის სახის ბრწყინვალეობაც ძნელი გასაძლელი იყო ადამიანთა თვალისათვის. ძველთა დღემ მიმართა მეფეს: „დავით, დავით, არა უწყი თუ ვინ ვარ აქ. იცოდეთ ყველამ, ის, ვისაც ჩემი სასოება აქვს, არასოდეს იქმნება შერცხვნილი. ნუ იქნები ურწმუნო ჩემ მიმართ, რადგან, ვისაც ჩემი არ სწამს, ისინი სასჯელს მიიღებენ“.

მეფეს ძილი გაუკრთა. ადგა, ცხენზე ამხედრდა და ღამითვე გასწია ეკლესიისაკენ. როდესაც ეკლესიაში შევიდა ცისკრის ღოცვა სრულდებოდა. იოანე პატრიარქს და ტაძრის მრევლს გაუკვირდათ მეფის უდროოდ მისვლა. დახოქილი მეფე ცრემლით იატაკს აღტობდა და შენდობას სთხოვდა ღმერთს თავისი ურწმუნოებისა და შეცდომისათვის. იოანე პატრიარქმა ჰკითხა მეფეს ამგვარი ქცევის მიზეზი. დავითმა დაწვრილებით უამბო ყველაფერი. პატრიარქი, მეფე და ტაძრის მრევლი გულმხურვალედ ღოცულობდნენ და აღიდებდნენ ღმერთს.

როდესაც პატრიარქად მაკურთხეს (ისენებს ნიკოლოზ გულაბერისძე), შევიტყვე, რომ რამდენიმე ტაძრის ეპისკოპოსი, და მათ შორის – რუისის ტაძრისაც, უკურთხებელი იყო. ამ ტაძარზე დედოფალი ბურდუხანი ზრუნავდა. ოდითგანვე დაწესებულია, რომ ეპისკოპოსის კურთხევა უნდა მოხდეს სვეტიცხოველში, ცხოველი სვეტის წინ უნდა დადოს აღთქმა ეპისკოპოსმა, რომ ის ერთგული იქნება კათოლიკე ეკლესიისა, საღმრთო წესისა და სარწმუნოებისა. ეპისკოპოსი ტიმოთეს კურთხევისას ეს წესი დავარდვიეთ ზამთრის სასტიკი სუსხისა და დედოფლის დაჟინებული თხოვნის გამო. მღვდელმთავარი ვაკურთხეთ იმავე ტაძარში, რომლის ეპისკოპოსადაც ის დავადგინეთ. იმავე ღამეს ერთ სარწმუნო კაცს, რომელიც ღვთისმოსიშებითა და სიყვარულით გამოირჩეოდა, ძილში ეჩვენა მოხუცებული კაცი და უთხრა მას: „ეს კურთხევა, რომელიც ნიკოლოზ კათოლიკოსმა აღასრულა, წესისა და ჩვეულების დარღვევით მოხდა. ახლა სულგრძელად შეგინდობთ თქვენს უმცერებას, მომავალში კი ამგვარად ნულარ გაკადნიერდებით. იმას, ვინც ჩემი საყდრის გარეთ აკურთხებს ეპისკოპოსს, შეცოდებას აღარ შევუნდობ“.

ამ ჩვენებამ ძალიან შეგვაშფოთა. ღრმა სინანულს განვიცდიდით იმის გამო, რომ დავარდვიეთ ტრადიციულად დადგენილი წესი, რომლის მიხედვითაც ეპისკოპოსმა სამღვდელმთავრო აღთქმა, აღმსარებლობისა და

კათოლიკე ეკლესიისადმი ერთგულების ფიცი უნდა დადოს სვეტიცხოველის წინაშე. პატივბასა და შენდობას ვთხოვდით ღმერთს ამ შეცოდების გამო.

კეთილად მორწმუნენო და წმინდა სვეტის მირონით აღზრდილო ერო, თქვენდამი სასოება და სიყვარულმა, წმინდა სვეტისა და საუფლო კვართის ჯეროვანი ქების სურვილმა დამაწერინა ეს სიტყვები. ვმადლობდეთ უფალს, ჩვენი სულების უკვდავყოფელ ღმერთს, ვაქებდეთ და ვადიდებდეთ ცხოველ სვეტს, საუფლო კვართს და კათოლიკე ეკლესიას.

შენიშვნები:

1. იგი ქართლის ცხოვრებაში მოიხსენიება, როგორც ადერკი ქართლოსიანი.
2. მირიან მეფე იყო ძე სპარსთა მეფისა – შაჰუს, ანუ საპორ სასანიდიანისა. 256 წელს ქართველებმა იგი თავის მეფედ მოიწვიეს.
3. მირიანის მეუღლე, დედოფალი ნანა, იყო პონტოს სახელოვანი მხედართმთავრის, ნიკატორის, ასული. მან მცხეთაში ვენერას კერპი აღმართა და მისი ტაძარიც ააშენა.
4. მეფე ნებროთი ნოეს შთამომავალი იყო. მის სახელს უკავშირდება ბაბილონის ქალაქის მშენებლობა.
5. თხოთის, ანუ თოხათის მთა მდებარეობს მუხრანდიან დასავლეთით.
6. ქრისტიანობის პირველ საუკუნეში ქრისტიანებს ჰურიებს უწოდებდნენ.
7. ევლოგია – ღოცვა, კურთხევა, ძღვენი.
8. კონსტანტინეს მიერ გამოგზავნილი ხატებიდან, როგორც ნიკოლოზ გულაბერისძე გვამცნობს, მაცხოვრის ხატი ინახება კახეთში, ალავერდის ტაძარში, ხოლო ღვთისმშობლისა – რუისის ეკლესიაში.
9. წმინდა ნინოს მიერ ქართლის გაქრისტიანება აღწერილი ჰქონდა ანტიოქიელ ფილოსოფოსს – თეოდორიტეს. იმავე თეოდორიტეს ცნობით, მეფე კონსტანტინემ თვით ანტიოქიელი პატრიარქი ევსტათი გამოგზავნა ქართლის გასაქრისტიანებლად.

10. 629 წელს, ნიკოლოზ გულაბერისძის ცნობით, საბერძნეთის მეფე ირაკლიმ ადარნასე კურაპალატს უკან გამოსთხოვა ეს ჯვარი. გარკვეული პერიოდის შემდეგ იგი კვლავ დააბრუნეს საქართველოში და დაასვენეს ანანურის ეკლესიაში. ჯვარი დაიკარგა გიორგი XIII-ის დროს.

11. ახლანდელი ახალციხის ტერიტორია.

12. სამსჭუალნი, ანუ ლურსმანი, რომლითაც მაცხოვარი მიაჭედეს ჯვარცმაზე, XVI საუკუნეში შაჰ-აბასმა, საქართველოს აღსრების შემდეგ, გაუგზავნა რუსეთის მეფეს მიხეილ თეოდორეს ძეს, რომელმაც დიდი მოკრძალებით დაასვენა იგი მოსკოვის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში.

13. უჯარმა უწინ დიდი და მდიდარი სავაჭრო ქალაქი იყო, სადაც კახეთის მეფეები ცხოვრობდნენ. აუშენებია იგი საურმაგ მეფეს, რომელიც მეფობდა ჩვ. წ. აღ-მდე 237-162 წლებში.

14. სუჯი იყო გარე კახეთის დედოფალი. იგი ცხოვრობდა ბუდეს, ანუ ახლანდელ ბოდბის ხევიში. ქრისტიანულ სარწმუნოებაზე დედოფალი მოაქცია წმინდა ნინომ. ამის შემდეგ მან მთელი კახეთი გააქრისტიანა. მორწმუნე დედოფალმა ნათლისღების შემდეგ წმინდა სვეტის თავჯანისცემა ინება

15. კონქი – აქ: საუფლო კვართის საფარველი გოდოლი.

16. ნიკოლოზ გულაბერისძის ცნობით, უწმინდესი სვიმონი მოღვაწეობდა იოანე კათალიკოსის შემდგომ ეპოქაში. იოანე კათალიკოსი იყო დავით აღმაშენებლის თანამედროვე. მის შემდეგ იყო გაბრიელ საფარელი და მერე – უწმინდესი სვიმონი. სვიმონის შემდეგ კი ნიკოლოზ I, გულაბერისძე (1160წ).

17. ძველთა დღე – მოხუცებული კაცი სახეა იესო ქრისტესი საუკუნეთა უწინარეს, რომელიც არის „უჟამო ჟამი“ ჟამი – განკაცებული მაცხოვარი, უჟამო – სამების ერთ-ერთი ჰიპოსტასი – ძე, რომელიც სუფევდა ხორციელად შობამდეც.

ტექსტი თანამედროვე ქართულზე გადმოიღო **ნანა მრევლიშვილმა** „წმინდა ნინო“ – სამეცნიერო კრებული



წმიდა დიდმოწამე ქეთევან დედოფალი

(ხსენება 26 (13) სექტემბერი)

წმიდა დიდმოწამე ქეთევან დედოფლის ეროვნულ-სარწმუნოებრივი ღვაწლი ქართული სინამდვილის მარადიულობის სიმბოლოა. 1624 წლის 13 (26) სექტემბერს შაჰ აბას I-ის ბრძანებით, მართლმადიდებელი სარწმუნოების დაცვისათვის, ირანის ქალაქ შირაზში აწამეს ქეთევან დედოფალი, რამაც ფართო გამოხმაურება ჰპოვა ქრისტიანულ სამყაროში. ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ ქეთევანი, კახეთის დედოფალი, წამებისთანავე წმიდანად შერაცხა.

ქართველი დედოფლის მოწამეობრივი სიმტკიცე, სარწმუნოებისათვის მისი თავგანწირვა, საქართველოს გადარჩენის სიმბოლოდ აღიქმება. XVII, XVIII, XIX ს-ის ქართული მწერლობის სხვადასხვა ჟანრში 17 ქართველმა ავტორმა 22 თხზულება მიუძღვნა წმიდა დიდმოწამე ქეთევანის ღვაწლს. წმიდა ქეთევან დედოფალი გამორჩეული მოღვაწეა, მასზე 11 ენაზეა შექმნილი სხვადასხვა ხალხის საარქივო მასალა – ლიტერატურული ძეგლი და ხელოვნების ნიმუში. ყოველი მათგანი ხაზს უსვამს წმიდა დიდმოწამე ქეთევანის განსწავლულობას, სიღარბაისღეს და მას დიდი იმპერიების დედოფლობის ღირსად მიიჩნევენ, ხოლო ერთგან მეფედაც იხსენიება. XVII ს-ის დასაწყისში, მაჰმადიანური და ქრისტიანული სამყაროს უკიდურესი დაპირისპირების ეპოქაში, ქეთევანის ღვაწლმა გადალახა ეროვნული საზღვრები და ზოგადსაკაცობრიო ტრავედიად იქცა, რომელშიც ამ პერიოდის რელიგიურ-აღმსარებლობითი, პოლიტიკურ-ეკონომიური და კულტურული პრობლემები იჩენს თავს...



წმიდა დიდმოწამე ქეთევანი.
აბბა ალავერდელ მიტროპოლიტ გრიგოლის
(ცერცვაძე) სენაკის ხატი, რომელიც მიტროპოლიტმა
დავითმა (მახარაძე) საჩუქრად გადასცა
იღუმენია ქეთევანს

ოსმალეთისა და ირანის პოლიტიკური გეგმების უპირველესი მიზანი იყო მსოფლიო ბატონობა და ორი მაჰმადიანური ქვეყნის ზეწოლის ქვეშ მყოფ საქართველოში უმართავი პროცესები განვითარდა. XVI საუკუნიდან საქართველოში იწყება უცხო ეთნოსთა კომპაქტური ჩამოსახლების პროცესი: სამხრეთიდან – სომხების, რომლის დროსაც აღინიშნება საქართველოში სომხების მე-3 ტალღის შემოჭრა (მაგრამ უფრო კომპაქტური და

უფრო მიკერძოებული ხასიათის), ასევე ოსების, დაღესტნელების, ჩერქეზების; აფსუების აფხაზებთან შერწყმამ დიდი პრობლემები შექმნა ქართულ პოლიტიკაში, რომელთა შედეგებსაც დღესაც იხდის საქართველო. ამავე პერიოდში საქართველოზე რუსეთის გავლენის ინტერესიც იჩენს თავს და ამდენად, საფრთხის წინაშე აღმოჩნდება საქართველოს არა მარტო სახელმწიფოებრივი სტატუსის არსებობა, არამედ, ქართველთა ფიზიკური გადარჩენის საკითხი. ასეთ ვითარებაში, ირანის შაჰის ტყვეობაში მყოფი დედოფალი ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა, როგორც მაჰმადიანთა,

ასევე კათოლიკური რომის მხრიდან... შაჰი, პოლიტიკური მოსაზრებებით, ლოიალურად ეპყრობა კათოლიკეებსა და მონოფიზიტ სომხებს, ხოლო დაუნდობლად ეკიდება მართლმადიდებლებს. მან კათოლიკეებს ნება მისცა წამების გზაზე მიმავალი დედოფლის თანხლებისა, რათა კათოლიკურ აღმსარებლობაში მიედრიკათ ქართველი დედოფალი და ამით მორალურად გაეტეხათ ქართველები.

კათოლიკური რომი, თავის მხრივ, საკუთარი პოლიტიკური მიზნებისათვის იღვწის და იგი საქართველოს კათოლიკურ ოჯახში შეყვანას ცდილობს. ქართველმა დედოფალმა არც მაჰმადიანობა მიიღო და არც კათოლიკობას ეზიარა. იგი მართლმადიდებელი ეკლესიის ერთგული დარჩა. ერთმნიშვნელოვანი იყო და არის ის ფაქტიც, რომ ჭეშმარიტ ქართველში მართლმადიდებლობა და სამშობლო გაიგივებული იყო. ამ პერიოდში არაერთი საერო და სასულიერო პირის თავგანწირვა განითქვა, რომელთა შორის ქეთევან დედოფლის სიცოცხლე და მოწამებრივი ღვაწლი გამოჩნეულია.

აღსანიშნავია რომის კათოლიკეთა მხრიდან ქეთევან დედოფლისადმი თანადგომა, იმავდროს, მისი გადაბირების ფუჭი მცდელობა და იმედგაცრუება. პორტუგალიელი კათოლიკე ბერი, ამბროზიო დუშ ანუში, წმიდა დედოფლის წამების თვითმხილველი, თავის რელაციასში „ნამდვილი ცნობები ქეთევან დედოფლის სახელოვანი სიკვდილის შესახებ“ აღნიშნავს, რომ ქეთევან დედოფალი ადასრულებდა ღვთისმსახურების „ბერძნულ წესს“. არსებობს ამბროზიო ანუშის პაპისადმი მიწერილი დოკუმენტური მასალაც, სადაც აღწერილია, თუ როგორ ილოცა ქეთევან დედოფალმა წამების წინ თავის სამლოცველოში, წმიდა ხატებთან და შემდეგ: „ჩაიღო წმინდა პურის ნატეხი, სწრაფად გამოვიდა სამლოცველოდან და წავიდა შაჰის ემისრებთან“. რომის პაპმა, ურბან VIII-მ 1629 წელს ვეტო დაადო კათოლიკურ ეკლესიაში ქეთევან წამებულის კანონიზაციას, რადგან პაპისავე აღიარებით, დედოფალი „ბერძნული წესის“ მიმდევარი იყო.

დიდმოწამე ქეთევან დედოფალი, პირველ ქრისტიანთა მსგავსად, კატაკომბური პირობების გარემოში, წამების წინ – თავისი ხელით ეზიარება, რასაც დავით გარეჯის მონასტრის მოწესე, გრიგოლ დოდორქელი (XVII-XVIII სს.) გადმოგვცემს თავის თხზულებაში: „დაასრულა რად ყოველნი ესე სიტყვანი, მაშინ გამოიღო წმინდა იგი საიდუმლოდ შენახული მის მიერ ჭურჭელსა რაისამე წმიდასა, აღიღო ხელითა თვისითა და თქვა: „უფალო იესო ქრისტე, რომელმან მოგვიყიდე პატიოსნითა სისხლითა შენითა, აწვა მიითუალე სისხლი ცოდვილისა მხეველისა შენისა... ადასრულა ყოველი და გამოვიდა განძლიერებული ძალითა საღმრთოთა და დაჯდა წინაშე მტარვალთა და მათ თანა...“ აღსანიშნავია რუსი ელჩების, ვასილ კორბინინის და ოსტაპ კუვშენიკოვის 1622 წლის მოხსენება, სადაც ისინი რუსეთის მეფეს წერენ: „ღმერთს ნებავს, რომ მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოებისათვის ქეთევან დედოფალმა

მიიღოს მოწამებრივი სიკვდილი...“ დომენტი კათოლიკოსი (XVIII-XIX სს.) ქართველ მოღვაწეთა საკითხავებში, წმიდა ქეთევანისადმი მიძღვნილ „წამებაში“, წერს: „ხოლო დედოფალმან ილოცა და ეზიარა უხრწნელსა ხორცსა და სისხლსა ქრისტესსა და მერმე წარმოსთქვა მრწამსი სრულიად ღმრთივბრწყინვალედ“. ამრიგად, შაჰის და სხვა ყოველთა მცდელობა ქეთევან დედოფლის გატეხვისა, უშედეგო აღმოჩნდა; ქართველმა დედოფალმა არც მაჰმადიანობა მიიღო და არც კათოლიკობა. იგი მართლმადიდებელი ეკლესიის ერთგული დარჩა... რისთვისაც დედოფალი აუწერელი სისასტიკით აწამეს: „ხოლო გაუბეს ხელ-ფეხი და გააშიშვლეს წმიდა ქეთევან დედოფალი და განხურვებულის გაზებით დაავლიჯეს ძუძუები და გახურვებული საჯებით დაავლიჯეს, ხორცზედან შემოუწყეს და გაახურვეს ლურსმნები და დაუყარეს ქუეშე და



დიდმოწამე ქეთევან დედოფლის წმიდა ნაწილები

ზედ გაატარეს, დააწვინეს და შიშუელზედ ზედ შემოაყარეს ლურსმანი და გახურვებული ქუაბი დაარქუეს თავსა ზედან, კუალად განხურვებულთა ქუაბთა შიგან ჩასუეს და თავსაც დაახურეს... და მრავალი სატანჯველი და ესრეთ შეჰკედრა წმინდა სული თვისი უფალსა და შეირაცხა წმიდათა ქალწულთა მოწამეთა კრებულთა თანა და მოვიდა სამხილებლად ყოველთა და დაადგა ნათელი“.

წმიდა ქეთევან დედოფლის პიროვნებაში გამოიკვეთა საქართველოს ისტორიული მისია, საერთაშორისო პოლიტიკურ სარბიელზე. თუ გვიანი შუა საუკუნეების ევროპა განაცვიფრებს თავისი მწყობრი არქიტექტურული ანსამბლებითა და გაწყობილი ქალაქებით, ამავე პერიოდში, ფიზიკური არსებობის ზღვარზე მდგარი საქართველო, ქეთევან დედოფლის სახით, რწმენის სიმტკიცის სამაგალითო

სახეს წარმოგვიდგენს... სწორედ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხედომილობა იყო ის განსაკუთრებული ნიშანი, რომლითაც XVII ს-ის დასაწყისში, უკიდურესი ქრისტიანული და მაჰმადიანური დაპირისპირების, მორალურ-ზნეობრივი შეჭირვების ეპოქაში, ქრისტიანულად სახელდებულ სამყაროს სწორედ საქართველოდან მოვევლინა ქალი წმინდანი, ქართველთა დიდმოწამე ქეთევანი, კახთ დედოფალი: პორტუგალიელებისათვის – გვატევიანდად, იტალიელებისათვის – ქეთოდ, ბერძნებისა და ინგლისელებისათვის – კეტებანით, ფრანგებისათვის – კეტრინიდ, გერმანელებისა და სლოვაკებისათვის – კატარინად, სპარსელებისათვის – მარიანით, სომხებისათვის – მარიამად წოდებული. გუარამაღლობით მცხოვრები, დედოფალი სიცოცხლეშივე მალდებდა თავის დროზე; რადგან მასში, როგორც ერთ პიროვნებაში, დამუხტული ეროვნული ენერგია წარმოჩინდა – ერის სულიერი სიწმინდისა და სიმტკიცის გადასარჩენად. ქეთევან დედოფალმა გადალახა ეროვნული საზღვრები და იგი სხვადასხვა აღმსარებლობის ქრისტიანად სახელდებულთა მორალურ-ზნეობრივ სიმბოლოდ იქცა, რადგან მასში მოწამებრივი თავგანწირვის ის სიდიადე და იდეალებისათვის მსხვერპლშეწირვის ისეთი უპრეცედენტო მაგალითი დაინახეს, რომელიც სჭირდებოდა XVII საუკუნის პარადოქსებით აღსავსე ეპოქას.

გადის ათასწლეულები და 400 წლის შემდეგაც თანამედროვე ქართველი ახალ-ახალ სიწმიდეებს ხსნის ქეთევან დედოფლის, ამ „საცვიფრო გასაკვირველი ქალის“ უზარმაზარ მორალურ ურყეობაში. მან, შეიძლება ითქვას, იმ პერიოდის მთელი მართლმადიდებელი ერის სახელით, თავისთავზე აიღო ისტორიული მისია ჯვარისმტვირთველისა. ამით საკუთარ თავში დაიბნა ყველა ქვეყნის მართლმორწ-

მუნის მწუხარება და ნუგეში. ამიტომაც არის იგი XVII-XVIII სს. ისტორიაში უკვდავყოფილი. საქართველოსათვის ამ უადრესად დიდი გარდატეხის პერიოდში, ფიზიკური არსებობის ზღვრამდე მისულ ქვეყანაში, სადაც ყველა რჯულის ხალხი თარეშობდა, ქეთევან დედოფალმა თავისი სარწმუნოებრივი სიმტკიცით, შეიძლება ითქვას, ჭეშმარიტების გზა გაუკვალა ქართველ ერს სიცოცხლის გაღების ფასად. მართლმადიდებლური აღმსარებლო-



დიდმოწამე წმიდა ქეთევანი
მინიატურა სვინაქსარიდან

ბის შენარჩუნება გზა იყო ამ უსასრულო ქაოსიდან თავის დაღწევისა და ქვეყნიერებაზე „ქართველის“ არსებობისა. სწორედ ეროვნულ-სარწმუნოებრივმა სულიერმა სიძლიერემ გადაგვარჩინა და მოგვიყვანა დღევანდელობამდე. ამიტომაც, მნათობის, წმიდა დიდმოწამე ქეთევან დედოფლის სახელი, სამარადისოდ დარჩება საქართველოში, როგორც სიმბოლო ერის სულიერი სიმტკიცისა და ძლიერებისა.

მომზადდა ფილ. მეცნ. დოქტორ მარინე ცინცაბაძის წიგნის „ქართველთა დიდმოწამე წმინდა ქეთევან დედოფლის“ მიხედვით



საქართველოს ღვთისმშობლისადმი წილხვდომილობისადმი წილხვდომილობის იდეა

საქართველოს ღვთისმშობლისადმი წილხვდომილობის იდეა ქართულ წყაროებში პირველად და აშკარად ჩნდება ეროვნული ცნობიერების აღმავლობის პერიოდში, X-XII საუკუნეებიდან. მანამდე კი იგი უთუოდ საეკლესიო ზეპირი ტრადიცია უნდა ყოფილიყო.

პირდაპირი ინფორმაცია ღვთისმშობლისადმი საქართველოს წილხვდომილობის თაობაზე ჩნდება მხოლოდ XII საუკუნიდან: 1) „ნინოს ცხოვრების“ არსენ ბერისეულ მეტაფრასულ ვერსიაში, 2) ნიკოლოზ გულაბერისძის „საკითხავში სუეტისა ცხოველისა, კუართისა საუფლოდსა და კათოლიკე ეკლესიისა“, 3) ნინოსადმი მიძღვნილ არსენ ბულმაისიმისძეულ საგალობლებში, 4) და აგრეთვე „ქართლის ცხოვრების“ ე.წ. ინტერპოლაციაში (ლეონტიეულ ტექსტში), რომელიც ვახტანგ VI-ის სწავლულ კაცთა კომისიას მიეწერება (XVIII ს.). ცოტა უფრო ადრე კი ნინოსადმი მიძღვნილ IX-X სს. ანონიმურ საგალობლებში ნინო მხოლოდ ღვთისმშობლის მოწაფედ მოიხსენიება.

თითქმის ყველა ეს წყარო ცდილობს, დაუკავშიროს მოციქულთა ქადაგებას საქართველოში ნინოს მიერ მისი ოფიციალური მოქცევა (ზოგჯერ რომელიმე ამ წყაროში აღნიშნულ საკითხთაგან ერთ-ერთზეა ყურადღება გამახვილებული, მაგრამ ცალკეული ეს ცნობები ავსებენ ერთმანეთს). ნიკიტა პაფლაღონელისეული „ანდრეას მიმოსვლის“ ეფთვიმე ათონელისეულმა თარგმანმა, სადაც რამდენჯერმე არის ნახსენები ანდრიას და სხვა მოციქულების (სიმონ კანანელის, მატათას, თადეოზის) ქადაგება საქართველოში – დასავლეთში თუ აღმოსავლეთში, საშუალება მისცა ქართველ მოღვაწეებს მრავალგზის გამოეყენებინათ იგი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დასაცავად. მოციქულთა საქართველოში ქადაგების ფაქტი გამოყენებული იქნა ლეონტი მროველის მიერ (ანდრია, სიმონ კანანელი – (24, გვ. 38²³⁻²⁸), გიორგი მთაწმინდელის მიერ თავის კამათში ანტიოქიის პატრიარქთან (ანდრია, სიმონ კანანელი – 9,

გვ.154, 174), ეფრემ მცირის შრომაში ქართველთა მოქცევის შესახებ (ანდრია, ბართლომე). ნინოს ქადაგებისათვის კი ეფრემი მასალად იყენებს თეოდორიტე კვირელის საეკლესიო ისტორიას (14). ანდრიას ქადაგების ნინოს ქადაგებასთან კომპილაციის ფაქტს ვხვდებით აგრეთვე რუის-ურბნისის კრების აქტებში (12, გვ.545; 8, გვ.179). არსენმა გამოიყენა აგრეთვე ყველა წყარო ანდრიასა და მოციქულთა (სიმონ კანანელი, მატათა, თადეოზი) საქართველოში ქადაგების შესახებ (5, გვ.9). ანდრიას, ბართლომეს და სიმონ კანანელის სახელები გვხვდება ჰიმნოგრაფიაში – ნინოსადმი მიძღვნილ საგალობლებში, მაგრამ ამ საგალობლების უფრო ადრეულ ნიმუშებში, რომლებიც „ანდრეას მიმოსვლის“ თარგმანად შეიქმნა, ირეკლება ალბათ ადრეული ბერძნული წყაროების ინფორმაცია და ქართული ზეპირი საეკლესიო ტრადიცია.

საყურადღებოა, რომ ეფრემ მცირე, რომელიც ყოველთვის ცდილობდა ბერძნულ წყაროებზე დაყრდნობას, რადგან ყურად იღებდა ბერძენთა მრავალრიცხოვან ყვედრებას ქართულთა მისამართით, არ ახსენებს ღვთისმშობელს არც ანდრიასთან და არც ნინოსთან დაკავშირებით, რადგან იგი იქ (ბერძნულ წყაროებში) არ არის ნახსენები საქართველოს მოქცევის კონტექსტში.

ყოველივე ზემოთქმულის ფონზე საყურადღებოდ გვესახება ის ფაქტი, რომ ღვთისმშობლის პირდაპირი ხსენება თუ არა, მასზე სიმბოლური მინიშნება საქართველოს მოქცევისასთან დაკავშირებით ჩნდება პირველივე წყაროში – თავად „მოქცევა ქართლისაჲს“ ტექსტში და მასში მოთავსებულ ნინოს მცირე და ვრცელ ცხოვრებებში (და აქედან ლეონტი მროველისეულ ტექსტშიც), რაც, შესაძლოა, ამ თხზულების ადრეული პლასტი თუ არა, ადრეული საეკლესიო ტრადიციის ასახვა იყოს. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული იყო – „ნინო მაყვლის ბუჩქში მიგვანიშნებს, რომ ღვთისმშობელია მისი შემფარველი, მისი სულიერი სადგური“ (33, გვ. 107).

სწორედ მაყვლოვანის სიმბოლური ინტერ-

პრეტაცია შეახსენებს ყოველ განათლებულ ქრისტიანს ღვთისმშობელს. მაგალითად, უძველეს იადგარშივე ღვთისმშობლისადმი მიმართულ სავედრებელ ჰიმნებში დედა ღვთისა იხსენიება როგორც „მაყუალი ადგზებული“ და „მაყუალი შეუწველი“ (37, გვ. 439_გ; 479_ბ; 492_გ). ბიბლიური მაცვლის ბუჩქი, ანუ ეკლოვანი ბუჩქი (გამოსვლ. 3,2) მის მრავალ მნიშვნელობათაგან მიწიერისა და ღვთაებრივის კავშირის გამოხატულებად, ასევე ღვთისმშობლის პროტოტიპად არის დასახული თეოლოგიურ ლიტურატიურაში (64, s. v. βασις განმარტება 1 c, f; 6). იგი თავის თავში ათავსებს კაცობრივისა და საღვთოს ანტინომიურ ოპოზიციას – მაცხოვრის შობით ღვთისმშობელი ისევე არ შეიწვა ღვთაებრივი ღოგოსით, როგორც ეკლიანი ბუჩქი არ დამწვარა საღვთო ნათლით, როგორადაც გამოეცხადა უფალი მოსეს.

ეს ჰიპოდოგმატურ-პარადოგმატური სახეები, როგორც პარალელური სახეები ძველი და ახალი აღთქმიდან, კარგად შეერწყა ერთმანეთს ჰიმნოგრაფიულ ტროპარებში, მაგ: „მაყუალი სულიერი (την βατην την σθητην), რომელი ეწუენა მოსეს მთასა სინასა მოტყინარე შეუწველად, სახედ შენდა გამოჩნდა, ღვთისმშობელო ქალწულო“ (გერმანე პატრიარქი – 27, №295); „მაყუალი (βασις) მოტყინარე... ჭემმარიტად მოგასწავებდა შენ, ღმრთისმშობელო, რამეთუ შეიწყნარე ცეცხლი ღმრთეებისა და შოსა შენსა უენებელად“ (იოანე მონაზონი – 27, №98); „სახედ (ταθην) მუცლად-ღებისა შენისა, უბიწო, მოესწავა საიდუმლო: მაყუალი მგზებარეც ცეცხლითა, რომელი არა შეიწუებოდა“ (იოანე მონაზონი – 27, №53); „საშოთ წმიდისადათ სიტყუად ღმრთისადა გამოჩნდა, მსგავსად მაყულისა (βασις) არადა შეიწუვა მისგან შეზავებითა ბუნებასა კაცთასა“ (იოანე დამასკელის შობის იამბიკური კანონი – 29, გვ. 69₂₅₋₂₇; 63, გვ. 205) და სხვ.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ არის მაცვლოვანის სახე „ნინოს ცხოვრებაში“, რამდენადაც იგი (ნინო), როგორც უფრო გვიანდელ წყაროებში გადმოგვცემენ, ღვთისმშობლის ნაცვლად მოვიდა საქართველოში საქადაგებლად. მცხეთაში მოსული ნინო მაცვლოვანში ცხოვრობდა. ამ სახეში ჩანს: 1. ნინოსა და ღვთისმშობელს შორის ჰიპოდოგმატურ-პარადოგმატული ურთიერთმომართება; 2. მიწიერსა და ზეციურს, საღვთოსა და ადამიანურს, აგრეთვე წარმართულსა და ქრისტიანულს შორის არსებული ანტინომია (ამ უკანასკნელს მოწმობს მეორე პარა-

დიგმა – „ეკალთა შინა ვარდისათა“, ეკალი, რომელიც უნდა „იქმნეს ვარდ მეწამულ, სულნელ“ – [31, გვ.332] ნინოს მიერ, ანუ მან უნდა მოაქციოს წარმართი ხალხი).

„და ილოცვიდა ფარულად ადგილსა ერთსა შებურვილსა ბრძამლითა მაყულისადა და შექმნა სახს ჯუარისადა და მუნ დაადგრა და ილოცვიდა და ადგილი იგი იყო ზღუდესა გარეგან, ხოლო მათ მაყუალთა ადგილი არს ზემოდსა ეკლესიისა საკურთხეველისა ადგილი... (31, გვ. 322₁₄). ტექსტში რამდენჯერმე არის ნახსენები ნინოს მაცვლოვანი და მასში აღსრულებული სასწაულები (31, გვ. 328₂₅; 340₂₁; 342₄₁; 343₃; 348₆; 354₂₇₋₃₀). ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანია მირიან მეფის სიყვარულის განცხადება ნინოს მაცვლოვანისადმი – „მიყუარან მაყუალნი ეგე შენნი“ (31, გვ.343₂₀). საყურადღებოა, რომ ეკლესია, რომელიც მირიანმა ააშენა ამ ადგილას („ზემოდ ეკლესიად“, ანუ სამთავროსი), ღვთისმშობლის სახელობისა იყო არსენისეული მეტაფრასული ვერსიის მიხედვით: „და გასრულდა ტაძარი იგი სახელსა ზედა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობლისასა“ (5, გვ.30).

ჩანს, რომ მაცვლოვანი ეკლესიის შიგნით მოექცა საკურთხეველში (იხ. ზემოთ: „მათ მაყუალთა ადგილი არს ზემოდსა ეკლესიისა საკურთხეველისა ადგილი“). იგივეა ნათქვამი მირიანის ანდერძში: „აღვაშენე ეკლესიად მაყულოვანსა მას შინა ნინოდსა და ვქმენ მას შინა საქმს ქმნული უჩინოდ და ცხადი დიდებად მაყულოვანთა მათ, რამეთუ არა გამოვაკუ ფურცელი ერთი მათგან, არამედ ჳარისკითა გარეშევიცვენ, რამეთუ მეხილვნეს მრავალნი სასწაულნი მას შინა და კურნებანი დიდნი: და აღვაშენე ზემოდ ეკლესიად თავისა ჩემისათუს ქვითა...“ (31, გვ.354).

ორივე პასაჟიდან ცხადი ხდება, რომ მაცვლოვანი საკრალური ადგილია, სადაც საკურთხეველი შენდება. შდრ. მოსეს მაცვლის შეუწველი ბუჩქის ადგილას აშენებული საკურთხეველი – „ტრაპეზი წმინდა და ეკლესია დაფენილი“, ელენე დედოფლის მიერ აგებული ტაძარი ღვთისმშობლის სახელზე ადგილსა „დაუწველისა მაყვალისა“ (ი. გედევანიშვილი, პ. კონტოშვილი – 28, გვ.93; 23, გვ.120; შდრ. 59, გვ. 92; 26, გვ.47-48). ხოლო შემდეგ იქვე აავო მოზრდილი ტაძარი იუსტინიანემ. ამ საგანეში, როგორც ჩანს, ქართველებიც მოღვაწეობდნენ. „მაცვლოვანისა ღვთისმშობელი“ ნახსენებია სინის მთის სულთა მატეიანეში (შინ. 77, XIII-XIV სს. კრებ. – 50, გვ.

241; 38), მაყვლოვანის მონასტერი – 973წ. იოვანე-ზოსიმეს მიერ შემოსილი ასკეტიკური კრებულის Sin.35-ის (პატერიკები) ანდერძში: „შეიმოსა წმიდად ესე წიგნი მონასტერსა შინა მაყვლოვანსა სინას“ (55, გვ.169).

როგორც ზემოთ ვთქვით, ეკლიან ბუჩქებს



წმიდა ნინოს მაყვლოვანი

„ნინოს ცხოვრებაში“ ჰქონდათ, ერთი მხრივ, წარმართობის აღმნიშვნელი სიმბოლური დატვირთვა – ნინოს მაყვლოვანი საქართველოში და ეკლიანი ვარდი სომხეთში გამოხატავს მის ყოფნას წარმართთა შორის. ეს ადგილები კი უნდა განიწმინდოს მის მიერ – ჯვარის აღმართებით მაყვლოვანში და ეკლის სურნელოვან ვარდად ქცევით (როგორც ეს თავად ტექსტშია აღნიშნული). ამავე დროს მაყვლოვანის საკრალიზაცია და საკურთხევლის აშენება ამ ადგილას ბიბლიურ ეკლიან ბუჩქსა

(ბაზილიკა) და მის პარადიგმაზე – ღვთისმშობელზე მიმანიშნებელია. შდრ. ბაზილიკა როგორც ქრისტიანული საკურთხევლის ტიპი (Pers. capt.VII-VIII სს. PG86, 324C) და როგორც მონასტრის სახელწოდება ცეცხლოვანი ბუჩქის მხარეში (Nyl.Ancyр.Vs.narr.4. PG79,628A-64, s.v. ბაზილიკა-განმარტება 1, i; 2).

მოსაზრება, რომ „მაყვლოვანი“, შესაძლოა, ყოფილიყო ღვთისმშობლის პირველი ხსენების ტოლფასი ნინოსთან დაკავშირებით „მოქცევაში“, შესაძლებელია განმტკიცდეს იმ ფაქტით, რომ მრავალ მოვლენას თუ სახეს „მოქცევაში“ (ისევე როგორც ქრისტიანულ ტექსტებში საზოგადოდ) აქვს სიმბოლური მნიშვნელობა, რაც ზოგჯერ თავად ტექსტშივეა განმარტებული. მაგ: „მოქცევაში“ რამდენჯერმეა ნახსენები „ჩრდილო“ – „ჩრდილოსა ამას ქალაქსა შინა“ (31, გვ. 13), „ჩრდილოთა მცხეთელთა“ (31, გვ.331¹⁴⁻³⁰; შდრ. გვ. 337¹³); „ჩრდილოდა ქუეყანად – საწარმართოდ ქუეყანად“ (31, გვ.331³⁰); „და იყო ქუეყანად ესე ჩრდილო მზისაგან სიმართლისა, ძისა ღმრთისა მოსვლისათვის და ცნობისა, ვითარცა სახელი ერქუა სამართლად ჩრდილოდ...“ (31, გვ.237¹⁶). როგორც ვხედავთ ეს არის არა მხოლოდ გეოგრაფიული ჩრდილოეთი, არამედ სიმბოლური. ჩრდილოეთის ამგვარი უარყოფითი მნიშვნელობა, როგორც წარმართულისა და ბოროტებისა, ბიბლიური წიგნებიდან მოდის (იერ. 6,1. 22-23 და ა.შ.).

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მაყვლოვანი ერთ-ერთ საკრალურ ადგილად ითვლებოდა „მოქცევაში“ სხვა საკრალურ ადგილთა შორის (ნაძვი/კედარი – სვეტი ცხოველი, ჯვრები და სხვ.). ეკლესიის აშენება ამ ადგილას მიიჩნეოდა ფარული საკრალიზმის ცხადად ქცევად – ნინოს უჩინო ღვაწლი („საქმე ქმნული უჩინოდ“) გაცხადდა მირიანის მიერ ეკლესიის აგებით („ცხადი დიდებდა მაყვლოვანთა მათ“) და ა.შ. (49, გვ.103-107; 19, 10; 32, გვ. 35, გვ.77). ცნობილია აგრეთვე, რომ ძველი ქართული ეკლესია იმეორებს იერუსალიმის ეკლესიას ტოპოგრაფიულადაც. მცხეთა გახდა მეორე იერუსალიმი (53,

გვ.362). ასე რომ, ნინოს მაცვლოვანი შეიძლება როდღაც ყოფილიყო იერუსალიმის ანალოგიით ნებისმიერი სხვა საკრალური ადგილის განმეორება, მაგ: როგორც ზემოთ ვნახეთ, შესაძლოა, სინის მაცვლოვანისა და მის ადგილას აგებული ღვთისმშობლის ეკლესიისა. ნინოსა და ღვთისმშობლის ურთიერთმიმართებაზე საქართველოს მოქცევასთან დაკავშირებით მიუთითებს აგრეთვე ნინოს სიზმარი. ანგელოზი ამხნევეს ნინოს, რათა არ შეშინდეს იმის გამო, რომ ქალია, რადგან ქალი იყო მარიამ მაგდალინელიც. მას კი უფალმა უბრძანა თავისი აღდგომის განცხადება: „პრქუა მარიამ მაგდალენელსა იესუ: „წარვედ, დედაკაცო და ახარე ძმათა ჩემთა“– (ი. 20,17); (31, გვ.333₃₀). აქვე ნათქვამია, რომ უფალს ძლიერ უყვარდა იგი – მარიამი (მაგდალინელი იგულისხმება), რადგან იგი ყოველთვის ისმენდა მის ჭეშმარიტ სიბრძნეს: „ფრიად უყვარდა მარიამ უფალსა, რამეთუ მარადის ისმენნ მისსა სიბრძნესა ჭეშმარიტსა“ (31, გვ. 333₁₆. შდრ. ი. 11,5; ლ. 10,39). ამ ორი ქალის მნიშვნელობა ქრისტიანული სწავლების გავრცელებისათვის გამოხატულია შემდეგი სიტყვებით: „სადაცა იქადაგოს სახარებად ესე, მუნცა ითქუმოდის დედაკაცი ესე“ (31, გვ. 333₁₈. შდრ. მთ. 26,6-13; მკ. 14,9). იგივე მეორდება არსენისეულ მეტაფრასულ ვერსიაში. ქვემოთ განხილულ წყაროებში ვნახავთ, რომ საქართველოს მოქცევასთან დაკავშირებით ნინოს ღვთისმშობელთან მიმართების ინტერპრეტაციას საფუძვლად ედება სწორედ მათი სქესით ერთობა (ნიკოლოზ გულაბერისძე, არსენ ბულმაისიძისძე).

ღვთისმშობლის საქართველოსთან კავშირისათვის მნიშვნელოვანია აგრეთვე უფლის კვართის მოხსენიება ჯერ კიდევ „მოქცევაში“ წილხვდომილობის, წილის ყრის კონტექსტში: „და კუართი იგი ამათ ისუედრეს, ჩრდილოსა ამას ქალაქსა... და კუართისა მის თქუეს წილით-ხუედრებად ამათი“ (31, გვ. 323₁₃). „წილით ჰხუდა ჩრდილოთა, მცხეთელთა კუართი იგი უფლისა იესუდსა“ (31, გვ.331₁₅). „ხოლო სამოსელი იგი ჰხუდა ამას ქუეყანასა წილით“ (31, გვ. 339₁₇). წილხვდომილობა ხშირად შეგვხვდება ქვემოთ განხილულ ლიტერატურაში, სადაც ღვთისმშობელი უშუალოდ იქნება დასახელებული საქართველოსთან – მის მიერ განსანათლებელ ქვეყანასთან მიმართებით. კვართის გამოჩენა, როგორც საქართველოს წილხვდომილისა, გამოხატავს ქრისტეს წყალობას, რომელსაც

სურდა ამ ქვეყნის კურთხევა-განათლება მომავალში მისი განმანათლებლების მეშვეობით (იხ. ქვემოთ XII-XIII სს. ქართველ მწერალთა – ნიკოლოზ გულაბერისძის, არსენ ბულმაისიძისძის, საბა სვინგელოზის – ინტერპრეტაციები).

შემდგომი ქრონოლოგიური ეტაპი ღვთისმშობელისა და ნინოს ურთიერთმიმართების ასახვისათვის ქართული პიმნოგრაფიაა. ეს არის IX-X სს. პალესტინურ სკოლაში უძველესი იადგარის საფუძველზე წარმოშობილი ე. წ. ახალი ტიპის იადგარის მასალა (37, გვ. 939). აქ წარმოდგენილი ნინოსთან დაკავშირებული მასალა, თავის მხრივ, უკვე არსებულ ტრადიციას ეფუძნება, უმთავრესად, „ნინოს ცხოვრების“ პირველ რედაქციასვე. აქ მოთავსებული ნინოს საგალობლების ინფორმაცია აღნიშნულ საკითხზე წინ უსწრებს ღვთისმშობლის უშუალო მოხსენიებას მეტაფრასულ ვერსიაში ნინოსთან დაკავშირებით, ალბათ, შატბერდულ ვერსიაში მინიშნებული ნინოსა და ღვთისმშობლის კავშირის ინტერპრეტაციით და შესაძლოა, ზეპირად არსებული საეკლესიო ტრადიციის გავლენით.

ასეთი მასალა გვხვდება წინათონური თვეის პირველ დამოუკიდებელ რედაქციაში, რომელიც IX-X სს. მიჯნაზე ჩამოყალიბდა და გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს ახალ იადგარსა და გიორგი მთაწმინდელის თვენს შორის. აქ ნინოსადმი მიძღვნილ საგალობლებში (მაგ: Jer.42, გადაწერილი XI ს. შუა წლებში, 78r. შდრ. იელის იადგარი) IX ოლაში – „ადიდებდითსა“ (ლ. 1, 46-55), რომელიც ტრადიციულად შექმნილია ღვთისმშობლის თემაზე (69, გვ. 242), ნინო ღვთისმშობლის მოწაფედ არის სახელდებული – „ნინო – მოწაფედ ღმრთისმშობლისა, მოციქული ჩრდილოდსა სოფლისა“ (48). არსებობს მოსაზრება, რომ თუმცა Jer.42 გვიანდელი პერიოდისაა, იგი შეიძლება ასახავდეს უფრო ადრეულ ვითარებას, ძველი წყაროდან გადმოტანილს, რადგან ნინოსადმი მიძღვნილი საგალობლები აქ 14 იანვრის ნაცვლად (შდრ. Sin.64, Ath.65) მოთავსებულია მარხვის ციკლში (47, გვ. 248-249, 252). ამასთან, რადგან ნინოს ცხოვრების შატბერდულ-ჭელიშური რედაქციის თანახმად, განმანათლებლად აქ მხოლოდ ნინოა დასახელებული, ეს გალობანი ქრონოლოგიურად თუ არა, იდეურად მაინც უფრო ადრეულად არის მიჩნეული, ვიდრე მეორე რიგის საგალობლები ახალი იადგარებიდან, სადაც ნინოსთან ერთად მოციქულთა ქადაგებაც არის ნახსენები

(47, გვ.254).

ახალი ინფორმაცია, რომელიც ჩნდება ნინოსადმი მიძღვნილ საგალობლებში ახალი იადგარებსა და თვეებში, არის სწორედ მოციქულთა საქართველოში ქადაგების ხსენება, რაც, როგორც ვთქვით, მიჩნეულია, რომ იდეოლოგიურად უფრო გვიან უნდა იყოს გაჩენილი, ვიდრე განმანათლებლად მხოლოდ ნინოს დასახელება (47, გვ.252). იგი პირველად ჩნდება X ს. პალესტინური რედაქციის სინური იადგარებში (რომლებიც ცხადია, ცოტა უფრო ადრინდელ ვითარებას ასახავენ – IX-X სს. მიჯნის): „სამოციქულოსა მას დიდებულსა ბართლომეოსის ნაწილსა ჩრდილოეთ კერძოდასა მას ღირს იქმენ შენ [ნინო], სანატრელო, მაღლისა მიერ მოქცევად წარმართთა სარწმუნოებად“ (Sin.64, X ს. 45 ვ. შდრ. Sin.59. 14 იანვარს ნინოდანი დასდებელნი უფალო დაღატყავსა ჳ-დ და გ-დ). გიორგი ათონელის თვეებში „სამოციქულოსა მის დიდებულსა სიმონ კანანელისა ნაწილსა ერსა ღირს იქმენ, ღირსო ნინო, მაღლისა მიერ მოქცევად მისსა სარწმუნოებად“ (Ath.65, XI ს. 105 v. შდრ. H 2338, 14 iv-155 r). ანდრიას ხსენება კი პირველად შიომღვიმის ტიპიკონის (H 1349, XIII ს.) ნინოსადმი მიძღვნილ საგალობლებში გვხვდება, როგორც მიჩნეულია, საქართველოს ღვთისმშობლისადმი წილხვდომილობის აზრის განმტკიცების შემდეგ (47, გვ. 255).

ნიკიტას ტექსტი „ანდრეას მიმოსვლა“ თარგმნილია განხილულ ქართულ ჰიმნოგრაფიულ მასალაზე უფრო გვიან 1011 წ. ასე რომ, ინფორმაცია მოციქულთა ქადაგების შესახებ საქართველოში თავად ნიკიტას ტექსტში, ხოლო მის ქართულად თარგმნამდე უფრო ადრე სხვა ქართულ წყაროებში უნდა გაჩენილიყო ადრეულ ბიზანტიელ ავტორთა ცნობებიდან. საგულისხმოა, რომ „ანდრეას მიმოსვლათა“ ნიკიტასეული ტექსტის სათაურში ნათქვამია – „...რომელი შეკრიბა პირველ წერილთა მოსაჯსენებელთაგან ნიკიტა ღირსმან მონაზონმან და ფილოსოფოსმან“ (A 1103, 219 v). ბერძენ ავტორთა (ორიგენეს III ს, ევსევი კესარიელის III-I სს., ეპიფანე კვიპრელის IV ს., თეოდორიტე კვირელის IV-V სს. ეპიფანე კონსტანტინეპოლელის VIII ს. და სხვ.) ეს ცნობები ანდრიას სკვითიაში, ანუ ძველ ავტორთა გეოგრაფიით შავი და კასპიის ზღვების მიდამოებში (41, გვ.178; 42, გვ.37, 121) ქადაგების შესახებ მიმოხილულია სამეცნიერო ლიტერატურაში (43, გვ.29, 221; 15, გვ. 165-169; 51, გვ.34-51).

ღვთისმშობლის წილხვდომილად ქართველები მოხსენიებულია „ილარიონ ქართველის ცხოვრებაშიც“ (ექვთიმე ათონელის ვერსია. X ს. II ნახევარი), თუმცა აქ მოციქულები და ნინო ნახსენები არაა. ღვთისმშობელი ეუბნება ულუმბოს მთის მონასტრის ბერძენ მამასახლისს ილარიონისა და მისი სულიერი ძმების შესახებ, რომელთა მონასტრიდან გაძევებაც მას (ამ მამასახლისს) მოუნდომებია: „და რომელნი მათ არა შეიწყნარებენ, მტერ ჩემდა არიან, რამეთუ ჩემდა მონიჭებულ არს ძისა მიერ ჩემისა ნათესავი იგი შეურყეველად მართლმადიდებლობისათვის მათისა, ვინაფთგან ჰრწმენა სახელი ძისა ჩემისა და ნათელ-იღეს“ (9 ა, 20). ჩანს, ეს ცნობა მტკიცედ ყოფილა ფეხმოკიდებული სწორედ ათონურ ქართულ ტრადიციაში.

წილხვდომილობის საკითხის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი საფეხურია ნინოს ცხოვრების არსენისეული მეტაფრასული რედაქცია. არსენი ცდილობს შეკრიბოს საქართველოს მოქცევის შესახებ არსებული თითქმის ყველა წყარო. იგი საუბრობს მოციქულთა ქადაგების შესახებ საქართველოში – ანდრიას, სიმონ კანანელის, მატათას, თადეოზის მოსვლის შესახებ (5, გვ. 9), შესაძლოა, ნიკიტას ტექსტის ეფთვიმესეული თარგმანის მიხედვით. იგი საუბრობს აგრეთვე მოციქულთა მიერ წილის ყრაზე უფლის ამალღების შემდეგ (5, გვ. 15₁₀). შემდგომ საუბარია იმაზე, რომ უფალი შეაყოვნებს ღვთისმშობელის საქართველოში წასვლას საქადაგებლად: „არა მნებავს ქადაგებად წარსვლად შენი, არამედ წარვედ შენ სახიდ შენდა სიონდ, რამეთუ ნაწილ შენდა არიან ადვილ მოსაქცეველნი ერნი წარმართნი და ქუეყანად მათი“. სიკვდილის შემდეგ ღვთისმშობელი იხსენებს თავის წილხვდომილ ქვეყანას და ხალხს: „ხოლო განვიდა რად სოფლისა ამისგან... მოივსენა უფლისა მიერ და ძისა თვისისა წილხვდომილი იგი მისდა ქუეყანად და ნათესავი ჩუენი, რამეთუ ნაწილ მისა ჩუენ ვართ, ნათესავნი ქართველთანი“ (5, გვ.16₁₂). ამიტომ ეჩვენა იგი იერუსალიმში ნინოს და გამოაგზავნა საქადაგებლად თავის წილხვდომილ ქვეყანაში: „აჰა ესერა წარგავლინებ შენ ქადაგად ნათესავთა მიმართ უცხოთა, ნაწილსა ჩემსა ქუეყანასა ჩრდილოდასა, ერისა მიმართ ქართველთადას“ (5, გვ.16₁₈).

შემდგომი საფეხური საკვლევი საკითხის ისტორიისათვის არის XIII ს. საქართველოს კათალიკოსის ნიკოლოზ გულაბერისძის ბრწყინვალე „საკითხავი სუეტის ცხოველისა,

კუართისა საუფლოდსა და კათოლიკე ეკლესიისა“. აქ იგი ეყრდნობა რა უმთავრესად „მოქცევაჲს“ და არსენისეულ მეტაფორასულ ვერსიას, უფრო ვრცლად, ვიდრე არსენი, თავს უყრის თითქმის ყველა წყაროს საქართველოს მოქცევასა და წილხვდომილობასთან დაკავშირებით და საკუთარი უტყუარი ინტერპრეტაციით („ვითარ ვგონებ მე“, – როგორც თავად ამბობს) შესანიშნავად აკავშირებს ერთმანეთთან მოვლენებს მიზეზ-შედეგობრივი კავშირით. იგი რიტორიკულად განიხილავს და განმარტავს იმ მიზეზებს, რამაც დაახლოვა ერთმანეთთან საქართველოსთან დაკავშირებული საკრალური საგნები თუ მოვლენები – უფლის კვართი, რომლითაც წინასწარ იქნა დაწინდული საქართველო მოციქულთა ქადაგებამდე, რათა იგი გამხდარიყო „ერი საზეკურო“; სვეტი ცხოველი, რომელიც აღმოცენდა იმ ადგილას, სადაც უფლის კვართი იქნა დაკრძალული და დაუკავშირა იგი ნინოს, რომელიც სასწაულებს იქმნდა იქ; საქართველოში ღვთისმშობლის ნაცვლად წარმოვლენილი ნინო, როგორც ქალის ნაცვლად მოსული ქალი ქალისავე წილხვდომილ ქვეყანაში და ა.შ. ვნახოთ ეს პასაჟები:

„და აღდგომისა და ზეცად ამადლებისა მისისა ბრძანებითა უფლისაჲთა კიდეთა ქუეყანისათა წარივლინეს მოციქულნი... თუთოეულსა ადგილსა, ვითარცა სული მისცემდა. მას ჟამსა უკუე ყოვლად სანატრელი იგი და უფროდსად კურთხეული დედა ღუთისაცა სურვიელ იყო და მეცადინეობდა წარსვლად ქადაგებად. ხოლო... ილოცვიდა რად, ზედა წამოდგომითა ძემან და ღმერთმან მისმან დააყენა ამის საწადელისაგან. ხოლო ვინადგან იგი დედაკაცი იყო... ამისთვისცა უკუე უკანასკნელთა ჟამთა, რაჟამს ღმერთმან ინება წყალობა და ცხოვრება ნათესავისა ჩვენისა, დედაკაცივე წარმოავლინა, ვითარ ვგონებ მე, გამოთხოვითა დედისა ღუთისათა ძისა თუხისა თანა, ვინადგან ნაწილიცა იყო დედისა ღუთისა“ (10, გვ. 71-72).

„რამეთუ წინასწარვე განეგო სახიერსა მას ამის სამეფოსა ერად საზეკუროდ შემზადებაჲ და ვინათგან ნაწილიცა იყო ყოვლად წმიდისა ღუთისმშობლისა, ამისთვის უფროდსად ღირს იქმნა ამას საშინელსა მადლსა ესე კედარი. ამისთვის უკუე წინასწარვე წარმოევილინა მადლი ღმრთეებისა მისისა, რადთა პირველადვე დაიწინდოს კუართითა მით და მადლითა ღმრთეებისა მისისაჲთა“ (10, გვ.77).

„ღმერთმან ყოვლისა სიბრძნისა განმგე-

ბელმან, წინასწარვე განგებულებით მიანიჭა სამოსელი ძისა მისისა ქალაქსა ამას“ (10, გვ. 82).

იმასვე ამბობს ნიკოლოზ გულაბერისძე იმავე საკითხისადმი მიძღვნილ საგალობელში: „გიხაროდენ ღმრთისა დედაო, უბიწოო, რომლისა ნაწილად ღირს ვიქმნებით ქართველნი“ (342, XVII-XVIII სს.- 34).

ის ფაქტი, რომ შიოს მეტაფორასული ცხოვრების მიხედვით (XIII ს. I ნახევარი) ღვთისმშობელი აძლევს იოანე ზედაზნელს მითითებას წავიდეს 12 მოწაფესთან ერთად ქართლში და იზრუნოს მისი სარწმუნოებისათვის (1ა, გვ. 79) და აგრეთვე ღვთისმშობელი და წმიდა ნინო ერთად ეცხადებიან მას, რათა დააგზავნოს თავისი მოწაფეები მთელს ქართლში (1ა, გვ. 91), იმაზე მიანიშნებს, რომ ამ დროისათვის ღვთისმშობლის წილხვდომილობის და ღვთისმშობლისა და წმიდა ნინოს ერთმანეთთან დაკავშირების ლიტერატურული ტრადიცია უკვე ძალიან მყარია.

ღვთისმშობლის წილხვდომილად საქართველო მოიხსენიება აბდულმესიანშიც (XII-XIII სს): „ძირით მისისა იესესისა / შვილი მართალი იშვა ცხოვრებად / ქალწულ-წმიდისა წილხდომილისა / საქართველოსა მეფედ წოდებად“ (აბდულმესია, II, 16).

არსენ ბულმაისიმისძეულ (XIII ს.) ნინოსადმი მიძღვნილი საგალობლის „ღმრთისმშობლისანში“ ჩნდება ქალწულ მარიამის სახელი ნინოსთან დაკავშირებით, რაც განხილული წყაროების გამოხმაურებაა: „იქმნა ორდანო მადლთა შენთაჲ, ქალწულო ყოვლად წმიდაო ღმრთისმშობელო, ქალწული და წილხდომილთა შენთა განმანათლებელი ნინო“ (H1349, XIII ს. 4v. 34).

ერთი ყველაზე ვრცელი ინფორმაცია აღნიშნულ საკითხზე „ქართლის ცხოვრების“ ე.წ. ინტერპოლაციაა, რომელიც ვახტანგ VI-ის სწავლულ კაცთა კომისიას მიეწერება (XVII-XVIII სს. – 24, გვ. 029-030-034). იგი ჩართულია ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრების“ იმ ადგილას, სადაც საუბარია ადერკის მეფობის შესახებ, მაცხოვრის შობის შესახებ მისი მეფობის პირველ წელს, მცხეთელ ურიათა მიერ იერუსალიმიდან უფლის კვართის მოტანის შესახებ, ანდრიას და სვიმონ კანანელის მიერ აფხაზეთის, ეგრისის და კლარჯეთის მოქცევის შესახებ და ა.შ. აი, ნაწილი ამ ჩანართიდან:

„და შემდგომად ამადლებისა უფლისა, რაჟამს წილ იგდეს მოციქულთა, მაშინ ყოვლად

წმიდასა ღმრთისმშობელსა წილად ხუდა მოქცევად ქუეყანა საქართველოსა. და ჩუენებით ეჩუენა მას ძე მისი, უფალი ჩუენი და ჰრქუა: ჰ დედოფალო ჩემო, არა უგულვებელ-გყო ერი იგი საზეპურო უფროდს ყოველთა ნათესავთა, მეოხებითა შენითა მათთვის, ხოლო შენ წარავლინე პირველწოდებული ანდრია ნაწილსა მას შენდა ხუედრებულსა და თანა-წარატანე ხატი შენი, ვითარცა პირსა შენსა დადებითა გამოისახოს. და შენ წილ ხატი იგი შენი მკვიდრობდეს მცველად მათდა უკუნისამდე“ (24, გვ.36).

როგორც ვხედავთ, ამ ცნობაში ასახულია ყველა ადრეული წყარო: „მოქცევაჲ“, ნიკიტა პაფლაღონელი, არსენ ბერი, ნიკოლოზ გულაბერისძე, მხოლოდ ღვთისმშობლის ხატის წყაროა უცხო. იგი უნდა იყოს ზეპირი საეკლესიო ტრადიცია, ე.წ. დაუწერელი გადმოცემა (αγραφοῦν ἡραδῆσθαι. II Kor. 11,23; II Thes. 2, 15). ანდრიას მიერ ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატის აწყურში მოტანასთან დაკავშირებით (ინტერპოლაციის ცნობის მიხედვით) საყურადღებოა, რომ ერთ-ერთ ადრეულ წყაროში – იოანე ანჩელის (XIII ს. უკანასკნელი მეოთხედი) „გალობანი ანჩისხატისანში“ ქართველთა განმანათლებლად მოსულ ანდრიას მიეწერება მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის ედესიდან იმავე აწყურში ჩამოტანა.

საბა სვინგელოზის (XIII ს.) მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილ საგალობელში („გალობანი ქრისტეს განგებულებისა და განკაცებისანი“) „პირმშოდ ხატის“ გამოჩენა საქართველოში ღვთისმშობლის სამოციქულო ნაწილთან არის დაკავშირებული: „ესე პირმშოდ ხატი აღმობრწყინდა და გამოაჩინა პირითა სამოციქულოსა ნაწილსა უბიწოდსა დედისა ქალწულისასა და გუაცხოვნა წყალობითა თვისითა და დაგუფარნა საფარველსა ქუეშე“ (45).

ამგვარად ზემოთ განხილული წყაროების საფუძველზე მეტ-ნაკლებად ჩანს, რომ ღვთისმშობლისადმი საქართველოს წილხვედლომილობის იდეა აერთიანებს ღვთისმშობელთან ერთად მოციქულებს (განსაკუთრებით, ანდრია პირველწოდებულს) და წმიდა ნინოს. ამ იდეასვე უკავშირდება ღვთისმშობლისა თუ მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატების საქართველოში წამოსვენების ისტორიაც. აღნიშნული პრობლემა კიდევ საჭიროებს უფრო ფართო კვლევას. საყურადღებოა, თუ როდის ჩნდება იგივე ცნობები საქართველოს წილხ-

ვედლომილობის შესახებ (აღბათ, ქართული წყაროებიდან) რუსულ საეკლესიო წყაროებში ან ამავე წყაროებში როდის ცხადდება კიევი-პეჩორის ლავრა ასევე ღვთისმშობლის წილხვედრილად. ღვთისმშობლის წილხვედრილად ითვლება ათონის მთაც. მისი უკანასკნელი და მეოთხე წილხვედრია სერაფიმე საროველის მიერ დაარსებული დივეევოს დედათა მონასტერი (54, გვ.257-258). ჩანს, რომ საქართველოს ღვთისმშობლისადმი წილხვედრილობის ზეპირი თუ წერილობითი ტრადიცია რუსულ სამყაროში განმტკიცებულია სერაფიმო-დივეევოს ტრადიციით და ივერონის ღვთისმშობლის ხატის დიდი კულტით რუსეთში, აგრეთვე ამ ხატის XVII საუკუნიდან გამრავლებული ასლებით. ივერონის ღვთისმშობლის ხატი, რომლის ასლები დიდი ხანია უკვე არსებობს მართლმადიდებლურ სამყაროში (საქართველო, რუსეთი, ბულგარეთი, სერბია, მონრეალის მირონმდინარე და სხვ.) სულიერად აერთიანებს არა მარტო ღვთისმშობლის წილხვედრ ადგილებს, არამედ მთელს ამ საქრისტიანოს ერთმანეთთან.

აღნიშნული საკითხების უშუალოდ პირველწყაროების ქრონოლოგიურმა შესწავლამ, შესაძლოა, მრავალი ახალი მასალა გამოავლინოს და მეტ-ნაკლებად გაარკვიოს ზეპირი და წერილობითი საეკლესიო ტრადიციების ურთიერთმიმართების პრობლემა.

ფილ. მეცნ. დოქტორი
ქეთევან ბეზარაშვილი



ARQIMANDRITI LAZARE (GAGNIZE)

SAKVIRAO QADAGEBA

(27 ივნისი 2010 წელი)



უფალს განშორებული მთელი ერიც კი. წაკითხული სახარება და მასში მოთხრობილი იგავი, ეშმაკების ღორების კოლტში შესვლისა და ამგვარად მათი დაღუპვისა, ამ ფაქტის მრავალმხრივი განზოგადოების საშუალებას გვაძლევს. ადამიანები, რომლებიც ღმერთს განუდგებიან, ემონებიან და ემორჩილებიან ეშმაკს. ისინი ზნეობრივი და ეთიკური პოზიციით, თავისი სულისკვეთებით ემსგავსებიან პირუტყვებს, ისე როგორც ეს, უკიდურესი ფორ-

სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა ჩვენთან არს ღმერთი!

მათეს სახარების ერთ-ერთ თავში საუბარია მაცხოვრის მიერ აღსრულებულ სასწაულზე, რომლითაც მაცხოვარმა ორი გერგესეველი ეშმაკულისაგან განასხა უწმიდური სული. ორივე ეშმაკისეული განიკურნა და დაუბრუნდა ცხოვრების ჩვეულებრივ, ნორმალურ წესს. ამ კაცებიდან გამოდენილი ეშმაკები, მაცხოვრის ბრძანებით, შევიდნენ ღორის კოლტში, რომლებიც მათ ზღვის კბოდეში გადაჩეხეს და წყალში დაახრჩვეს.

კაცობრიობის ისტორიიდან ცნობილია უამრავი მაგალითი, თუ რამდენი ადამიანი დაიმონა და დაიმორჩილა ბოროტმა სულმა და აქცია ისინი პირუტყვებად და უნდა ითქვას, რომ ეშმაკის მორჩილებაში აღმოჩენილან არა მარტო ცალკეული ადამიანები, ან ადამიანთა ჯგუფები, არამედ –

მით, გაკვეთილის სახით, მოწოდებულია წაკითხულ სახარებაში. მსგავს მოვლენებს ადგილი აქვს უძღვები შვილის იგავშიც, როცა ბოროტს და მის უზნეობას დამონებული ადამიანი ემსგავსება პირუტყვს, არა მარტო ზნეობის თვალსაზრისით, არამედ – სოციალურადაც. იგი იკვებება და საზრდოობს იგივე საკვებით, რითაც იკვებებიან ღორები. ამის თვალსაზრისით მაგალითია უძღვები შვილი ლუკას სახარებიდან. ადამიანები უძღვები შვილის მდგომარეობამდე მიდიან, როცა განუშორებიან უფალს. ეს პროცესი ხშირად არ ექვემდებარება გამოსწორებას, მაგრამ არის შემთხვევებიც, როცა თავად უფალი არ გასწირავს ადამიანს და ზოგჯერ მთელ ერსაც. ბოლშევიკური ბატონობის შემდეგ – ქართველ ხალხსაც ისევ უფალმა შეაშველა ხელი და აუღორძინა მართლმადიდებელი ეკლესია, რათა ჩვენც, პატარა ქრისტიან ერს, აგვარიდოს კარს-

მომდგარი მძიმე განსაცდელი.

ბოროტმა ძალამ ამ ბოლო ხანებში კიდევ ერთხელ მოუსინჯა კბილი ჩვენს ხალხს და ჩვენს ეკლესიას, რაც იმის მომასწავებელია, რომ მომავალში უფრო დახვეწილი იქნება ბრძოლა ჩვენი ეკლესიისა და ჩვენი ერის წინააღმდეგ. საგულისხმოა, რომ არამართლმადიდებლურმა ეკლესიებმა, ჩვენი ეკლესიის აღორძინების ფონზე, ის მცირედიც კი განაბნინეს და გაფლანგეს, რაც მემკვიდრეობით გამოყვანათ მათ კათოლიკური ეკლესიისგან. მაგრამ ნუ ვიფიქრებთ, რომ ბოროტი ებრძვის მარტო ჩვენს ერს; ყველა ერს, მათ შორის დიდ ერებსაც, უჭირთ თავი დაიცვან ამ ქვეყნის მპყრობელისაგან. მაგრამ არის ქვეყნები სადაც ღვთისაგან განდგომილება იმდენად მასშტაბურია, ქრისტიანული ზნეობა იმდენად დაცემული, რომ ისევ ღვთის ჩარევა, ღვთის ხელის შეშველება იქნება საჭირო, რომ წამოდგომა შეძლონ ამ ქვეყნებში მცხოვრებმა ადამიანებმა. ის რაც დღეს ხდება დასავლეთ სამყაროს საქრისტიანოში, დაწყებული ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ევროპის ე. წ. ცივილიზებული ქვეყნების ჩათვლით (კერძოდ: გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისის, სკანდინავიის ქვეყნები) სცილდება არა თუ ქრისტიანული ცხოვრების წესს და ზნეობას, არამედ საზოგადოდ ადამიანურობასაც კი. დღეს ამ ქვეყნების სამართლებრივ აქტებში თავს აღარ იკავებენ თითქმის ყველა ცნობილი რელიგიისათვის საჩოთირო ქმედებების აღმნიშვნელი ტერმინების ხმარებისაგან, როგორცაა მაგ: სექსი და მასთან დაკავშირებული უხამსი გამოთქმებისაგან. ისინი თავიანთი ქვეყნების საკანონმდებლო სამოქალაქო აქტებს ისე აყალიბებენ, რომ აღარ ერიდებიან ყოველად სალანძღავ სიტყვებსაც კი, რომელიც სულ რაღაც ნახევარი საუკუნის წინ ტაბუდადებული გახლდათ. როგორც ძველი აღთქმის, ისე ახალი აღთქმის ეპოქაში, ვინემ ჩვენს დრომდე, იმთავითვე უზნეობად ითვლებოდა ამ სიტყვების უბრალოდ, საყოველთაოდ ხმარებაც კი. ამ თვალსაზრისით, სრულიად უჯეროა ევანგელისტური საკრებულო თავისი ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებებით. ევანგელისტურ, ლუთერანულ საკრებუ-

ლოებში დაკანონდა ერთი სქესის ადამიანთა ჯვარისწერა. ეს გარემოება მიანიშნებს, რომ კათოლიკური ეკლესიის წიაღიდან გამოყოფილი აღნიშნული რელიგიები, უკანასკნელი საუკუნეების გზაგასაყარზე, როდესაც შორდებიან ქრისტეს მოძღვრებას, ყალიბდებიან ანტიქრისტეს გაერთიანებებად, სადაც გაბატონებული მდგომარეობა უკავია სატანას.

დემოკრატიული განვითარების პრინციპებს აყოლილმა ევანგელისტურმა და ანგლიკანურმა ეკლესიებმა საბოლოოდ დაკარგეს მაცხოვრებელი მადლი იმით, რომ მღვდლებად და ეპისკოპოსებად აკურთხებენ ქალბატონებს, რაც არ გამორიცხავს გაამპარტავნებული დედაკაცების ამბიციასაც – გახდნენ ეკლესიის მეთაურებიც კი. მაშინ, როცა ძველი და ახალი აღთქმის ეკლესიები კარდინალურად ზღუდავდნენ დედაკაცის საკურთხეველთან ახლოს მიახლებასაც კი, არათუ – სამღვდელო საიდუმლოს აღსრულებას.

შემაშფოთებელია და მართლმადიდებელი ეკლესიისათვის ყურადსაღები უნდა იყოს, რომ ყველა ეს უმსგავსოება, რაც ამ ეკლესიებში ხდება, ხდება ქრისტიანობის საბურველით, თითქოსდა ქრისტეს ეკლესიის სასიკეთოდ და მის განსამტკიცებლად. ერთი მღვდელი, რომელიც კარგად იცნობს ამერიკის შეერთებული შტატების და ევროპის ქვეყნების თანამედროვე ცხოვრების წესს, თავის ერთ-ერთ სტატიაში წერს, რომ დღეს-დღეობით ამერიკის შეერთებული შტატების მჭიდროდ დასახლებულ ქალაქებსა და სოფლებში ასიათასზე მეტი ჯადოქარი შეუზღუდავად ახორციელებს თავის ბოროტ საქმიანობას. თითქმის ყველა კოლეჯს თავისი ჯადოქარი ჰყავს, რომელნიც მოსახლეობის გასართობად აწყობენ სადამოებს. ხელისუფლებისაგან წახალისებული უამრავი სხვადასხვა ხასიათის და მიმართულების სატანური სექტა ეწევა თავის ბოროტ საქმიანობას. ისინი არ მაღავენ სიძულვილს სამყაროს მხსნელის მიმართ – არამარტო ქრისტეს ეკლესიის მიმართ, არამედ ქრისტიანული სიმბოლიკის მიმართაც კი.

დასავლეთში მიმდინარე ანტიქრისტიანულ ტენდენციებზე საუბარი და ყურადღების გამახვილება, როგორც სამწუხარ-

რო რეალობაც არ უნდა იყოს, გეჭირდება დღეს ჩვენც, რადგან შორს არ არის დრო, როცა გლობალიზაციის პროგრამის შესაბამისად, მაშტაბურად შეუტყვენ მართლმადიდებელ ეკლესიას. ისინი საამისოდ ემზადებიან ქრისტეს ჯვარცმიდან დღემდე. მათ ბრძოლა არ შეუჩერებიათ. ისინი აგრძელებენ ამ ბრძოლას.

კომუნიზმისა და გლობალიზაციის აკრობაცია ამ ძალებმა მოახდინეს სხვადასხვა რელიგიურ-პოლიტიკური სექტებისა და დაჯგუფებების საშუალებით. გავიხსენოთ, მაგალითად, მათ მიერ დაფინანსებული რასელის მიერ შექმნილი სექტის საქმიანობა. ადამიანთა სულეზე ზემოქმედების მათეულმა შემუშავებულმა სატანურმა მიდგომამ ზეგავლენა მოახდინა მერყევი სულისკვეთების მქონე, მიწიერი კეთილდღეობის მაძიებელ ადამიანებზე. გლობალიზაციის ცალკეული შემადგენელი დეტალები, გლობალიზაციის მსოფლიო პროცესების დაწყებამდე, სხვა განვითარებადი ქვეყნების პარალელურად, ექსპერიმენტის სახით გამოიცადა საქართველოშიც, სხვადასხვა არაფორმალური ორგანიზაციების მიერ. შედეგი ყველასათვის ცნობილია: დაქუცმაცებული საქართველო, მიწასთან გასწორებული ეკონომიკა, დანგრეული განათლება, ასევე დანგრეული ეროვნული ტრადიციები.

ყველაფერი ეს სრულად ჯდება გლობალიზაციის მოთხოვნებში, რომელიც მისი

ავტორებისავე განმარტებით წარმოადგენს იმის თანდათანობით ხორცშესხმას, რომ მთელი კაცობრიობა ურთიერთდაკავშირებული უნდა იყოს, როგორც ერთი ორგანიზმი, შეკავშირებული ერთი – პოლიტიკით, სტანდარტიზებული ეკონომიკით, ერთი ინფრასტრუქტურით, ერთი კანონმდებლობით, ერთი კულტურით. დაწყებულია ახალი გოდოლის მშენებლობა, მშენებლობა ახალი ბაბილონის გოდოლისა, რომლის მშენებლებიც, მსოფლიო სხვადასხვა ხალხებთან ერთად ვაი თუ ჩვენცა ვართ. ასეთ სიტუაციაში ჩვენი ეროვნული ცნობიერება უნდა დაექვემდებაროს თავდაცვის ისტორიულად აპრობირებულ გამოცდილებას – ერთგულად სდგეს მართლმადიდებლურ ქრისტიანობაზე და თუ დაუბრუნდებით დღეს წაკითხულ მათეს სახარებას, რომლის მიხედვითაც ადამიანები, რომლებიც განუდგებიან უფალს, პირუტყვებად იქცევიან, – მაშინ, ჩვენც უნდა გავითვალისწინოთ ეს საშინელი სენი, ადამიანური სისუსტე და მკვიდრად ვიდგეთ ქრისტიანობაზე, მხოლოდ და მხოლოდ აქაა ხსნა და ნუ ეძიებთ სხვაგან ხსნას.

ღმერთმა დაგლოცოთ, ღმერთმა გარიღოთ პირუტყვად ქცევის მაგალითები, ღმერთმა მკვიდრად გამყოფოთ ქრისტიანობაში და ქრისტეში. ამინ.



სწავლანი

აქონარიღაგი არქივანდრიზ ეურაე ფილოთიეველის ნიგნიღან

გამოკრიბა სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის წინამძღვარმა იღუმენია ქეთევანმა

* სიმდაბლესა და სიმშვიდეს ადამიანი ცად აჰყავს.

* სიამაყემ და მზგაობრობამ ზეცით ქვესკნელში გარდამოხადა ეშმა, სატანა.

* უბრალოების მიმდევარი სრულყოფილი და ღვთის მსგავსია.

* ბილწ გულისთქმათაგან ცთუნებულ პირუტყვს ემსგავსება. ქალწულება მსხვერპლშეწირვაა და სათნოებათა გვირგვინი.

* სიმშვიდით დემონები იძლევიან.

* სიწმიდესა და უმანკოებას მოკლებული ღმერთს ვერ იხილავს.

* მოციქულებმა ქვეყნიერება გააბრწყინეს.

* მოკვდავთაგანს ნურვის განიკითხავ, რათა მტრის ხელში არ ჩავარდე.

* მარადჟამს გახსოვდეს ქვეყნიერების შემოქმედი, ჩვენთვის ჯვარცმული მაცხოვარი.

* წმიდა წერილის კითხვა, ცოდვისგან დამცველია.

* ვისაც სურს, შესმენილ იყოს მისი ლოცვა, უპირველესად თავად ილოცოს მტრებისთვის.

* სულის მავნებელ საუბრებს გაექცით, რამეთუ პირველ ადამიანზე მტკიცე არა ხარ, რომელიც ბოროტი საუბრით ცდუნდა.

* თუკი ვინმე იღწვის დიდად, ხოლო სხვას, ცოდვით დაცემულს,

შეურაცხყოფს და ამცირებს, ამით აკნინებს ქრისტეს ხატებას, თავად განიკითხავს და ღვთის მსაჯულებას არ აცლის.

* ადამიანი ვიდრე მთელი გულით არ შეიყვარებს ქვეყნის შემოქმედს, მანამ ვერ ჰპოვებს სულის სიმშვიდეს.

* განსაცდელები გამოაჩენს, ვის რაბამ უყვარს შემოქმედი.

* დღემუდამ აყურადებდე შენს გულისთქმებს, რომელიც ლაპარაკობს შენს შიგნით.

* ღმერთს ევედრე სწორი განსჯა, გულისთქმათაგან, რომელი ისმინო, რომელი – არა.

* მოიბაგე ამსოფლიური განსვენება, რამეთუ იგი გაქცევს ღვთის მტრად, მუდმივ ებრძოლე შენს სხეულს, არ მოდუნდეს, არ გაზულუქდეს.

* ცილისწამება, ცრუბრაღებანი, შეურაცხება, დამცირება... – დაითმინეთ. ამგვარად მოექცნენ იესო ქრისტეს მწიგნობარნი და ფარისეველნი, უმეტესად კი – მღვდელმთავარნი და უსამართლოდ ჯვარს აცვეს მაცხოვარი. ვისაც სურს შეუდგეს უფალს – იგივე გზა გაიაროს.

* სიკვდილამდე იყავ მღუმარე, მორჩილი და თავმდაბალი.

* ღვთის ნების აღმსრულებელს, ღმერთი იცავს ბოროტისაგან.

* ოდეს ბრალს გდებენ, გამხილებენ, თავდახრილმა თქვი: ვცოდე, შემინდე.

* ვინც ვნებებს მსახურებს, არ მიიჩნევა ღვთის მონად.

* სიძულვილი სრულიად განსდევნის სათნოებას. მაგრამ არსებობს სიძულვილი ბუნებრივი, რომელიც ცოდვისადმია მიმართული.

* ვნებებისაგან თავისუფალ გონებას ღვთისგან ხილვის მაღლი ეძლევა.

* ღვთისთვის ფრიად სათნოა ფარულად აღსრულებული სათნოებანი.

* უმთავრესია კაცთა წინაშე დამდაბლება.

* უსჯულოთა ჰურიათა მაცხოვარს თავზე ეკლის გვირგვინი დაადგრეს – განვისწავლოთ, რათა ჩვენც თავს ვიდვათ ღვთის გულისათვის: ცემა, გაშოლტვა, დამცირება, შეურაცხყოფა, მოკვდინება.

* ტირიფი სახეა სიმდაბლისა, თავმდაბალ ადამიანს ჰგავს.

* განაგდე შენგან ვნებიანი გულისტქმანი.

* მღუმარებისაგან იშვება მოღვაწეობა, მოღვაწეებისაგან – ტირილი, ტირილიდან – შიში ღვთისა, ღვთის-მოშიშება ბადებს სიმდაბლეს, თავმდაბლობიდან სულიერი თვალხილულობაა, სულიერი ხედვისგან – სიყვარულია, სიყვარული კი სულს აჯანსაღებს.

* ვინც ღმერთს მსახურებს და იმავედროულად ბილწ გულისტქმებს ემსახურება, ღმერთი ამგვართ არ შეეწევა, რამეთუ უხილავ მტრებს წინ არ აღუდგებიან; პატივის ნაცვლად, უპატიობას იმკიან.

* თუკი ვინმე განგადიდებს, შენ კი ტკბობით ღებულობ ქებას, შენში ღვთის შიში არ ყოფილა. თუ უმართლოდ რამეს გეტყვიან და ფორიაქობ, ღვთის მოშიში არ ყოფილხარ.

* ვისშიც ივანებს სულიწმიდა, იგი არ წყვეტს ღოცვას.

* ავადმყოფთაგან ღმერთი არ ითხოვს მარხვას, არც შრომას. გარნა ოდენ მოთმინებას, მაღლიერებას და ღოცვას. სნეულება მარხვაზე მაღლა დგას.

* ბერმა კითხვაზე: რატომ გვაწუხებენ ეშმაკებიო? – უპასუხა: რამეთუ ჩვენ უარყავით იარაღი ბრძოლის: თავგანკიცხვა, თავმდაბლობა, სიგლახაკე და მოთმინება.

* თავმდაბლობა მაცხოვრებელია.

* სიმდაბლის გზა ამგვარია: მოძღვარი რამდენჯერაც გიბრძანებთ, ან მოგცემთ შენიშვნას, იმდენჯერ მიუხედავ: როგორც მაკურთხებთ, შემინდეთ.

* ოდეს მოძღვარი გამხილებთ, თავს ნუ იმართლებ, მიუხედავ „შემინდე“.

* მორჩილება ნაშობია სიმდაბლისა. შეპასუხება, ურჩობა და კამათი ამპარტავნების ნაყოფია.

* ამპარტავნება და ეგოიზმი ბინძური ვნებებია.

* ამპარტავნების, ამბოხის გამო განიდევნენ ღვთისაგან ადამი და ლუციფერი.

* ვინც სხვას არცხვენს, შეურაცხყოფს და უპატიოდ ეპყრობა, იგი არღვევს ღვთიურ სიყვარულს.

* ვინც მოყვასს უთხრას ცოფ-სულელი, იგი თანამდებ არს გეენიისა.

* ყველას სიყვარული არის – სრულყოფილება.

* ყოველ წმიდანს უყვარდა თავისი მტერი.

* ვინც გვდევნის – სასჯელს გვიმსუბუქებს.

* ღვთისთვის საძულველია კაცის გულქვაობა.

* მხილებას სარგებლობა მოაქვს, განსჯას კი – წყენა.

* თუ გსურს მტრებს უყვარდე, შენც

იყვარებდნენ მათ, რასაც სჯულიც ბრძანებს.

* უფლის მსახურთა ჭეშმარიტებას ჟამი გამოაჩენს.

* უფლის მტრებს არ მოსწონდათ არც სიმკაცრე იოანესი, არც ქრისტეს უბრალოება, უფალი ბრძანებს: რადგან უარყოფთ იოანეს და არც ცხოვრება ჩემი მოგწონთ, ხსნის ყოველგვარ გზას უარყოფთ, თქვენ თავს თქვენვე ასამართლებთ.

* მღუმარებით, მორჩილებითა და ღოცვით ქრისტეს ნათელი შეიცნობა.

* ბოლო ჟამს სამსჯავროზე პასუხს ვაგებთ ყოველი უქმი სიტყვისთვის. სიტყვით განმართლდები, სიტყვით დაისჯები.

* დიდია სიბრძნის მომხვეჭელი, გარნა ღვთისმოსაობაზე უმეტესი არავინ არის.

* ღვთის მოშიში მარადიულად იცოცხლებს.

* წყევლიმც იყოს დამსმენი და ცილისმწამებელი, რამეთუ ბევრი მშიდობიანი აღამიანი დაღუპა მათმა ენამ.

* მოსვენებას ვერ იპოვნის ჭორის მსმენელი – მშიდობიანად ვერ იცხოვრებს.

* გემინოდეთ ღვთისა და არა ეშმაკისა.

* უცოდველი და შეუმცდარი ოდენ ღმერთია.

* ბერ-მონაზვნის ცხოვრება ყოველდღიური ჯვარია, წმიდა გოლგოთაა, უფალთან ერთად ჯვარს უნდა ვაცვათ ჩვენი ვნებები, რასაცა მოჰყვება სულების აღდგომა.

* ღვთის განგებით გვეწევა განსაცდელი; ცუდიცა და კარგიც ღვთისგან მოიწევა.

* განსაცდელის ჟამს გამოჩნდება რაოდენ უყვართ ღმერთი.

* ოდეს სიხარულსა და მწუხარებაში ხარ გაწონასწორებული, ეშმაკი ვერ ხვდება, რაც ხდება შენში. არა უწყის რა ხერხებით გებრძოლოს. სატანა აკვირდება ჩვენს სახეს, მოქმედებას და ამით ხვდება რამდენად დაგვაზიანა მისმა ნასროლმა ისარმა. თუკი იხილა, სული ფრიად დაშავდა, მეტ ისარს გესვრის, სულის მოსაკლავად და თუ ვერა შეამჩნია რა, მყისვე ცვლის ბრძოლის ტაქტიკას.

* თავმდაბლობა, სიმშვიდე, უპოვარება და მორჩილება უმშვენიერესი თვისებებია, რომელნიც უფლისმიერნი არიან.

* ვინც უმიზეზოდ ურისხდება თავის ძმას, მას ღმერთი განსჯის; ხოლო ვინც ძმას გონივრულად, მის სულზე ზრუნვის მიზნით განურისხდება – ღმრთისაგან აღარ განისჯება.

* ფარისევლები მუდამ კიცხავდნენ უფალ იესო ქრისტეს და მეზვერეთა თანამესუფრეს უწოდებდნენ. ხოლო უკეთუ უფალს უწოდეს ეშმაკთავარი, რაღა გასაკვირია, შენ რომ ცილი შეგწამონ.

* ქრისტე წარმართთაც მიუთხრობდა სჯულს და აუწყებდა მომავალ სამსჯავროსაც, რომლის შესახებ მათ არაოდეს სმენოდან.

* ოდეს იხილეს უფალი, ჭამდა და სმიდა და არ ერიდებოდა არცა მეზვერეთა და არცა მემრუშეთა, დაგმეს იგი ვითარ მჭამელი, მსმელი ღვინისა; მათ ვერ იცნეს იესო ქრისტეში ღმერთი – ხოლო ვინც სულიწმიდის საქმეებს ეშმაკს მიაწერენ, არ ექნებათ შენდობა არც აქ და არც იქ, ვითარცა ბილწითა სოდომელთა.

SQEMMONOZONI BESARIONI (QIQOZE)

1893 წლის 8 ოქტომბერს (ძვ. სტილით) ათონზე, წმინდა ილიას სახელობის სკიტში 86 წლის ასაკში ღვთივ განისვენა წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის ხორციელმა ძმამ, XIX საუკუნის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მნათობმა, სქემმონოზონმა ბესარიონ ქიქოძემ. ჩვენ მოვკრიბეთ ის მწირი ცნობები, რაც მის შესახებ მოიპოვებოდა და გვსურს, ამგვარად მივაგოთ მცირედი პატივი ღირს მამას.

* * *

მამა ბესარიონი (წმინდა ნათლისღებით – ბასილი) 1807 წელს დაიბადა. მამა მისი, დეკანოზი მაქსიმე ქიქოძე, გურიის უკანასკნელი მთავრის მამია გურიელის კარის მოძღვარი გახლდათ. მაქსიმესა და მის მეუღლეს, მარიამ (ზოგი გადმოცემით – ანა) დგებუაძეს, 5 ვაჟი ჰყოლიათ: იოანე, ათანასე, ბასილი, სიმონი და გერასიმე (მომავალი ეპისკოპოსი). ერთი ძე, გერასიმეს ტყუპისცალი, სიყრმეშივე გარდაცვლიათ. ადრე გარდაცვლილა მამა მაქსიმეს მეუღლეც და 5 ვაჟი მამას მარტოს აღუზრდია.

მამა მაქსიმე ხან ოზურგეთში წირავდა, ხან ბახვიში მსახურობდა, ხან სამხედრო ნაწილში უხდებოდა წირვა-ლოცვის ჩატარება. ამ დროს ყოველთვის თან დაჰყავდა შვილები, საქმით თუ სიტყვით ჩააგონებდა, „პატიოსნად ემსახურებოდნენ ღმერთსა, ხელმწიფესა, მოყვასთა, ცხოვრობდნენ თანხმობით“; შეახსენებდა იმასაც, რომ „მათი წინაპარნი უხსოვარი დროიდან იყვნენ მსახურნი ტრაპეზისანი“. ახალგაზრდებსაც იმდენად შეჰყვარებიათ წმინდა ტრაპეზთან ლოცვა, რომ ხუთივე ღვთისმსახური გამხდარა. წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებებში ნათლად ჩანს ის თესლი კეთილი ღვთისა და მამულის სიყვარულისა, რაც ყრმათა გულებში მამა მაქსიმემ ჩათესა.

როცა წამოიზარდნენ, მამამ შვილები თბილისში ჩამოიყვანა სასწავლებლად. მათ ისე გამოუჩენიათ თავი, რომ, მიუხე-

დავად უსახსრობისა, სასწავლებელში ყველა მიუღიათ. მომავალში ძმები დაოჯახდნენ, სამღვდელონი შეიქმნენ, ბასილის კი გულში ბერობის სურვილი შეპარვოდა. ერთხანს იგი თავის ბაბუასთანაც კი ცხოვრობდა ნამერნევის მონასტერში.

ერთხელ ბასილის მეზობელს იერუსალიმი მოულოცავს. უკან დაბრუნებისას ათონის მთაზე შეუვლია, სადაც მამა ბენედიქტე ქიტიშვილს იგი ბერად აღუკვეცია და ახლა, შინ დაბრუნებული, მამა ბენედიქტეს მაღალ სულიერ ცხოვრებაზე ყვებოდა. ყვებოდა, თუ როგორ გადაარჩინეს 1821 წელს მამა ბენედიქტემ და მამა ილარიონ ყანჩაველმა თურქთა ჯარისგან განადგურებას ივერთა მონასტერი. შეშინებულმა ბერძნებმა თურმე დატოვეს ივერონი და წირვა-ლოცვას იქ მამა ბენედიქტელა ადავლენდა ხოლმე. როცა მდგომარეობა გამოსწორდა, უკან დაბრუნებულმა ბერძნებმა ქართველებს მხოლოდ ივერიის ღვთისმშობლის ხატის პატარა ტაძარი დაუტოვესო. თქვა ისიც, რომ მამა ბენედიქტეს სახელი მთელ ათონზე იყო ცნობილი და რომ იგი დაფარულთმცნობელობის მადლითაც გახლდათ შემკული.

ბასილი ისე დაინტერესებულა მოსმენილით, რომ გადაუწყვეტია, მაშინვე წასულიყო ათონზე და ის ბერი ენახა. განზრახვა მამისთვის გაუნდია. გაუჭირდა მამა მაქსიმეს შვილის გაშვება. „გზის ფული რომ მოგცე, ისიც არ მაქვსო“, – ესდა უთქვამს. ბასილის ფული შეუგროვებია, მამის-

გან კურთხევა აუღია და ათონზე გემით გამგზავრებულა. ფული თურმე ტრაპიზონამდე ეყო მხოლოდ. ერთმა იქაურმა ურჩია, ტრაპიზონის ფაშა მოწყალე კაცია, დაგეხმარება, მხოლოდ მარტო შედი სათხოვნელადო. ბასილიმ უმალ ფაშას მიაშურა, მაგრამ, როგორც ქრისტიანმა, თავი არ დაიმდაბლა მუსულმანის წინაშე. ოთახში რომ შევიდა, მოკრძალებით დაუკრა თავი დივანზე ფეხმორთხმით მჯდარ მბრძანებელს, მივიდა, დივანის კუთხეს ეამბორა და თავისი გასაჭირი მოუთხრო. შემდეგ, როცა ეკითხებოდნენ, რატომ ხელზე ან მუხლზე არ ეამბორე, როგორც ქართული წესიაო, თურქს ხელზე ან მუხლზე როგორ ვეამბორებოდიო, – პასუხობდა თურმე.

ფაშას ბასილისთვის 180 ლევი მიუცია, რაც მაშინ საკმაოდ დიდი თანხა იყო. ამის შემდეგ ახალგაზრდა კაცი ჯერ კონსტანტინოპოლში, შემდეგ კი ათონზე გამგზავრებულა. მამა ბენედიქტეს მან ქართულის მცოდნე ერთი ბერძენი ბერის დახმარებით მიაგნო. სამშობლოს მონატრებულ მოძღვარს დიდად გაუხარდა მასთან განსწავლული ჭაბუკის მისვლა. „დიდი ხანია მინდოდა, მოწაფე ამეყვანა, მაგრამ დღემდე ქართველი ვერ ვიპოვეო“, – უთქვამს. მალე ბერი და მისი მორჩილი საცხოვრებლად წმინდა ილიას სკიტში გადავიდნენ. 1834 წელს მამა ბენედიქტემ ბასილი ბერად აღკვეცა და ბესარიონი უწოდა. ასე დასახლდა მამა ბესარიონი წმინდა ილიას სკიტში, რომელიც აღარასოდეს მიუტოვებია. მან იქ 57 წელი გაატარა.

მამა ბესარიონმა თავისი მოძღვრისაგან ბევრი რამ ისწავლა, უმთავრესი კი ის იყო, რომ გონიერი ღოცვა შეითვისა. სათნოებათა კიბეზე ასვლისას, ვითარცა მფარველი ანგელოზი, მის გვერდით ყოველთვის იყო მამა ბენედიქტე. წმინდა ილიას სკიტს ხშირად სტუმრობდნენ ათონის მთის ღირსი მამები, რომლებიც მამა ბენედიქტესგან სულიერ რჩევას იღებდნენ. წმინდა ილარიონ ქართველიც ერთხანს სკიტში ცხოვრობდა, მერე განმარტოებულა.

წმინდა ილიას სკიტი ივერონს ეკუთვნოდა, ამიტომ იქ ქართველების გამრავლება ბერძნებს არ მოეწონათ. მამა ბენედიქტესა (1861 წ.) და წმინდა ილარიონ ქართველის

(1864 წ.) გარდაცვალების შემდეგ მდგომარეობა ძალზე გართულდა. ქართველი ბერები ადრე თუ ბერძენთა მსგავსად მონასტრიდან იღებდნენ ულუფას, ქართველი პილიგრიმების გამასპინძლებაც შეეძლოთ და ისიც – სკიტის ძმობაში რომ ჩაერიცხათ ბერობის მოსურნე, ახლა, მამა ბენედიქტეს გარდაცვალების შემდეგ, ქართველ მომლოცველებს ივერიის ღვთისმშობლის ხატთანაც კი არ უშვებდნენ. ბერძნებმა ძმობაში ქართველთა ჩარიცხვაც აკრძალეს და მხოლოდ მამა ბესარიონს, მამა ბენედიქტესა და კიდევ სამ მოწაფეს მისცეს ნება, მონასტრიდან ულუფა მიეღოთ. ფიქრობდნენ, შიმშილით აიძულებდნენ ქართველებს ათონის მთის დატოვებას.

ბერძნები თანდათან ისე გათავხედებულან, რომ ფრესკებზე თორნიკე ერისთავისა და ქართველ მეფე-დედოფალთა სახელები გადაუშლიათ და ბერძენთა სახელები მიუწერიათ, ივერონში კი – ათონის ახლოს, ივერონის მამულში – კოშკიდან ქართულწარწერიანი ქვა ამოუბრიათ. მამა ბესარიონს პილიგრიმ გ. ნადარეიშვილისთვის უთქვამს: მონასტერში ახალი მისული რომ ვიყავი, ტრაპეზსა და სამრეკლოზე ქართულწარწერიანი ქვა გამოცვალეს და ბერძნულ წარწერიანი ჩასვესო. ეს დაბრკოლებები მამა ბესარიონს სულიერ წარმატებაში ხელს არ უშლიდა. როგორც გადმოგვცემენ, იგი ძალზე თავმდაბალი, კეთილი და ბავშვივით უბოროტო ყოფილა. წმინდა ილიას სკიტის მკვიდრი, ბერი იაკობი, ამბობდა: „მამა ბესარიონი იმგვარი მოწიწებით აღასრულებდა თავის მოვალეობას, კაცი კი არა, ანგელოზი გეგონებოდათო“. დიდ სამონასტრო დღესასწაულებზე სატრაპეზოში ტრიალებდა და მორჩილებს საჭმლის მომზადებასა და მიტანაში ეხმარებოდა. მონასტრის მუშაკები, რაკი მისი გულკეთილობის ამბავი იცოდნენ, მუდამ მის ახლოს ტრიალებდნენ და როცა დაინახავდნენ, რომ დიდი ტაბლა მიჰქონდა, უკან ამოუდგებოდნენ ხოლმე და სთხოვდნენ, რაიმე მიეცა. მამა ბესარიონიც უშურველად გასცემდა ხოლმე ლამის ნახევარ ტაბლას. ამის გამო მორჩილები ხშირად ჩიოდნენ მოძღვრებთან, ისინი კი მათ ღუმილისკენ მოუწოდებდნენ.

ილარიონ ქართველის გარდაცვალებამ

მამა ბესარიონი ძალზე დაამწუხრა. მან გადაწყვიტა, გარდაცვლილის საფლავთან ელოცა. იმ დამეს თურმე მამა ბენედიქტე გამოსცხადებია და უთქვამს, მამა ილარიონი ცოცხალია და ღირს ათანასე ათონელთან ერთად იმყოფებაო. ამ ხილვას ძალზე უნუგეშებია მამა ბესარიონი.

სიცოცხლის ბოლოს ღირს მამას რეკმატიზმი დაემართა და ხელის თითები დაეკრუნხა. წოლის დროსაც კი იძულებული იყო, ცალი ხელი ზეადმართული, თოკით ჭერზე მიბმული ჰქონოდა. სისხლი ვეღარ უთბობდა გაყინულ სხეულს, ვეღარც თბილი სამოსელი შველოდა და ვერც საბანი. ცხელი ჩაი თუ ათბობდა ოდნავ. განუწყვეტლივ „იესოს ლოცვას“ კითხულობდა.

1893 წელს, 7 ოქტომბრის საღამოს, უეცრად ალაპარაკდა: დეკანოზი გიორგი ჩამოვიდა ათონზე საქართველოდან, სხვებთან ერთად არისო. ნათქვამი ავადმყოფის

ბოდვად მიიჩნიეს და ყურადღება არ მიაქციეს. იმ დღეს საქართველოდან ათონზე მართლაც ჩავიდა დეკანოზი გიორგი ორ ქართველთან ერთად. მეორე დღეს ისინი თავად მივიდნენ წმინდა ილიას სკიპში და მამა ბესარიონს თავისი უმცროსი ძმის, ეპისკოპოს გაბრიელის წერილი გადასცეს. როცა ბერს ეს ამბავი აცნობეს, წაიჩურჩულა, წერილი მომეცითო. არ გაუხსნია, ეამბორა და უკან დაუბრუნა. არც უკითხავს, რას სწერდა ძმა. ალბათ, იცოდა კიდევ, ღვთის მიერ, მისი შინაარსი. ეგებ წმინდა გაბრიელი სასუფევლისკენ გზას ულოცავდა და ჰპირდებოდა, რომ სამ წელში თვითონაც ეწვეოდა...

ამის შემდეგ მამა ბესარიონს სიტყვა აღარ უთქვამს, მხოლოდ ლოცულობდა. ბოლოს ისე დაუძღურდა, ლოცვის ბოლომდე წარმოთქმის თავიც აღარ ჰქონდა. „უფალო... უფალო...“ – ჩურჩულებდა თურმე. ასე ჩუმი ლოცვით მიაბარა სული უფალს.

კახაბერ კენკიშვილი



ათონის წმიდა მთა. მიტოვებული სენაკი

ღირსი ანატოლი ოპტაელი (პოტაპოვი) (1855-1922)

ნუ გეუინია მნუხარაზის, გეუინოღას მოქაქვლინაზელი მწვალაზლოზის

(ბოლო ჟამა ნაილაზიან)

წმიდა ანატოლი დაიბადა მოსკოვში, ვაჭრის ოჯახში. იგი ადრეულ ასაკში ესწრაფოდა მონასტრულ ცხოვრებას, მაგრამ მის სურვილს დედა ეწინააღმდეგებოდა და იძულებული გახდა, სავაჭრო საქმიანობას გაჰყოლოდა.

ღირსი მამა ანატოლი ოპტის უდაბნოში 1885 წელს დაემკვიდრა და ბერი ამბროსის მესენაკე იყო. სულიერი ღვაწლით მალე განითქვა სახელი. ხალხმა მამა ანატოლი შეიყვარა იმ დიდი თავმდაბლობის და კაცთმოყვარეობისათვის, რომელსაც მათ მიმართ ავლენდა და რადგან მისი ნახვა ყველას სიხარულს ანიჭებდა, მას „მანუგეშებელი“ და „ერის მოძღვარი“ უწოდეს. სიმდაბლითა და კაცთმოყვარეობით, მამა ანატოლის სერაფიმე საროველს ადარებდნენ.

ღირსი ანატოლი ოპტელი დიდიდან-საღამომდე შეუსვენებლად იღებდა მიმსვლელებს; შუადამისას კი სენაკში ღოცვად დგებოდა. მხოლოდ ორ საათს ეძინა. წმიდა ანატოლი წმიდა მოწამე მეფე ნიკოლოზის დიდი თაყვანისმცემელი იყო. სწორედ მას ეკუთვნის ცნობილი სიტყვები სამეფო მსახურებისა და მართლმადიდებელი მეფის მნიშვნელობაზე: „უკეთუ მეფე გიხმობს, მაშასადამე – ღმერთი მოგიწოდებს. ხოლო ღმერთი მას მოუწოდებს, ვისაც მეფე უყვარს, რამეთუ თავად უყვარს მეფე... ღვთისცხეულის ნების წინააღმდეგობაზე უფრო მეტი ცოდვა არ არის... მეფის ხვედრი, ქვეყნის ხვედრია, რამეთუ ქვეყანა და მართლმადიდებლობა მისით მკვიდრობს.“

შვილო ჩემო, იცოდე, რომ ბოლო ჟამს, მოციქულის თქმით, მიძიმე დრო დადგება და სათნოებანი განქარდებიან; ეკლესიაში მწვალებლობები და განხეთქილებები მომრავლდებიან. მაშინ, წმიდა მამათა წინასწარმეტყველებით, მღვდელმთავართა საყდრებზე და მონასტრებში სულიერ ცხოვრებაში გამოცდილი და გამობრძმედილი იერარქები აღარ იქნებიან.

ამიტომ, ყველგან გავრცელდება მწვალებლობა და მრავალს აცდუნებენ. კაცთა მოღვმის მტერი ცბიერად იმოქმედებს და ეცდება, რომ რჩეულნიც მიდრიკოს მწვალებლობაზე, თუკი ამის საშუალება ექნება. იგი უხეშად კი არ უარყოფს წმიდა სამების, ქრისტეს ღმრთაებრიობის და ღვთისმშობლის

ღირსების დოგმატებს, არამედ – შეუმჩნეველად დაამახინჯებს ეკლესიაზე სწავლებას, მის სულისკვეთებას და ტიპიკონს, რომელიც წმიდა მამებს სულიწმიდით გადმოეცათ; მტრის ამ ხრიკებს კი მცირედნი თუ შენიშნავენ, ისინი – ვინც უფრო გამოცდილნი არიან სულიერ ცხოვრებაში.

მწვალებლები ეკლესიაზე ძალაუფლებას ჩაიგდებენ ხელში; ყველგან თავის მსახრებს ჩააყენებენ და ღვთის მსახურებას უგულვებელყოფენ. უფალმა ბრძანა: ნაყოფთა მათთაგან იცნობთ მათო და შენც შეეცადე, რომ ამ ნაყოფთა მიხედვით ანუ საქმეებით განარჩიო მწვალებლები ნამდვილი მწყემსებისაგან.

მწვალებლები სულიერი ქურდები არიან, რომლებიც სულიერ



ღირსი ანატოლი ოპტელი

სამწესოს იტაცებენ და ცხოვართა ეზოში – ეკლესიაში შედიან, როგორც უფალმა ბრძანა, „სხვით კერძო“ ანუ ისინი უკანონოდ, საღვთო კანონების გათვლევით და ძალაუფლების გამოყენების გზით შეველენ ეკლესიაში. ღმერთი მათ ავაზაკებს უწოდებს (იოან. 10,1). მართლაც, მწვალებლების მთავარი საქმე იქნება ჭეშმარიტი მოძღვრების დევნა, შორ ადგილებში მათი გადასახლება და გამომწვევდევა, რადგან ისინი ცხვრებს სხვაგვარად ვერ მიიტაცებენ. ამიტომ, შვილო ჩემო, როგორც კი იხილავ ეკლესიაში საღმრთო ტიპიკონის, მამათა გარდამოცემის და ღვთივ დადგენილი წეს-განგების დარღვევას, უწყოდე, რომ მწვალებლები უკვე გამოჩნდნენ და აქ არიან, თუმცა კი შესაძლოა, რომ ცოტახნით დამალონ თავიანთი უწმინდურობა ან შეუმჩნეველად დაამახინჯონ საღმრთო სწავლება, რათა უფრო წარმატებით აცდუნონ და თავის ქსელში გახვიონ გამოუცდელნი. მწვალებლები არა მარტო მოძღვრების დევნას დაიწყებენ, არამედ – ღვთის ყველა მონიხას, რამეთუ მწვალებლობის ხელმძღვანელი ეშმაკი ღვთისმოსაობას ვეღარ აიტანს. ცხვრის ტყავში გახვეული მგლები მათი ამპარტავანი ზნეობით და მთავრობისმოყვარეობით იცანი; იცოდე, რომ ცილისმწამებლები და გამცემლები გამრავლდებიან, რომლებიც ყველგან მტრობას და ბოროტებას დათესავენ; ამიტომაც სთქვა უფალმა, რომ ნაყოფთა მათთაგან იცნობთ მათო. ღვთის ჭეშმარიტი მონები კი თავმდაბლნი, ძმათმოყვარენი და ეკლესიის მორჩილნი არიან.

მწვალებლები განსაკუთრებით ბერ-მონოზენებს შეავიწროებენ და მაშინ საბერმონოზენო ცხოვრებაც შეიგინება, მონასტრებიც დაიცვებიან და ბერ-მონოზონთა რიცხვი შემცირდება, ხოლო ვინც დარჩება, ძალადობას დაითმენს. მაგრამ მონოზენური ცხოვრების ეს მოძულეები, რომლებიც მხოლოდ გარეგნულად არიან ღვთისმოსავეები, ბერების გადაბირებას შეეცდებიან და მათ მფარველობას და ცხოვრების კარგ პირობებს შესთავაზებენ, ხოლო დაუმორჩილებლობისათვის, მონასტრიდან გარეკვით დაემუქრებიან. მუქარით შემინებულ სულმოკლე ბერებს, მაშინ მწუხარება მოიცავთ. მაგრამ შენ, შვილო ჩემო, გიხაროდეს, ოდეს ამ უამს მიაწევ; რადგან მაშინ, როგორც უფალი ბრძანებს, მორწმუნეები, რომლებსაც სხვა სათნოება არ გამოუჩენიათ, მხოლოდ სარწმუნოებაში მტკიცედ დგომისათვის მიიღებენ გვირგვინს (მათ. 10,3).

შვილო ჩემო, ღმერთის გეშინოდეს, იმის გეშინოდეს, რომ შენთვის გამზადებული გვირგვინი არ დაკარგო; რომ უკუნეთ წყვილიაღში

საუკუნო წამებას არ მიეცე და პირი არ მიიქციოს შენგან უფალმა. მხნედ იდექი სარწმუნოებაში და თუ საჭიროა, სიხარულით დაითმინე დევნაც და სხვა ყოველი მწუხარებაც, რამეთუ ღმერთი იქნება შენთან, წმიდა მოწამეები და აღმსარებლებიც შენთან იქნებიან და შენი ღვაწლის ხილვით იხარებენ.

მაგრამ უბედურები იქნებიან ის მონოზენები, რომლებიც ქონებით და სიმდიდრით დაივალდებულდებიან თავს და რომლებიც განცხრომის სიყვარულით, მწვალებლებს დაემორჩილებიან. ისინი თავის სინდისს მიაძინებენ და იტყვიან: „ჩვენ მონასტერს დავიცავთ და გადავარჩენთ, ღმერთი კი მოგვიტყვებს“. უბედურები და ბრძმები, არც კი იფიქრებენ, რომ მწვალებლობასთან ერთად მონასტერში დემონებიც შეველენ და მაშინ ის უკვე წმინდა მონასტერი კი აღარ იქნება, არამედ – უბრალო კედლები, საიდანაც მაღლი განემორება.

მაგრამ ღმერთი მტერზე ძლიერია და არასოდეს არ მიატოვებს თავის მონებს, ჭეშმარიტი მონოზენები ამ ქვეყნის აღსასრულამდე იქნებიან, მაგრამ განმარტოებულ, უდაბურ ადგილებს აირჩევენ.

შვილო, მწუხარების ნუ კი გეშინია, არამედ, მომაკვდინებელი მწვალებლობის გეშინოდეს, რადგან იგი მადლისაგან გამძარცველია და ქრისტესგან – განმამორებელი. ამიტომაც ბრძანებს უფალი, რომ მწვალებელი წარმართად და მეზვერედ შევრაცხოთ.

მაშ, განმტკიცდი, შვილო ჩემო, იესო ქრისტეს მაღლში, სიხარულით ესწრაფე აღსარების ღვაწლს და ტანჯვის დათმენას, ვითარცა კეთილი მხედარი იესო ქრისტესი (2 ტიმ. 11, 1-3), რომელმაც მოგვიწოდა – იქმენ მორწმუნე ვიდრე სიკვდილადმდე და მოგცე შენ გვირგვინი იგი ცხოვრებისად“ (გამოცხ. 2,10).

დიდება ქრისტე ღმერთს, რომლისა არს პატივი, ძალი და დიდება თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

თარგმნა
მარიამ ნიაურმა

WMIDA EQVTIME ARMSAREBELI (KERESLIZE)

წერილი სულიერ შვილებს



წმიდა ექვთიმე აღმსარებელი

სულიერო დედაო ეპრაქსია, პირველად უფლისა მიერ კურთხევით მოგიკითხავ და შენთან ყველა ჩემს სულიერ შვილებს: სიდონიას, პარასკევას, თეკლეს, ივლიტას, ეკატირინეს, სოფიოს და ელისაბედს და სხვებს ყველას,


რომელთა ზედა გარდამოავლინოს უფალმან მშვიდობა, მადლი და კურთხევა.

ახლა, ჩემო ქრისტეს მიერ დანო, სულიერო შვილნო, ვეღარ წარმომიდგენია თქვენი ეგოდენი ჩემდა მომართ სულიერი სასოება და პატივისცემა, რომლის ღირსიც არა ვარ; მაგრამ ვსთხოვ მოწყალე ღმერთს, რომ დვთისა მიმართ ჭეშმარიტი ცხოველი სარწმუნოება თქვენი თანდათანობით განძლიერებულიყოს, ვიდრე ანგელოსთა სწორებამდე, ცხოვნებისათვის თქვენისა: ამასთანავე თქვენცა გთხოვთ, რომ ყოველი თქვენგანი მოხარბე იყვენით თქვენი სიცოცხლის დროისა, ესე იგი, თქვენს სიცოცხლეს ყოველ საათს და ყოველ მინუტს ძლიერ დიდ დვთის წყალობად სთვლიდეთ და ცხოვნებისათვის დიდათ საჭიროთ აფასებდეთ, რადგან ყოველ საათს და ყოველ მინუტს თქვენი სიცოცხლისას, თქვენისვე ღოცვით მონარეწი ფერად-ფერადი სულიერი მადლები უნდა მოჰქონდეს და მითი უნდა სულიერად მდიდრდებოდეთ. რომელ საათსაც უკეთილსაქმოდ და ულოცველად გავატარებთ, იმ საათის დროს დაკარგვა, საგლოვი და სატირალია თვითეული ჩვენგანისათვის, რადგან ჩვენ ღმერთმა კეთილის ქმნის დრო მოგვცა და ჩვენ იმ დროში ვერაფერი კეთილი ვერ შევიძინეთ და ტყულად დაგვარგეთ.

რამდენი ამისთანა დაკარგული დროის სიცოცხლე ენატრებათ ჯოჯოხეთში ტანჯუ-

ლებს და ვერ ღირსებიან, და ჩვენ, ცოცხლებს რომ რაიმე მცირედი ჩვენი დრო უკეთილნაყოფოდ დაგვეკარგოს, ღირსად სასჯელში მისაცემი ვიქნებით. აბა, როგორ სატირალი არ არის, უკეთილნაყოფოდ სულ მცირედის დროის დაკარგვაც კი – ნათქვამია წმ. მამათაგან: ოქრო, ვერცხლი, გინა სხვა ქონება რომ დაგვეკარგოს; არ არის ისეთი საგლოვი და სატირალი, რადგან უკეთუ გვინდეს, ჩვენ სიცოცხლეში კიდენ შეიძინება ივინი; ხოლო ადამიანმა რომ თავისი მცირეოდენი დრო ულოცველად და უმადლოთ დაკარგოს, ეს კი სამუდამოთ დაკარგული შეიქმნება. და იმ დაკარგულ დროს ჩვენ ვეღარ შევიძინებთ და ვეღარ დავიბრუნებთ.

იქნება მართლა ჩვენის დაუდევრობით წარვწყმდით და ჩავვარდით სასჯელში? – მაშინ ჩვენი სიცოცხლის დროის ერთ საათსაც კი მოვიძიებთ მაგრამ ვეღარ ვიპოვნით. ამისათვის გამცნევთ, რომ მოხარბე იყვენით თქვენი სიცოცხლის დროის მადლის შეძენისათვის.



წმიდა ექვთიმე აღმსარებლის ხელნაწერი

რამდენი კაცი არის, რომ თავის სიცოცხლეში თავის ცხოვნების დაუდევარი: არც ეკლესიაში შედის, არც წირვა-ლოცვას ისმენს, არც სახარებისა და საღმრთო წერილის სიტყვებს ისმენს და არც აღსარებისა და ზიარებისათვის ზრუნავს. ამ-

რიგად მოკვდება ცოდვასა შინა თვისსა და ჩავარდება სატანჯველში თუ არა, მაშინ დარწმუნდება, რომ აუცილებლად საჭირო ყოფილა მუდამ ეკლესიაში სიარული, სახარების და საღმრთო წერილის სიტყვების მოსმენა და აღსრულება, მასთან – გულწრფელი აღსარება, სინანული და ზიარება. იგი დიდის გოდებით გლოობს ამის დაკარგვას; გაგიუბით ეძებს იმ

დროს და ვეღარ უპოვებია. ხოლო ჩვენ ვმადლობთ მოწვეულ ღმერთს, რომ ყოველ დღე გვესმის საღმრთო წერილის სიტყვები, სახარების სიტყვები და სხვა მრავალი წმიდა მამათა დარიგებები და ჩვენ უბადრუკნი კი ჯეროვნად ყურს არ ვუგდებთ, არ დავეძებთ, ეკლესიაში მუდამ არ შევდივართ, და თუ შევალთ, მოწიწებით დგომის და ლოცვის მაგიერად, ურიად შევდივართ და ლაპარაკს და ბაასს ვავმართამთ. ამისათვის, ცოდვების მოტყევის მაგი-



მონოზონი ევპრაქსია ჩარკვიანი (მაჯნოვი)
მონოზონი სიღონია ბაქრაძე (მარცხნივ)

ერად, უფრო ცოდვილები გავდივართ ეკლესიიდან. ეკლესიაში სიფხიზლით დგომისა და ლოცვის მაგიერად, დაჯდომას ვესწრაფებით, და იქ ხშირად თვლემას და ძილს ვეძლევი.

ღმერთმან უწყის, არ ვიცი რასი იმედი გვაქვს ჩვენ უდებთა, რატომ არ უნდა განვადვიებდეთ თავსა ჩვენსა?! შეგვიძლია, ჩვენ ღვთისა მიერ დღითი დღე კეთილად, მშვიდობით, გულსმოდგინებით, ღვთის შიშითა და სასოებით და მადლის მოპოებით ვცხოვრებდეთ და ჩვენ არა გვნებავს!! უამისოდ რა იმედი უნდა გვქონდეს?! ესე უწყოდეთ: ჩვენ, მეტადრე ბერ-მოლაზონნი, ღმერთმან სულიერ რთველში შეგვიყვანა ჩვენს მონასტრებში, როგორც რთველში კაცი ყველაფერ ნაყოფის ჭამას ეტანება და სიამოვნებს, ვგრეთვე ჩვენ ჩვენ მონასტერშიდ უნდა ყველა ვეტანებოდეთ სულიერის ხილის დაკრებას, რომელიც არის: მოთმინება, მორჩილება, სიმდაბლე, სულგრძელება, ლოცვა, მარხვა, მღვიძარება, სიმშვიდე, სიწყნარე, სიწირფოება, სიწმიდე, სიმართლე, უბიწოება, უმანკოება, კეთილი საქმე, ურისხველობა, მყუდროება, წესიერება, განუკითხველობა, მღუშარება, უანგარობა და მოწყალება; ჩვენი რთველი – ეს კეთილ სათნოებათა ნაყოფნი არიან და ჩვენ ყოველნივე

ამათ შექენას უნდა ვეტანებოდეთ და სიხარბით უნდა ვირეწოდეთ მათ მიერ კეთილნაყოფიერ მოცემულ მადლს, რომელიც მიგვიყვანს ჩვენ წინაშე ღვთისა პირნათლად და ამათ მიერ აკუთნებს ღმერთი კაცთა ცხოვრებას საუკუნოს, რომელიც თქვენც გაღირსოთ მრავალმოწყალებან ღმერთმან.

დიდი კაცთმოყვარება ღვთისა არს, სულიერნო დანო და დედანო, რომ ვართ და ვსცხოვრობთ სოფელსა ამას შინა, მაგრამ ჩვენი გულგრილობა და უგულისხმოება არის, რომ ვერ ვხედავთ საუკუნო სატანჯველთა, თუ რა საშინელი მძიმე და მწარე არიან და ამისათვის აქაურნი ჭირნი და მოთმინებანი მძიმედ მიგვაჩინან, რომელიც ჭეშმარიტ მორწმუნეთა და მოსწრაფეთათვის არა მძიმე არიან ჭირნი ამის სოფლისანი, არამედ უღელ-ტკბილი და ტვირთი მსუბუქი. ამისათვის, წმიდანი მამანი კი არ გაურბოდენ ჭირთა და განსაცდელთ, არამედ პირიქით, ეტანებოდნენ მათკენ. ამას ამოწმებს წინასწარმეტყველის დავითის სიტყვა, რომელიც სთხოვს ღმერთს: „ჭირთა შინა განმივრცე მე უფალო“, ხოლო პავლე მოციქული იტყვის: „ჭირთა დაუთმობდით“ – ხოლო ჩვენ ძილითა და განსვენებითა გვნებავს სასუფეველსა შესვლა, და ამისთვის სულმოკლე ვიქნებით. უკეთუ რაიმე ჭირი და განსაცდელი მოიწიოს ჩვენზედა, ვმადლობდეთ ღმერთსა და ვნატრიდეთ თავთა ჩვენთა, რომ ღირს ვიქმნენით სოფელსა ამას შინა მცირე წარმავალსა ჭირსა, ნაცვლად მერმესა მას წარუალისა ჭირისა, რომლისაგან გვიხსნას უფალმან მადლითა და წყალობითა თვისითა. ამინ.

გარდა ამისა, სულიერნო დანო, მოიკითხეთ ჩემ მაგიერ დედა იღუმენია ნინა და აგრეთვე სულიერნი დანი: ანუსია, ქრისტინა, ანასტასია და სხვანი ყოველნი, რომელთაც ჩემი პატივისცემისათვის დიდი მადლობა მოახსენეთ. ამისთვის ვსთხოვ მოწვეულ ღმერთს და ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს და წმიდა მოციქულთა სწორს ნინოს, რომ დალოცვილი და კურთხეული იყოს თქვენი მონასტერი და დედა იღუმენია ნინა, ყოველივე თავის კრებულთურთ. აგრეთვე, ვსთხოვ ყველა თქვენგანს, რომ მომიხსენიოთ, თქვენი კეთილად მომხსენებელი, ჩემი უღირსებაც.

მღვდელმონაზონი ექვთიმე
1919 წ. 29 ივლ.

იოსებ ლეჟავასაგან წერილი მივიღე და მწერს: სიღონიას შენთან წერილი გამოუგზავნია და პასუხს ელოდებაო, ხოლო მართაღს მოგახსენებთ, რომ მე ჯერ არც ერთის თქვენგანისაგან არავითარი წერილი ჯერ არ მიმიღია.

ექვთიმე.

IRUMENIA DARIA FARAVA

(1805 _ 1853)

მოციქულთასწორი წმიდა ნინო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პირველმოღვაწე მენელსაცხებლე დედად წარმოჩინდება, რომელმაც მაყვლის ტოტებისაგან შეკრა კარავი, აღმართა ვაზის ჯვარი და შემოიკრიბა სულიერი დანი: მოციქულთასწორი დედოფალი ნანა, წმიდა სიღონია, შროშანა, ანასტასია, დედოფალი სალომე უჯარმელი, პეროქავრა სივნიელი და სხვანი. წმიდა ნინოს თანამოღვაწე მენელსაცხებლე დედანი, რომელთა ლოცვითაც ანგელოზმა აღმართა სვეტი ცხოველი, ქართული საბერძნოზვნო სკოლის ფუძემდებლები არიან.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის დასაბამი სამთავროს მონასტრის დასაბამიცაა და მისი შემდგომი ცხოვრების განმსაზღვრელიც. საქართველოს ეკლესიის ისტორია ქრისტეს მოწამე მხედართა სისხლით ესოდენ არის გარდათხეული, რომ ხშირად ძნელია მათში აღმოვიკითხოთ ღირსთა და ღმერთშემოსილთა ქრისტიანული დვაწლით დენილი სისხლი...

მცხეთის სამთავროს დედათა მონასტრის ისტორია, უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე, უხილავად, კვლავაც წმიდა ნინოს ლოცვით წარემართება და როგორც კი ბაგრატონთა დვითიკურთხეული გვირგინი ხელყვეს, ქართული ეკლესიის სამოციქულო საყდარი შეირყა და ქართულ ენაზე ლოცვის ლამპარიც განელდა, უმაღლესი შემოკრბნენ წმიდა ნინოს სამლოცველოში მენელსაცხებლე დედანი.

XIX საუკუნის დასაწყისში, 1811 წელს, როცა რუსეთში მოქმედმა ანტიქრისტიანულმა ძალებმა უკანონოდ გააუქმეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, წმიდა ნინომ კვლავაც გამოიჩინა ქრისტეს მსახური მენელსაცხებლე დედანი, რომლებიც მტრისა და საკუთარი ცოდვების მძლავრებით ნებაწართმეულ, წყვდიადით მოცულ ერში, ყველასაგან

უჩინოდ, უცნობელად, მაგრამ უდრეკელად მიიღტვოდნენ ღვთის სათნოყოფად. ეს ის პერიოდია, როდესაც რუსეთსა და ევროპაში ნეოწარმართული სულისკვეთება ზვირთდება და ანტიმართლმადიდებელი ჩინოვნიკები, სარწმუნოებასთან ერთად, საქართველოში ყოველივე ეროვნულსაც დევნიან. ასეთ ვითარებაში გაუქმდა და გაუკაცურდა საქართველოში იმ დროს მრავალი ეპარქია, რომელთაგან ერთ-ერთი პირველი გაუკაცურდა სამთავრეპისკოპოსო რეზიდენცია მცხეთაში.

XIX-XX სს. სამთავროს წმიდა ნინოს ფერისცვალების მონასტერში მოღვაწე მრავალი დედის სახელი შემოინახა მონასტრის მატთანემ, რომელთაგან გამორჩეულად მოიხსენება მონასტრის დამაარსებელი და პირველი წინამძღვარი ნინო (უფროსი) ამილახვარი და მისი ძმისშვილი, დვაწლმოსილი იღუმენია ნინო (უმცროსი). მართლმადიდებელ საქართველოზე დატყუილმა განსაცდელებმა მრავალი სულიერი მოღვაწის სახე დაფარეს, მაგრამ მათ ხატებას, ჟამიერად, წყვდიადში მოციაგე მთიებივით წარმოაჩენს ხოლმე უფალი.

სამთავროს დედათა მონასტრის პირველი იღუმენიას, დარია ფაღავას, შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი. მის სახელს იღუმენალი ნათლით მოსავს გადმოცემა, რომელიც მონასტერს აწ განსვენებულმა უხუცესმა დედამ, იღუმენია ანა აჭაიძემ შემოუნახა* და რომლის ფრაგმენტიც დედა დარიას საფლავზეა ამოტვიფრული.

გადმოცემის მიხედვით, იღუმენია დარია ყმაწვილი ქალწული მოსულა მცხეთაში და დედათა მონასტრის სათონესთან დასახლებულა. დედა დარია სამეგრელოს თავად ხიტუ ფაღავას ერთადერთი ასული ყოფილა და მისი საერო სახელი,

* ეს გადმოცემა 1985 წელს თავად ჩამაწერინა იღუმენია ანამ (აჭაიძე) და გამოქვეყნდა სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში.



ვაჭარს მცხეთაში. სამთავროს მონასტრის ეზოში, სათონესთან დასახლებულა ფაღავას ქალი. მალე მას ძმები დადევნებინან და არაგვის პირას, ბებრისციხესთან გასულს, სამ ცხენოსანში ძმები შეუცვნია. დარიაშ უმაღ არაგვის წყალს მისცათავი და წყლიდან გასული მღვდლის ოჯახმა შეიფარა. მღვდელს სიზმრისეული ჩვენებით სცნობია ეს ამბავი და ყმაწვილი ქალი გულმოდგინედ გადაუმაღავთ. ასე მოვიდა ღვთისმშობლის საკუთარი მოწაფის, მოციქულთასწორ წმიდა ნინოს სავანეში დიდი დედა დარია (ფაღავა), რომელიც სამთავროს დედათა მონასტრის პირველ იღუმენიად გამოარჩია ქართველთგანმანათლებელმა წმიდა ნინომ. საარქივო მასალები, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილიც ბატონმა გია ჭანიშვილმა წარმოადგინა თავის შესანიშნავ წიგნში „სამთავრო“ და ახლადმოძიებული

სავარაუდოდ, ქრისტიანე უნდა იყოს, რასაც მონასტრის არქივში დაცული 1946 წლის ფორმულარი ადასტურებს. თავადის ასულს შვიდი ძმა ჰყავდა და ამასთან, ღვთისაგან ყოველგვარი ამქვეყნიური სიკეთით იყო მიმადლებული. ერთხელ მათთან მცხეთელი ვაჭარი



ძველი მცხეთა

ჩასულა და თავადის მსახურებისათვის უამბნია, თუ როგორ გააუქმა საეგზარქოსომ მცხეთაში ქართლის საეპისკოპოსო საყდარი, როგორ განდევნეს ღვთისმსახურები და რომ გავერანებულ წმიდა ნინოს სამლოცველოსთან ორიოდ მონოზონი სახლობდა. ამ ამბის მსმენელს, თავადის ასულს, უყოყმანოდ დაუტოვებია მშობლიური კერა, ყოველივე ამქვეყნიური და ვაჟურად გადაცემული, როგორც ერთი ვინმე მსახურთაგანი, მალვით გამოჰყოლია

ცნობები სამთავროს მონასტრის შესახებ, რომელიც მოგვაწოდა ქალბატონმა ციალა გაგნიძემ, საშუალებას იძლევა, ამოვიკითხოთ ქართული საბერ-მონოზონო ტრადიციის ღირსეული წარმომადგენლის, ღირსი დედის, იღუმენია დარიას ღვაწლი.

იღუმენია დარია დაიბადა 1805 წელს სამეგრელოს სამთავროს თავადის, ხიტუ ფაღავას ოჯახში. იგი სამთავროს დედათა მონასტერში 1831 წლის 23 თებერვალს, ნინო ამილახვარის წინამძღვრობისას დაემკვიდრა. 1833 წელს ანაფორით შეიმოსა

და მონოზონად აღიკვეცა არქიმანდრიტ საბას კურთხევით. ეს წლები საქართველოს ცხოვრების ერთ-ერთი მძიმე, გადამწყვეტი პერიოდია, როდესაც 1832 წლის შეთქმულების დამარცხებით, საქართველოს ეროვნული ნება საბოლოოდ გაატყდა. ამ ურთულეს დროს იტვირთა სამონოზონო ჯვარი თავადის ასულმა, რომლის მსახურებაც ქართული საბერ-მონოზონო სკოლის სიქადულად წარმოჩინდება.

მონასტრის ერთ-ერთი ფორმუღარის მიხედვით, „აღკვეცილი მონაზონი დარია, თავადის ხიტუ ფადავას ასული სარწმუნოებით არის ბერძენთ-ქართველისა, შობითგან არის ლა (31) წლისა. აღსარებას იტყვის და წმიდას საიდუმლოს მიიღებს ოთხსავე მარხვაში ყოველს წელიწადს, იცის ქართულსა ენასა ზედა საღმრთო წერილი, კითხვა-გალობა და წერა... ხელსაქმე იცის, რაიცა ჩვეულებრივ არს ქართველთა“. სამთავროს მონასტრის სულიერი მოძღვრის, იღუმენ იოანეს, ეგზარქოს ევგენისადმი მიწერილ „რაპორტში“, დედა დარია ამგვარად არის დახასიათებული: „რომელიცა განატარებს იგი მითგანვე ფრიადითა სიმშვიდითა; ღვთისმსახურებითა და კეთილზნეობითა მსახურებს იგი სხუათა მონაზონთადმი“, სხვაგან კი ასე იხსენიებს მოძღვარი სულიერ შვილს: „იგი ცხოვრე-

ბითა მსახურების მაგალითად არს სხვათა მონაზონთადმი“. (ფ.№488 საქმ. №6064).

1835 წელს მონასტრის პირველ წინამძღოლს, ნინო ამილახვარს, დედები ხელმეორედ აირჩვევენ წინამძღვრად; ღირსი დედა, თავის მხრივ, მონაზონ დარიას გამოარჩევს და მას „ბლალოჩინად“ დანიშნავს. კეთილმოწესე დარია მხნედ და ერთგულად დაუდგება მხარში წინამძღვარს და იღვწის მონასტრის როგორც მატერიალური, ასევე სულიერი აღორძინებისათვის. იგი სამშენებლო საქმეებისთვის საჭირო თანხების მოძიებასაც ეშურება და იმავდროს, სამონასტრო ცხოვრების წეს-განგების შესწავლასაც ცდილობს; დედა დარიას მოშურნეობამ ეგზარქოსი ევგენი ბეჟანოვის ყურადღება მიიპყრო; მთავარეპისკოპოსმა შუამავლობა გაუწია კეთილმოწესეს და მის სულიერ დას, ქრისტინე ოქროპირიძეს, რათა საეკლესიო მმართველობას მათთვის ნება დაერთო, რომ რუსეთის ქალაქებში ერთი წლით წასულიყვნენ, დედათა მონასტრების ცხოვრებას გაცნობოდნენ და მონატრისათვის საჭირო თანხა მოეძიათ.

1839 წელს, მრავალი ღვაწლის შემდეგ, ღმრთივ განისვენა სამთავროს მონასტრის ფერისცვალების დედათა სავანის დამამყარებელმა, დიდმა დედამ, ნინო ამილახვარმა. ამ დროისათვის სამთავროს მო-



ძველი მცხეთის ცენტრალური ქუჩა

ნასატერში ათზე მეტი დედა მოღვაწეობს, მაგრამ მონასტერი სახელმწიფოს მიერ ოფიციალურად დამტკიცებული კვლავაც არ არის. ქართული საზოგადოება უიმედობას მოუცავს, სულიერ-ნივთიერი კულტურა მიმქრალია, ეროვნული ნება – დათრგუნული, სასულიერო წოდება – უფლებააყრილი. ასეთ ისტორიულ სინამდვილეში, ახლადამოცენებული სულიერი საგანის ოფიციალურად გაფორმება და დამტკიცება უმძიმეს საქმეს წარმოადგენდა. რისთვისაც წლების მანძილზე დაშვრებოდა სამთავროს დედათა მონასტრის დამაარსებელი, ნინო ამილახვარი, მაგრამ აღსრულებას ვერ ეწია.

მონასტრის დამაარსებლის გარდაცვალების შემდეგ, არქიმანდრიტი იოანეს ლოცვა-კურთხევით, მონასტერს განაგებს დედა დარია, უფროსი მონოზონის სტატუსით. საგანის მთელი პასუხისმგებლობა მასზე გადადის. საქმიან ქაღალდებს იგი ყველგან ხელს აწერს, როგორც უფროსი მონოზონი და ამგვარადვე იხსენიებენ მონოზონ დარიას სასულიერო იერარქები. ბატონი გია ჭანიშვილი შენიშნავს (წიგნში „სამთავრო“), ფორმულარებსა და სხვა სახის დოკუმენტებში მართლაც აღრეულია დედა დარიას მონოზონად კურთხევის თარიღი. კერძოდ, სახელდება რამდენიმე მათგანი: 1833, 1835, 1846 წელი. ჩვენი აზრით ყველაზე მეტად სარწმუნოა, რომ დედა დარია 1833 წლის ოქტომბერში აკურთხა მონოზონად არქიმანდრიტმა საბამ, „ბრძანებითა ყოვლად უსამღვდელოესის არხიეპისკოპოსის მოსესითა ჩყლგ (1833) წელსა ოკტომბერის ბ (2) დღესა. რაიცა ვაჩვენე. ხელს ვაწერ მონაზონი დარია თავადის ხიტუ ფადავას ასული“ (გია ჭანიშვილი „სამთავრო“ 2008). ამ წყაროს თავად იღუმენია დარია აწერს ხელს და როგორც ვხედავთ, თავადვე ამოწმებს: „რაიცა ვაჩვენე, ხელს ვაწერ მონაზონი დარიაო“. აგრეთვე, მონასტრის სულიერი მოძღვარი და ყოვლითურთ თანამოღვაწე იღუმენია დარიასი, არქიმანდრიტი იოანე, 1839 წლის 5 მაისს ეგზარქოს ეგვიენისადმი მიწერილ „რაპორტში“ წერს: „დარია მონაზონი სურვილითა თვისითა მოსრულ არს თავის სამფლობელოს მეგრელის ადგილიდან 1831-ს წელში, საცხოვრებლად სამთავ-

როს დედათ მონასტერს მორჩილობასა ქუეშე, რომელიცა არის იქაურის, სამეგრელოს თავადის ხიტუ ფადავას ასული. და შემდგომ 1832 წელში თხოვისამებრ, სურვილითა დარიასა, ინება განსვენებულმა ყოფილმა ეგზარქოსმა მოსე არხიეპისკოპოსმა ბრძანებითა თვისითა, მყოფობასა შინა მცხეთას მეორეს რიცხვსა ოკტომბრისასა აღკვეცა მონაზონად მცირისა ანაფორის შემოსითა, არქიმანდრიტის საბას მიერ. ხოლო აღკვეცისა შემდგომად ირიცხებოდა იგი სამთავროს დედათ მონასტერსა შინა მეორე მონაზონად, გარდაცვალებულის მონაზონისა ნინასთანა“. (საქ. №6064) – ამ წერილის მიხედვით, კიდევ ერთგზის დასტურდება, რომ დედა დარია მონოზონად აღიკვეცა 1832-33 წლებში. და მართლაც, შეუძლებელია რომ მორჩილი ან სამონოზონე უფროს მონოზონად განეწესებინა ან „ბლალოჩინად“ დაედგინა წინამძღვარ ნინო ამილახვარს; ანდა სხვადასხვა საბუთებში უფროს მონოზონად მოეხსენებინათ.

დედა დარია ღირსეულად აგრძელებს გარდაცვლილი წინამძღვრის კვალს და იგი დაუცხრომლად იღვწის, უწინარეს ყოვლისა, საგანის ოფიციალური სტატუსის მინიჭებისათვის. იგი მრავალგზის აგზავნის მოხსენებით ბარათს თუ თხოვნას, როგორც საერო, ასევე სასულიერო ხელისუფალთა მიმართ. 1843 წ. 27 მარტს სამთავროს მონასტრის 11 დედა ხელმოწერით ადასტურებს და სინოდალურ კანტორას მიმართავს თხოვნით, მონასტრის ოფიციალური დამტკიცებისათვის. სწორედ ამ საბუთზე ხელმოწერილი სახელი „დარიას“ წინ ფრჩხილებში წერია სახელი „ქრისტინე“, რაც გვაფიქრებინებს, რომ ქრისტინე დედა დარიას საერო სახელი უნდა იყოს. (აქვე შევნიშნავთ, რომ თხოვნაზე ხელმომწერთა შორის არის კიდევ დედა დარიას სულიერი და, ქრისტინე ოქროპირიძეც).

1846 წლის 9 ნოემბერს სამთავროს მონასტრის წინამძღვრად დაადგინეს დედა დარია და აღიყვანეს იღუმენიის ხარისხში. საიღუმენიო კვერთხი მას ეგზარქოსმა, მთავარეპისკოპოსმა ისიდორემ გადასცა, წართქმითა მწყემსმთავრულისა სიტყვითა: „მიიღე კვერთხი ესე, რომლითაცა დამტ-

კიცებითა სამწყსო შენი წარმართო, რამეთუ ჯერ გიჩნს სიტყვისაცა მიღებად მათთვის ღვთისა ჩვენისა მიმართ დღესა მას სასჯელისასა“. – ეს, ათწლეულების შემდგომ პირველი საილუმენიო კვერთხი იყო, სულიერი დედისათვის გადაცემული.

ჩვენამდე მოღწეულია ილუმენია დარია ფალავას „ტიპიკონი“ ხელნაწერის სახით, რომელიც „აღწერილ არს კოლეუსკი სეკრეტარის იონანე მოძღვაროვისა“ მიერ. მასში გადმოცემულია „მღვდელმთავრისა დამწყსობა მიცემისა ჟამსა კვერთხისასა, პირველსა ილუმენიასა სამთავროს მონასტერისა წმიდისა ნინასასა“, სადაც მღვდელმთავარი გადასცემს დედა დარიას საილუმენიო კვერთხს შემდეგი სიტყვებით:


„უფლისა იესო ქრისტეს მიერ საყვარელო შვილო დარია, მომიპყრენ ყურნი ეგე შენნი და მოხედენ ხმასა ამას ჩემსა, რომელსა გეტყვი შენ. მაღლითა ყოვლადწმიდისა ცხოველსმყოფელისა სულისა ღვთისათა, აღყვანილ ხარ ჩვენ მიერ სასულიეროსა სამთავროსა წმიდასა მონასტერსა მოციქულთა სწორისა ნინასა ილუმენიად, რაითა სამწყსო შენი სიტყვიერნი ცხოვარნი, სამწყსო ქრისტესი, მოგებულნი პატიოსნითა და უსასყიდლოთა მით სისხლითა განაგო, და **ხელთა გედების შენ ჩვენგან კვერთხი ესე სასწაულად**, რომლისაცა მიმღებელ ხარ თიხეულისა ამის ხელისა ჩემისაგან, ჰგონებდე ვითარმედ მარჯვენისა მისგან თავადისა ღვთისა, რომელი ხელთ გიდებს შენ ჩემ მიერ უხილავად, ხოლო შენ ხელდებულთა ამათ შენდა სამწყსოთა წარუძედუ გზად მცნებათა მათ მწყემსმთავრისა მის და მეუფისა მაცხოვრისა ქრისტესითა ყოვლითავე გულსმოდგინებითა, **რათა არა მიდრკე მარჯვნივ, გინა მარცხენით, არამედ საშუალითა მით გზითა, რომელსა ეწოდების გზა სამეუფო** და განმყვანებელ

ექმენ მათ ხრწნილებისაგან უხრწნელებად, ქვეყანისაგან ზეცად; ვითარცა მოსემ შემდგომად მოღებისა კვერთხისა უფლისაგან ღვთისა განიყვანა ერთი ისრაილთანი მონებისაგან მეგვიპტელთასა ქვეყნად აღთქმისად“.

XIX ს. პირველ ნახევარში საქართველოში სახელმწიფოსაგან ოფიციალურად დამტკიცებული მონასტრები არ არსებობდნენ. საეგზარქოსო ხელისუფლება დაინტერესებული იყო, დედათა მონასტერი თბილისში გაეხსნათ. მაგრამ ილუმენია დარია ფალავას ღვაწლით, 1847 წელს, დედათა მონასტერი მცხეთაში, წმიდა ნინოს საგანეში „მაყვლოვანში“ გაიხსნა და მცხეთის სამთავროს დედათა მონასტერი ოფიციალურად, მოქმედ საგანედ დამტკიცდა.

საკვირველია ღვაწლი დედა დარიასი. იგი თანამიმდევრულად და ერთნაირი ძალისხმევით წარმართავს მონასტრის სულიერ-ასკეტურ და ყოფიერ-გარეგნულ ზრდას. მონასტრის მატრიანესა და საარქივო მასალის ძუნწი ცნობების მიუხედავად, ილუმენია დარიას ფიზიკური და სულიერი ძალმოსილების ერთობლიობა ნათლად იკვეთება. გზა, რომელსაც მონასტერში მოსული ყმაწვილი თავადის ასული გაივლის, ქრისტეს მსახური მენელსაცხებლედ დედების გმირობით არის აღბეჭდილი და რწმენითა და სასოების ძალმოსილებით ადავსებს მის თვალისმიმდევნებელს.

საარქივო მასალა, რომელიც ილუმენია დარიას წარმოებულ საქმეებს მოიცავს, მრავალმხრივ და მიზანმიმართულ საქმიანობასთან ერთად, მის უაღრეს განსწავლულობას წარმოაჩენს. უწინარეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ სამთავროს მონასტერში ახლად-შემონაზვნებულ დედებს უმეტესწილად ილუმენია დარია ასწავლის წერა-კითხვას და გალობას, რაც მონასტრის ფორმულარებ-



სამთავროს საილუმენიო გამშვენებული კვერთხი


შია აღნიშნული. დედა დარია მამთავროს მონასტერში სათავე დაუდო აგრეთვე გოგონათა სასწავლებელს, რომელშიც თავდაპირველად ათიოდ მოსწავლე ყოფილა, თავად-აზნაურთა ოჯახებიდან. ისინი წერა-კითხვას, საღმრთო წერილს და ხელსაქმეს სწავლობდნენ...

განსაკუთრებით საინტერესოა იღუმენია დარიას მიერ მონასტერში შემოღებული ტიპიკონი, რომელიც ქართული სამონასტრო ცხოვრების უკანასკნელი საუკუნეების ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი წეს-განგებაა. იგი სამონასტრო ცხოვრების დიდი გამოცდილებით გამოირჩევა. დღემდე საკვირველად შემონახული ეს ტიპიკონი, მონასტრის აწინდელი იღუმენია ქეთევანის მცდელობით და მისი დაუინებელი თხოვნით იქნა მიგნებული.

ტიპიკონი უადრესად დახვეწილი და მრავლისმომცველია, იგი ზოგადცხოვრებულთა ტიპის მონასტრის წეს-განგებას წარმოადგენს, რომელიც მამთავროს მონასტრის შემდგომი პერიოდის ცხოვრების საფუძველი ხდება და რომლის მიხედვითაც ყოველივე წარმართულია წმიდა მამების ტრადიციების დაცვისაკენ – მონასტრის დედეებში ჭეშმარიტი სიყვარულის გასამყარებლად, ერთობის სულისა და უპოვარების განსამტკიცებლად.

სულიერ საქმიანობასთან ერთად, დედა დარია სამეურნეო საქმესაც ზედმიწევნით ფლობს. 1848 წელს მონასტრის წინამძღვარი, იღუმენია დარია ფაღავა და დეკანოზი იოსებ ბარისოვი მონასტრის აღდგენის საქმეს იწყებენ, რომელიც ტაძრის განახლებასთან ერთად, სენაკების, სატრაპეზოსა და სხვა სახის ნაგებობათა შენებასაც ითვალისწინებდა. შეიქმნა მამთავროს აღდგენის კომიტეტი... საქმეში ჩაებნენ არქიტექტორები და მშენებლები; მარტო ის რომ, მონასტრის ტერიტორიაზე 161 ოსტატი და 132 შავი მუშა მუშაობდა იღუმენია დარიას უდიდეს ძალმოსილებაზე მეტყველებს. მით უფრო, რომ დედა დარია მიმდინარე სამუშაოების მხოლოდ შემსწრე არ იყო, არამედ იგი საქმიან ქაღალდეებს აწარმოებდა, დებდა ხელშეკრულებებს, პასუხს აგებდა და ხელს აწერდა მრავალ საბუთს, რომლებიც მამთავროს კომპლექსის აღდგენის საქაღალდეებში მრავ-

ლად არის შემონახული; იმავედროულად, დედა დარია იღუმენის მშენებლობისათვის საჭირო თანხების მოსაპოვებლად. ერთ-ერთ საქმიან ქაღალდში იღუმენია დარია ეგზარქოს ისიდორეს 450 „რუბლს“ სთხოვს სენაკებისათვის სიძველისაგან დამპალი კოჭების გამოსაცვლელად და მთავარეპისკოპოსი ისიდორე მონასტრისათვის ამ თანხას გამოყოფს. აღსანიშნავია, რომ



იღუმენია დარია ფაღავას ხელნაწერი

მთავარეპისკოპოსი ისიდორე საქართველოში მოღვაწე იმ ეგზარქოსთა შორის წარმოჩნდება, რომლებისთვისაც ყოველგვარ პოლიტიკანობაზე მაღლა, სასულიერო იერარქიის ღირსება-მოვალეობა დგას, რასაც იღუმენია დარიას ერთ-ერთ წერილშიც ამოვიკითხავთ. იგი მღვდელმთავარ ისიდორეს, როგორც მზრუნველ მამას, მიმართავს: „მონასტერი ესე მდგომარეობს დიდსა სიღარიბესა შინა, თვინიერ თქვენის მწყემსმთავრულის მოწყალებისა, ამა მონასტრის ეკლესიასა ვითარიმე შემოსავალი არა აქვს, ამისთვის ვთხოვ ყოველადუმორჩილესად თქვენს მაღალუსამღვდელოესობას, დაიდგას ამა მონასტრის ჩასწვრივ ვარუშკა (ყუთია რაღაც) გზის პირზედ. ყოველ მორწმუნეთა და ქრისტეს მოყვარეთა, გამვლელ-გამომვლელთა მზავრთათვის, სასარგებლოთ ამა ეკლესიისათვის. 1850. იანვრის 3“ (ფ. №448).

იღუმენია დარია მონასტრის ისტორიულად კუთვნილი ტერიტორიის დასაცავად ყოველ ღონეს ხმარობს. იგი ერთ-ერთ წერილში წინ აღუდგება მონასტრის სამ-

რეკლოს მიმდებარე ტერიტორიაზე სასაფლაოს გახსნას და „უწმიდესის მართებულის სინოდის ჩვენს“, მთავარეპისკოპოს ისიდორეს წერს რომ აღნიშნული ტერიტორია მონასტრის საკუთრებაა და იქ სასაფლაოს გახსნა უკანონოა. წერილი-



სამთავროს ფერისცვალების ტაძარი იღუმენია დარიას საფლავი კანკელის წინ

დან ჩანს, რომ ამ საკითხზე დედა დარიას ადრეც მიუძღრთავს საერო ხელისუფლებისათვის, მაგრამ უყურადღებოდ დაუტოვებიათ მისი თხოვნა. ღირსი დედა სასულიერო ხელისუფლებას მიმართავს, რომ „სასაფლაოთი იგი იქნენ გადატანილ სხუასა ადგილსა, რომელიცა აქუსთ მცხეთის მცხოვრებთა, ვითარცა ქართველთა, აგრეთვე სომეხთა“. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდისათვის მონასტრის საკუთრებაშია ძეგვის სახნავ-სათესი მიწის ნაკვეთი, რომელსაც დედა დარია კეთილად განკარგავს.

განცვიფრებას იწვევს თავადის ქალისაგან სამეურნეო საქმეთა გაწყობა-წარმართვა. სხვა ყოველივესთან ერთად, იღუმენია დარია მონასტრის წყლით უზრუნველყოფისთვისაც იღწვის და 1851 წელს მონასტერში წყალსადენს გაიყვანს,

მახლობლად აღმოჩენილი წყაროდან, რაც იმდროისათვის დიდ ძალისხმევასთან ერთად დიდ ხარჯებთანაც იყო დაკავშირებული. ამ საქმეში მას თამარ ბატონიშვილი დაეხმარა - თამარ იულონის ასული ბატონიშვილი, ერეკლე II-ის შვილიშვილი, 1832 წლის რუსეთის წინააღმდეგ შეთქმულების მონაწილე, მონასტერზე ზრუნვას შემდეგაც აგრძელებს. სამთავროს მონასტრის იღუმენია დარიასადმი თამარ ბატონიშვილის თანადგომა მეტად ნიშნეულია და დედა დარიას საზოგადო საქმიანობაში მონაწილეობის თვალსაჩინოებად წარმოადგება.

დასასრულ, იღუმენია დარიას მტკიცე და უდრეკ ხასიათს ნათელყოფენ წერილები, სადაც იგი მონასტრიდან განაშორებს ურჩებს და დაუდევრებს; ამასთანავე, დედობრივი მზრუნველობით ეკიდება მოშურნე მოღვაწეებს, რომლებსაც სხვადასხვა საკითხებზე შუამდგომლობს საერო და სასულიერო ხელისუფლებასთან. დედა დარია ერთნაირად მამხილებელია მდაბალთა და ჩინოსანთა. იგი „უფალს ტფილისის ნაჩაღნიკს“ წერილში კიცხავს, რომ მონასტერში უწესო დედაკაცს აგზავნის უკანონოდ შობილ ბავშვებთან ერთად. იღუმენია ქალაქის უფროსს მონასტრის წინამძღვრის უფლება-მოვალეობას შეახსენებს და სასულიერო წოდების ღირსების პატივისცემისაკენ მოუწოდებს.

მცხეთის სამთავროს დედათა მონასტრის პირველი იღუმენიის მძიმე ჯვარი უფალმა დედა დარიას არგუნა, რომელიც ღვთისათნო დედამ ღირსეულად ატარა საქართველოს გაუქმებული სახელმწიფოსა და ეკლესიის დამოუკიდებლობის ხელყოფის უამს. იღუმენია დარია მოწინასწარმადლობის ექვსი წლის მანძილზე შეძლო, არა მარტო მცხეთის სამთავროს სავანის დამტკიცება-აღორძინება, არამედ ზოგადად, საქართველოში დედათა მონასტრის სულიერი ცხოვრების გზის წარმართება და მათთვის სამონასტრო ცხოვრების მემკვიდრეობით გადაცემა...

ღირსმა დედამ, დარია ფალავამ, ღმრთივ განისვენა 1853 წლის 15 იანვარს, იგი დაკრძალულია სამთავროს მონასტრის ფერისცვალების ტაძარში., საკურთხეველთან

მარიამ ნიაური

ილიდებოლა მარადისაო

იღუმენია ქეთევანის (კოპალიანი) წიგნის
„ივერთა მზეო, ქართველთ ღხენაო“ განხილვა



იღუმენია ქეთევანი. სულთმოფენობა

განსაკუთრებით მადლმოსილია სასულიერო პირების მიერ შექმნილი პოეზია, რადგან მათი შთაგონების წყარო უფლის სიყვარულია, რაც ლექსის ყოველ სტრიქონში, თითოეულ ბგერაში იგრძნობა.

სამთავროს დედათა მონასტრის წინამძღვარი, იღუმენია ქეთევანი (კოპალიანი) რამდენიმე პოეტური კრებულის ავტორია. ისინი დედა ქეთევანმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარესს ილია II-ს მიუძღვნა. ეს ლექსები თუ საგალობლები ამადლებული, სულის განმწმენდი, მსუბუქია და ეკლესიასთან გაახლოებენ.

კრებულში შესული ლექსები, ძირითადად, სასულიერო და პატრიოტულ თემებზეა შექმნილი, მრავალფეროვანია და ყოვლისმომცველი. კრებული „ივერთა მზეო, ქართველთ ღხენაო“, იწყება ლექსით „ეკლესია“. იგი საოცრად კეთილხმოვანია და კი არ იკითხება, იგალობება; ლექსში ეკლესიის მნიშვნელობაზე მაღალმხატვრულადაა მოთხრობილი:

**„ეკლესია არს ხატი მაცხოვრის,
საფარველია წმიდა ღვთისმშობლის,
მზე სიმართლისა, პური არსობის,
სასუფეველი მარადისობის...“**

საღვთისმეტყველო სიმბოლოებით და სასულიერო პოეზიისათვის დამახასიათებელი მეტაფორებითაა შემკული სამთავროს ხატის „ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისადმი“ მიძღვნილი „აკროსტიქი“, რომლის მარცხენა კიდეშიც იკითხება „სამთავროს ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი“:

**„საყდარ-ღვთისაო, სამებისაო,
ათონის ივერთ მონასტრისაო,
„მაყვალ შეუწველ“ მაცხოვრისაო,
თანამოსაყდრე მეუფისაო.
ანდამატივით მოელვარეო,
ვარშამანგოლო სიწმიდისაო,
რქაო ვაზისა, ვენახისაო,
ოქროქსოვილო კვართო ღვთისაო“**

წიგნი ზედმიწევნით და მაღალმხატვრულად გადმოგვცემს ქართველთაგანმანათლებლის ღვაწლს, რომელმაც სასწაულთა მიერ მოაქცია მეფე მირიანი და დედოფალი ნანა.

კრებულში სრული დიდებულებით არის წარმოდგენილი წმიდა დიდმოწამე გიორგის სულიერი და ხორციელი ხატება, რომელიც შთამბეჭდავად არის ასახული:

**„ლომებრსა ახოვნებითა,
ღვთიფშეენიერსა სახითა,
ქველითა სათნოებითა,
წმიდა სამების ძალითა,
ვეშაპის შემმუსვრელისა,
მეფის ასულის მსხნელისა,“**

განსაკუთრებული სიყვარულით, სითბოთი და მოკრძალებით გამოირჩევა კათოლიკოს-პატრიარქისადმი მიძღვნილი ლექსები. მათში იხატება „უწმიდესი, მაღლიანი, ღვთივრჩეული მწყემსმთავარი, სიბრძნის ქნარი ტკბილსმიანი, სულიწმიდით განბრძნობილი,“ ოქროპირი და ღვთისმეტყველი ერის ბრძენკაცი – მამამთავარი, ილია II. უსაზღვროა მისადმი დედა იღუმენიას ერთგულება და სიყვარული და როცა იგი უფალს შესთხოვს, დიდხანს იცოცხლოს პატრიარქმა ქვეყნის იმედად და ძალად, ამით პოეტი მთელი ქართველი ერის სათქმელს ამბობს:

**„იცოცხლე სანამ, ცა განქარდება,
ზღვანი დაშრება, მზედ წარხდება,
ოდეს უფალი კვლა მობრძანდება,
ღვთისა სუფევა მუნ განცხადდება.
წმიდა სამების, ღვთისმშობლის ოხით,
წმიდა ნინოე კალთა გეფაროს,
წუთისოფელი განვლე მშვიდობით –
ორთავ სოფელსა მარად გეხაროს.“**

წიგნში სათანადო პატივი აქვთ მიღებული სამშობლოსათვის თავდადებულ გმირებს: სამთავროს მონასტრის ეზოში დაკრძალულ მწერლებსა, თუ ერის მოღვაწე სხვა ადამიანებს.

განსაკუთრებული სიძლიერით გამოირჩე-

ვა ქართული ენისადმი მიძღვნილი ლექსი: „საზუგუროდ ენა ქართული“. პოეტი ქართული ენის სიყვარულს ასე მძაფრად რომ გამოხატავს, არ არის გასაკვირი, თუნდაც იმიტომ, რომ ერობაში, დედა ქეთევანი, განათლებით ფილოლოგი, პედაგოგიურ უნივერსიტეტსა და ხელნაწერთა ინსტიტუტში სწორედ ქართულ სიტყვას ემსახურებოდა. ქართული ენა მისთვის ყველაფერში ცოცხლობს, რაშიც ეროვნული სული დევს:

**„საზუგუროდ ენა ქართული,
სიტყვა ჩუქურთმად ამოქარგული,
მორაკრაკეა, ვით ნაკადული,
ბებრიცისხედ მრავალტანჯული,
სვეტიცხოველი ცად აკვართული,
სიტყვა კაზმული, ჯაგარიანი,
ღვთისა დიდებად აუღერებული,
საგალობელი მრავალხმიანი“.**

რაც კი დედასთან არის დაკავშირებული, დედა-ენის მეშვეობით გვეძლევა და გვასულღემულებს, რადგან დედაა სიცოცხლის საწყისი. დედის სახელთან ასოცირდება ის ძველამოსილი სიტყვები, რომელთა მხოლოდ წარმოთქმაა საჭირო და წამიერად იგრძნობ მის მადლმოსილებას, მის სიდიადეს. დედა ქეთევანმა საქართველოს ყველა კუთხიდან თავი მოუყარა ამ სიტყვებს და ღოცვად შემოგვთავაზა:

**„დედა, ღია, დე, დედიკო,
დედა-ენა, დედო-ზარი,
დედა-ბოძი, დედა-მძუქე,
დედო-პური, დედილაა,
ნინო, ნანა, ნენა, ნენე,
ნანდაური, ნანინაა...
გენაცვალე, შემოგველე,
გოლუაფირო, ჭირიმაა...“**

დედა ქეთევანმა წიგნში ღირსეულად წარმოაჩინა თავისი კუთხის სასიქადულო შვილი, ქართველთა საყვარელი პოეტი ლადო ასათიანი. ავტორი მდიდარი პალიტრით სარგებლობს და ფერებს არ იშურებს ლადოს შთამბეჭდავი პორტრეტის შესაქმნელად:

**„იბერიის მთების შვილო,
ჩემი კუთხის თანამკვიდრო,
დიდმგოსანო, ციურ ნიჭო,
ქართულ ნერგო, ქართულ ჯიშო,
მზეჭაბუკო დარდიანო,
თეთრო გედო – ფერმიხდილო,
სამზიანო, „სალადობო“,
შადიანო გულგაშლილო“.**

ლადო ასათიანის ენობრივი ქსოვილის გამოყენებით, პოეტი სათანადო პატივს მიაგებს ადრე წასული თანამემამულისა და თანამოკალმის ნათელ ხსოვნას.

მოკრძალებით ხატავს პოეტი თავისი დროის გამორჩეულ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, ლევან გოთუას. ტანჯვა ღვთის წყალობად და გამორჩეულობის ნიჭად არის მიჩნეული, ამიტომ, გემოდღვრავს და განგვიმარტავს სულიერი

დედა გვემუღი მწერლისხვედრს:

**„სიყრმითგან გღვედა ბედი ქართლისა,
ხვედრი კაცისა – განაწირისა,
ღმერთმან განაგო ყოველი სიბრძნითა,
შვილი, რომელი უყვარს – ტანჯისა.“**

მამული არ ივიწყებს თავგანწირულთ – ლევან გოთუას სამუდამო განსასვენებელი, სამშობლოსათვის გაღებული ღვაწლის სანაცვლოდ, დამსახურებულ ჯილდოდ მიეგო. იგი სამთავროს დედათა მონასტრის „მცირე პანთეონშია“ დაკრძალული... მონასტრის წინამძღვრის ლექსიც გვამცნობს ამ ფაქტს: „წმიდა ნინოა მადლი გფენია, სამეფო ბაღში განგისვენია...“

კრებულში კიდევ ერთ გამორჩეულ გმირს მიაგებს პატივს ავტორი, ქართველთა ეროვნული ღირსების დამცველი, დაუმორჩილებელი და დაუმარცხებელი ქაქუცა ჩოლოყაშვილის საფრანგეთიდან ჩამოსვენება გამხდარა მისი შთაგონების წყარო; დედა ქეთევანი ისეთივე სევდით და ღირსებით მიაცილებს ქაქუცას ნეშტს მთაწმინდისაკენ, როგორც აკაკი – წმიდა დიმიტრი ყიფიანს:

**„თავდადებულის საწმიდარს,
სამების დიდი ტაძრიდან,
ქედდარეკილი დროშებით
მიაცილებენ მთაწმიდას“**

ლექსი „მონანიე მარტოსული“ ჭაბუკი გენიოსის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, პოეზიასთან პოულობს სულიერ ნათესაობას. სიყრმიდან იღუმალ ხმას მიყურადებელი, ცხოვრების სიტკბოთაგან გარიყული, მუდამ მეგობრის მაძიებელი, მაინც პოულობს ძალას, განეშოროს ბოროტს: „განვედი ჩემგან, პოი, ბოროტო, სულო მაცდურო“, შესძახებს იგი ბოროტ სულს და თავისი ბედისწერის ძიებაში, საზღვრის გადალახვაში ხედავს საკუთარ მისიას, სხვისთვის გზის გაკვალვაში პოულობს ბედნიერებას. დედა ქეთევანი კი ღოცვას ანუ სულიერ მახვილს შეაგებებს სატანას და ჩვენც ამისკენ მოგვიწოდებს, მხოლოდ ასე მოიპოვებს „მონანიე სული მშვიდობას“. ბოროტს არ სძინავს, ის სწორედ იქ ცდილობს იმძლავროს, სადაც მეტი სიწმიდე და სინათლეა, სადაც სიყვარულია და სათნოება, რადგან თავად მოკვლბულია ყოველივე ამას. ჩვენც მივუგდოთ ყური ღოცვის ღვთიურ ძალას:

**„ოდეს სატანა გულში ნერგავს
ეჭვს და ტკივილებს...
ურწმუნოებას, ბილწ გულისთქმებს,
უსახურ ფიქრებს,
სურს განგაშოროს
ზეციურსა არსთა განმრიგეს
და მიგაახლოს ვიდრე სიკვდიდმდე...
ნუ დაღონდები, ნუცა განკრთები,
მოუხმე ღოცვას – სულიერ მახვილს,
დაეგე სულთქმით წინაშე უფლის,
და დაიტირე ბრალი ყოველი“.**

პოეტი ლექსად ქმნის ერისა და ქვეყნის სადიდებელს, წერს წმიდათა ისტორიებს, დავიწყების უღმობელ ტაღლებს სტაცებს მარად-სახსოვარ სახელებს.

დედა ქეთევანის კრებულში ლექსები კრიკოსანივით არის აკინძული და ვერაფერს გამოაკლებს. ისინი, ერთი შეხედვით, ერთმანეთს გვანან, მაგრამ ყველას საკუთარი სათქმელი, ფერადოვნება და არქიტექტონიკა გააჩნია.

ლექსი „უფალი მეფობს“ დავითის ფსალმუნთა ციტატების სიუხვით გამოირჩევა, სწორედ ამ ფსალმუნთა ფონზე ამბობს სათქმელს დედა ქეთევანი: „უფალი მეფობს“, „უფალი მეფობს“... რა ძალაა ამ ორ სიტყვაში... „განუძღეს ყველა, აღიხილენით თვალები ზეცად, გვრქვა უწმიდესმა მაცვლოვანს შინა: „ყურნი მიაპყართ მღუმარებას რა დიადია, რა დიადია...“ „დიადი სიხუმე“ ხომ იგივე ოქროდ შეფასებული დუმილია, რომელიც ბრძენთა იარაღია...



კომპოზიტორი ბიძინა კვერნაძე სამთავროს მონასტერში

ლექსი „საქართველო“ ამაღელვებელია, ამ ექვსსტროფიან ლექსში მთელი ერის ისტორია და ტკივილია ჩატეული, ალბათ, სწორედ ამან მისცა შთაგონება დიდ ქართველ კომპოზიტორს, ბიძინა კვერნაძეს, შეექმნა ბალადა „საქართველო“, რომელიც, როგორც სპეციალისტები ამბობენ, მისი შემოქმედების მწვერვალია. კომპოზიტორმა მისი შესრულება მსოფლიო მნიშვნელობის ქართველ მომღერალს, ლასკალაში მოღვაწე ხელოვანს, ნანა ქავთარაშვილს, ფსევდონიმით „ნანა-მირიანს“ მიანდო. ლექსი, დედა ქეთევანმა, მოციქულთასწორთა, წმიდა ნინოს და პირველი ქრისტიანი მეფე-დედოფლის, წმიდა მირიანისა და ნანას სავანეში შექმნა. მომღერალმა ამაღლებული ტრაგიზმით გამოხატა სათქმელი. გოდება ისმოდა დედა ქეთევანის ლექსში:


**„საქართველო, საქართველო...
გურჯო, ფერეიდანელო,
ტაო, ხანძთა, არტანუჯო,
სამაჩაბლო, აფხაზეთო...
უცხოეთში განთესულო,**

**განსყიდულო, განბარცულო,
ვაგლახ ჩემო საქართველოვ,
ქრისტესავით ჯვარს გაკრულო!“**

ლექსი „გაბრწყინდებოდე ივერიაო“, რომელიც უწმიდესსა და უნეტარეს ეძღვნება, შესანიშნავ კომპოზიტორს, სოსო კეჭაყმაძეს, უწმიდესმა გადასცა ამ ხუთიოდე წლის წინ. კომპოზიტორმა შექმნა ჰიმნი, რომელიც პატრიარქის შემოსვისას იგალობება. დედა ქეთევანი მთელ საქართველოს და მის ბედნიერ მომავალს უგალობს. გთავაზობთ ამ ლექსს სრული სახით:

**„ღმერთო მადალო, ყოვლად ძლიერო,
სამებავ სრულო, სამსახიერო,
მოვედ ნათელო, ქრისტეს რწმენაო,
სიყვარულო და სასოებაო.
კვართო საუფლოვ, სვეტო ცხოველო,
ანდრიას ნერგო, ნინოს ვენახო,
ჯვარო-დიდებავ მესიისაო,
ძლევის მახვილო დიდებისაო.
მთხედენ ერსა, ღვთისმშობლის ხვედრსა,
გორგასლიანთა, დავითიანთა,
მოეც მშვიდობა, მოსავთა შენთა,
მართლმორწმუნეთა ქრისტეანეთა.
გაბრწყინდებოდე ივერიაო,
განშვენდებოდე ეკლესიაო,
აღამაღლებდით რჩეულს ღმრთისაო,
იდიდებოდე მარადისაო.“**

წიგნს ასრულებს მხატვრულ-დოკუმენტური ტრაგიკული ჟანრის მცირე პოემა „შირაზის ვარდი“. ამ პოემის უცრემლოდ წაკითხვა შეუძლებელია, თუნდაც იმიტომ, რომ წმიდა ქეთევანის ისტორია ჯვარცმული საქართველოს ისტორიაა. დედა ქეთევანი მასში ზედმიწევნით ზუსტად აღწერს იმდროინდელი საქართველოს ბე დუკუდმართ ჟამს, რომელსაც ბრწყინვალე დიდმოწამე ქეთევან დედოფალი შეეწირა.



დედა ქეთევანის წიგნი „ივერთა მზეო, ქართველთა ლხენაო“, სასულიერო ჟანრის პოეზიის მნიშვნელოვანი შენაძენია.

ფილ. მეცნ. დოქტორი
შარლოტა კვანტალიანი

TKBILADMGALOBELNI

საეკლესიო სწავლებით, ანგელოზებმა ამქვეყნად შობის ღამეს იგალობეს პირველად: „და მეყსეულად იყო ანგელოზისა მის თანა სიმრავლე ერთა ცისათაჲ, აქებდეს ღმერთსა...“ (ლუკა 2, 13.); ღვთისმსახურებისას გალობა თვით უფალმა იესო ქრისტემ აკურთხა საიდუმლო სერობაზე „და გალობაჲ წართქვეს და განვიდეს მთასა მას ზეთისხილთასა“ (მათე 26, 30; მარკოზი 14, 26).

წმიდა მამათა სწავლებით, გალობა ღვთისშემეცნების საშუალებაა და არა – ესთეტიკური ტკბობისა. საეკლესიო გუნდს უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ღვთისმსახურებაში. სულიერი ცხოვრება ლოცვა-გალობით აღესრულება და გალობაც იგივე ენაა, მეტყველებაა, რომლითაც ადამიანი ღმერთს უახლოვდება, „აწ უკუე რაჲ არს? ვილოცვიდე თუ სულითა, ვილოცვიდე გონებითაცა; ვგალობდე თუ სულითა, ვგალობდე გონებითაცა...“ (1 კორ. 14, 17-19).

ქართული მართლმადიდებელი ეკლესია მუსიკალურ საგალობელთა მშობლიურ საგანძურს ფლობს, რომელიც ბიზანტიური გალობის სწავლებასაც ითვალისწინებს და მეორე მხრივ – ეროვნულ, ხალხურ ტრადიციას ეყრდნობა. წმიდა ილია მართალი წერს: „...ყოველ ერს თავისი კილო, თავისი ჰანგი აქვს... იგი უტყვი პოეზიაა, იგივე ენაა, მხოლოდ ხორცშესხმული, სიტყვით არ განსაზღვრული, სიტყვით არ გამოკვეთილი – იგი მარტო ხმაა, კვნესაა, ხარებაა, იგი ძახილია აღფრთოვანებული სულისა. ეს კვნესა, ეს ძახილი ქართველისა სულ სხვაა, სხვა ერისა სულ სხვა, როგორც სხვადასხვა ენა-მეტყველება. ქართველი როცა კვნესის, სხვარიგად, სხვა ხმით, სხვა კილოთი კვნესის, ვიდრე ფრანგი, ანუ გერმანელი; ქართველი როცა ხარობს და სიხარულს გამოთქვამს, სულ სხვა რიგია“ (წმიდა ილია მართალი „ქართული ხალხური მუსიკა“).

საგალობო სკოლის დიდი ტრადიცია

აქვს სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერს. XIX საუკუნეში მონასტრის ქალთა სასულიერო სასწავლებელში, სხვა საგნებთან ერთად ისწავლებოდა და დიდი ყურადღება ეთმობოდა უძველესი ქართული გალობის ტრადიციების აღდგენა-დაცვის საქმეს. ამასთანავე, ცნობილია, რომ სამთავროს დედათა მონასტრის სულიერი წინამძღვარი იყო ქართული გალობისათვის დამაშვრალი წმიდა ექვთიმე აღმსარებელი (კერესელიძე), რომელმაც დედათა მონასტერს, მრავალ ხელნაწერთან ერთად, ქართული გალობის სულიერი ტრადიციაც უანდერძა.

მონასტრის უხუცესი მონოზენები იკონებდნენ დედა სიდონიას (ბაქრაძე), რომელსაც „ტკბილადმგალობელს“ უწოდებდნენ. მონასტრის აწინდელი იღუმენია ქეთევანი ხშირად იხსენებს წინამორბედ მსცოვან იღუმენია ანას (აჭაიძე) გალობას



მარჯვნივ – მონოზონი „ტკბილადმგალობელი“ სიდონია ბაქრაძე. მარცხნივ – მონოზონი ევპრაქსია ჩარკვიანი

და აღნიშნავს: „ჩემს მეხსიერებას შემორჩა დედა ანას უტკბილესი, უნაზესი პირველი ხმა, რომლის მსგავსი მას შემდეგ აღარასოდეს მსმენია. იგი განუმეორებლად და სრულად გალობდა წმიდა დემეტრეს ღვთისმშობლის სადღესასწაულო საგალობელს „შენ ხარ ვენახს“. იღუმენია ანას დროს მონასტერში „ტკბილადმგალობელს“ უწოდებდნენ აგრეთვე სქემმოლო-

ზონ სიდონიას (დავითაშვილი), რომელიც თავის მოსახელე წინაპრის (დედა სიდონია (ბაქრაძე)) მსგავსად ჩინებული მგალობელი იყო. იგი სამივე ხმას ფლობდა, მაგრამ გამორჩეული ბანი ჰქონდა.



სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის მგალობელთა გუნდი

უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 1988 წელს საფუძველი ჩაეყარა მცხეთის სამთავროს მონასტრის მგალობელთა გუნდს, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ჭიათურის დედათა მონასტრის ამჟამინდელ წინამძღვარს, დედა პარასკევას (ფაჩუაშვილი). იგი სამთავროს მონასტერში ხუთი წლის მანძილზე მოღვაწეობდა და მგალობელთა გუნდის პირველი რეგენტი იყო. გუნდში გააღობდნენ: იღუმენია ქეთევანი (კოპალიანი), იღუმენია თეოდორა (მახვილაძე), იღუმენია მარიაში (მიქელაძე), იღუმენია ზოილე (ალთუნაშვილი), მონოზონი ათანასია (თვარაძე), მონოზონი სარა (ჭუმბურიძე), მონოზონი ნანა (ქუთათელაძე), მონოზონი ნინო (ჯავახიშვილი), მონოზონი თეკლა (ონიანი), სამონოზვნე თეკლა (რაზმაძე), და სხვანი.

1990 წლიდან მონასტრის მგალობელთა გუნდის რეგენტია მონოზონი ნანა (ქუთათელაძე), ხოლო მგალობელთა გუნდის წევრები არიან: იღუმენია ქეთევანი (კოპალიანი), მონოზონი ნინო (ჯულაყიძე), მონოზონი თეკლა (გველეხიანი), მო-

ნოზონი იოანა (გაჩეჩილაძე), მონოზონი სოსანა (კუპრეიშვილი), მონოზონი ნინო (სამხარაძე), მონოზონი თამარი (ასათიანი), მონოზონი ელისაბედი (პაპავა), მორჩილი მარიაში (იაკობაძე).


სამთავროს მონასტრის მგალობელთა გუნდის ქართული სამსმიანი გალობის ტრადიცია ქართლ-კახურ კილოს ეფუძნება. ამასთანავე, გუნდი სადა კილოზე ასრულებს გურულ საგალობლებსაც.

მონასტრის გუნდი, გარდა ლიტურგიკული საგალობლებისა, ასრულებს უწმიდესისა და უნეტარესის მიერ დაწერილ საგალობლებს: „წმიდაო ღმერთო,“ მიცვალებულთა კვერექი, „გიხაროდენ ფრიად შვენიერო შორის დედათა“, „მამაო ჩვენო“ და სხვა.

მონასტრის გუნდის გააღობა გამოირჩევა ლოცვითი სისადავით, სითბოთი და ქართული სიღრმისეული ტრადიციებით. გუნდის რეგენტი, მონოზონი ნანა (ქუთათელაძე) შენიშნავს: „მონასტრის გუნდს ოდითგანვე გააჩნდა ხმების განსაკუთრებული შეწყობა“.

საეკლესიო წესისამებრ, დედათა მონასტრის გუნდის თითოეული წევრი აცნობიერებს, რომ ის ღვთის წინაშე წარდგომილი მსახურებად, მისი ყურადღება მიმართულია ტექსტისა და ღვთისმსახურებისაკენ და არა მუსიკალური ეფექტისაკენ, რაც მრევლს აერთიანებს და ერთობით მსახურებისაკენ მიაქცევს.

XATWERA



ხატმწერი მონღოლნი ნანა (ქუთათელაძე)

ქართული ნაქარგობა

საეკლესიო სწავლებით, ხელსაქმე, ლოცვასთან ერთად, ქრისტიანული ცხოვრების უმთავრეს მსახურებას წარმოადგენს. წმიდა მამათა გადმოცემით, ყოველადწმიდა ღვთისმშობლის ამკვეყნური ცხოვრება უმეტესად ლოცვით და ქარგვით წარემართებოდა, რაც



ხელით ქარგვის სახელოსნო.

ხელმძღვანელი ქნი ეთერი უროტაძე ქველმოქმედ ქმარინე წიკლაურთან და მქარგველებთან.

იკონოგრაფიაშიც აისახა: ხარების კომპოზიციაში ღვთისმშობელი ხშირად საქსოვით ხელში გამოსახებოდა; ყინწვისის ფრესკაზე გამოსახული ყოფილა ყოველადწმიდა ღვთისმშობელი თითისტარით და ნართით; იგივე ეპიზოდია ამოქარგული მღვდელმსახურთა შესამოსელზეც - „საბუხარებზე“, (სიმბოლურად მაცხოვრის ხელბორკილს განასახიერებს). ერთ სამაჯურზე იქარგება ღვთისმშობელი ხელში ნართით და თითისტარით, მეორეზე კი - მთავარანგელოზი გაბრიელი ყვავილით.

წმიდა ეპისკოპოსი გაბრიელი ქადაგებებში ხშირად ეხებოდა ქრისტიანი ქალის დანიშნულება-მოვალეობას და შენიშნავდა: „ყოველსა კეთილგონიერსა ქალსა სარკედ ჰქონდეს ცხოვრება-თვისება ყოველადწმიდა ღვთისმშობელისა და მით განიხილავდეს სახესა თვისისა ცხოვრებისასა“. მსგავსადვე შეაგონებს წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი თავის სულიერ შვილს, უმდიდრეს ქალბატონს, ოლიმპიადას: „საქმიანობა შენი საქსოვ-სართავი და ღვთის სიტყვის სწავლა იყოს, ხოლო გარეშე საქმის ზრუნვა ქმარს მიანდე“. სწორედ ასეთი სულისკვეთებით აღზრდი-

ლი ქალების მიერაა შესრულებული შუა საუკუნეების საეკლესიო ნაქარგობანი, რომელსაც დღემდე აღტაცებაში მოჰყავს მნახველი და მსოფლიო მნიშვნელობის საგანძურს წარმოადგენს.

ქართული დეკორატიული-გამოყენებითი ხელოვნების უძველესი დარგებია: ფეიქრობა, დებვა, მხატვრული ქსოვა, ნაქარგობა და დაჩითვა. საქართველოში ამ დარგების განვითარების მაღალ დონეზე მიუთითებდნენ და აღტაცებაში მოდიოდნენ სხვადასხვა დროის, როგორც ქართველი (თამარ მეფის ისტორიკოსი, იოსებ თბილელი...), ასევე უცხოელი ისტორიკოსები (ჰეროდოტე, მარკო პოლო, ალექსანდრე დიუმა და სხვა). ქართველმა ოსტატებმა შეიმუშავეს და შექმნეს მეტად თავისებური ნაციონალური ხელსაქმე, რომელიც გამოირჩეოდა ფერთა ჰარმონიით, მრავალფეროვანი ტექნიკით, დახვეწილი გემოვნებით და ფანტაზიით, რასაც ჩვენამდე მოღწეული ნიმუშებიც ადასტურებენ. ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე წერს: „კავკასიის მთიელები მაღალხარისხოვნად ქსოვენ, ხატავენ, დებავენ, მცენარეულ საღებავებს იყენებენ, ხოლო კოლხური ქსელი საყოველთაოდ არის აღიარებული“.



სამთავროს მონასტრის დაფარნების ქარგვა

ძველ საქართველოში ხელსაქმის ძირითად კერებს წარმოადგენდნენ ეკლესია-მონასტრები და დიდგვაროვანთა ოჯახებში არსებული ხელსაქმის სწავლების კეთილშობილური ტრადიცია. საქართველოში ქარგვა მუდამ დიდი პოპულარობით სარგებლობდა. იგი საზოგადოების

ყველა ფენაში იყო გავრცელებული და თითქმის ყველა ოჯახს ჰყავდა მქარგველი. XIX საუკუნის საქართველოში გამოიჩინოდა სამთავროს დედათა მონასტრის სასწავლებელი, სადაც ხელსაქმეს დიდი ყურადღება ეთმობოდა. ცნობილია რომ საქართველოს სამეფო ოჯახის წევრები გულმოდგინებით ეწეოდნენ ხელსაქმეს და თავიანთ ნაღვაწს ეკლესია-მონასტრებს სწირავდნენ. ნაქარგობის გამორჩეულ ნიმუშებს ქმნიდნენ მარიამ დედოფალი (როსტომ მეფის მეუღლე), დედოფალი ანახანუმი (თეიმურაზ II-ის მეუღლე), მეფის ასული თამარი (ვახტანგ VI-ის ასული), ბატონიშვილები: თუთა (ვახტანგ I-ის დედა), გულქანი (ოტია დადიანის მეუღლე),

ჯები, თავსაბურავი, ქოშები და სხვა. იქნებოდა და ირთებოდა აგრეთვე: ფარდაგი, ხალიჩა, მაფრაშა, ხურჯინი, ყაჯრები, წინდები, პაჭიჭები და სხვა.

დღეს ხელსაქმის ქართული ტრადიციის აღდგენა-დამკვიდრება უაღრესად საშური საქმეა და იგი, გამოყენებითი ხელოვნების განვითარებასთან ერთად, ოჯახური ტრადიციების განმტკიცებასაც ემსახურება.

1983 წელს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ღოცვა-კურთხევით საქართველოში განახლდა საეკლესიო ნაქარგობის სკოლა-სახელოსნო, რომელიც საბჭოური რეჟიმის პერიოდში სრულად მიმქრალი



საბუხარები. „ხარების“ კომპოზიცია

მონოზონი ანა და სხვა. მიუხედავად ისტორიული ძნელებდობისა, ჩვენამდე მაინც მოაღწია ნაქარგობის ბრწყინვალე ნიმუშების მდიდარმა კოლექციამ, რომელიც საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო და სხვა მუზეუმებშია დაცული და ძირითადად, XVI-XX საუკუნეების ოსტატთა მიერ არის შესრულებული.

ნაქარგობის ორი მთავარი ჯგუფი განირჩევა: საეკლესიო და საერო დანიშნულების ნიმუშები. საეკლესიო დანიშნულების ნაქარგობას განეკუთვნება: ღვთისმსახურთა შესამოსელი (ომოფორი, ბისონი, ოლარი, საბუხარები, ენქერი, სარტყელი, მიტრა, სტიქარი, ფილონი) და საღვთისმსახურო ნივთები (დაფარნა, გარდამოსხნა, კრეტსაბმელი, ტრაპეზის გადასაფარებელი, სახარების სანიშნე და სხვა), ხოლო საერო დანიშნულების ნაქარგობათა რიგს განეკუთვნება: სამოსი, სარტყელი, შეიდიში, გულისპირი, ფარაგები, ყურთმა-

იყო. 1985 წელს უწმიდესისა და უნეტარესის ღვაწლით, საპატრიარქოში გაიხსნა ხალხური რეწვის განყოფილება, რომელსაც სამი უხუცესი პედაგოგი ხელმძღვანელობდა: ანა ღამბაშიძე (არქიტექტორ გივი ღამბაშიძის დედა), ნინო სვანიძე (ხელოვნების მუზეუმის ქსოვილებისა და ნაქარგობის რესტავრაციის განყოფილების მაშინდელი გამგე, რომელსაც ზაალ ბარათაშვილის შვილთაშვილისაგან შეესწავლა ქარგვის ხელოვნება) და მაკა სვანიძე, ნაქარგობის ქართული სკოლის წარმომადგენელი, მეტყველებადაკარგული მოხუცი, რომელიც უხმოდ გვიჩვენებდა და მიგვითითებდა სამუშაოს...

ივანე ჯავახიშვილის ნაშრომში „შინა მრეწველობის მასალები“ ვკითხულობთ, რომ მეცნიერს გურიაში ერთი მოხუცი ქალისათვის უკითხავს: „ბებო, აქამ კუთხეში ოქროს და ვერცხლის ძაფით არავინ ქარგავდაო?“ მოხუცს მიუგია: „კჷ, შვილო,

ეგ საქმე თავადიშვილების საქმე იყო და რევოლუციამ ისე გაწყვიტა ისინი, რომ მაგ საქმის მთხრობელიც კი არ დარჩენილაო“.

აღსანიშნავია, რომ ქართული ნაქარგობის შესწავლისას, ხელოვნებათმცოდნეები აქცენტს ძირითადად მუ ზეუმში დაცული საეკლესიო ნივთების მხატვრულ ისტორიულ ანალიზზე აკეთებდნენ, მაგრამ ლიტურგიკული კუთხით მათი შესწავლა 1988 წელს დაიწყო, თბილისში სასულიერო სემინარია-აკადემიის გახსნის შემდეგ. აკადემიაში გაიხსნა ქრისტიანული ხელოვნების და ანთროპოლოგიის ფაკულტეტები. სასწავლო საგანთა ჩამონათვაღს დაემატა საეკლესიო ნაქარგობები. ქრისტიანული ხელოვნების ფაკულტეტზე მუზეუმის მეცნიერთანამშრომლები სტუდენტებს აცნობდნენ ორიგინალებს და დღემდე ისწავლება ქარგვის ტექნოლოგიების ძველი ტრადიცია. 1994 წელს სასულიერო აკადემიაში



სამეუფეო ოღარი



ენჭერი

ხელით ქარგვის სახელოსნო გაიხსნა, სადაც იქარგება საეკლესიო დანიშნულების ნივთები. წლების მანძილზე სახელოსნოში მოიქარგა: სიონის კრეტსაბმელი, სვეტიცხოვლის დაფარნები, ბაგრატის ტაძრის დაფარნები, სამღვდლო შესამოსლები, გარდამოსხნები; სტუდენტებმა ოცზე მეტი სადიპლომო შრომა დაიცვეს ხელით ნაქარგი საეკლესიო ნივთების ლიტურგიკული დანიშნულების შესწავლის საკითხებზე. აღადგინეს სამღვდელმთავრო „ფოსტლების“ ნიმუშები, რომელთა შესახებ იოანე ბატონიშვილი „კალმასობაში“ აღნიშნავს: „გრიგოლ ღვთისმეტყველმან განაწესა ესე ფოსტალნი ჟამსა წირვისასა მსახურებისათვის მღვდელთა და მღვდელმთავართა,

მომასწავლებლად გზასა ჭეშმარიტებისასა სვლად და წმიდითა ფერხითა შესვლად საკურთხეველსა შინა უფლისასა და მსახურებად მუნ, და ესეცა არს აღრიცხული სამღვდელთა შესამოსელთა შორის... და ესრეთვე განმარტებულჰყოფენ დათრგუნვად გველთა და ღრიანკალთა...“

სასულიერო აკადემიასთან არსებული სახელოსნოს ხელმძღვანელობით, ქარგვის მრავალი სპეციალისტი აღიზარდა. ქარგვა მონასტრებშიც დაინერგა. ფერისცვალების დედათა მონასტერში დედა ნინოს (მახვილაძე) ხელმძღვანელობით მოიქარგა თბილისის წმიდა სამების საკათედრო ტაძრის გარდამოსხნა, სამღვდელმთავრო შესამოსელი, მიტრა და მრავალი სხვა სახმარი.

2009 წლის 22 აგვისტოს გაიხსნა ხელით ქარგვის სახელოსნო, რომელსაც



ოღარი

„შროშანი“ ეწოდა (ღვთისმშობელი ნართს ართავდა, როდესაც მთავარანგელოზმა გაბრიელმა შროშანით ხელში ახარა უფლის მუცლადღება). სახელოსნოსათვის ქალბატონმა მარინე წიკლაურმა საკუთარი სახლი დაგვითმო, თავისი ოჯახის საოხად და გარდაცვლილი დედის სულის მოსახსენებლად. სახელოსნოს ხელმძღვანელია ეთერი უროტაძე, ხატმწერი – ხათუნა ხარაბაძე, მომქარგველების ჯგუფის პასუხისმგებელი შემსრულებელია მაია გეთიაშვილი – იგი ქარგავს ფეშხუმის დაფარნას: „პერექელი“. დაფარნები იქარგება შინდისფერ აბრეშუმის ქსოვილზე. დაფარნაზე იქარგება „ნუ მტირ მე დედაო“ ანუ მაცხოვრის „კუბოთღება“, ღვთისმშობლის, წმიდა იოანე მოციქულის და წმიდა ესაია წინასწარმეტყველის გამოსახულებებით.

სახელოსნო სამთავროს დედათა მონასტრის სასულიერო სასწავლებლის შემდეგ პირველია, სადაც დიდგვაროვანთა ოჯახებში არსებული ქართული ტრადიციები გრძელდება.

ეთერი უროტაძე

18 ივნისი. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მოილოცა მცხეთის სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერი და მოიხილა მოციქულთასწორთა მეფე მირიანისა და ნანა დედოფლის მშენებარე საფლავების ნატურალური ზომის მაკეტი.



მისმა უწმიდესობამ დალოცა ავტორი, არქიტექტორი არჩილ მენაბდე და გამოთქვა თავისი მოსაზრებები.

საფლავის ბაღდახინის ავტორია ნიკო ზაზუნაშვილი, მოქანდაკე – შემსრულებელი ლევან ლალიაშვილი, ხოლო კონსულტანტი – ქეთევან აბაშიძე. საფლავები შესრულდება გელათის ღია მოთეთრო-მოყვითალო ფერისქვეით.

ამავე დღეს მისმა უწმიდესობამ სამთავროს



23 ივლისი. 20-25 წლის წინათ არქიმანდრიტმა გაბრიელმა (ურგებაძე) სამთავროს ტაძრის ქვედა ნაწილში, იღუმენია ქეთევანისა და დედების თანდასწრებით ქვევრში ნაკურთხი წყლითა და ღვინით სავსე ორი მომცრო ჭურჭელი ჩადგა.

ამჯერად, მიმდინარე აღდგენითი სამუშაოებისას, დედა ქეთევანის კურთხევით, გეოლოგებმა ქვევრიდან ამოიღეს ზემოთ ხსენებული ჭურჭელი. წყალსა და ქვიშაში ჩაფლული ნაკურთხი წყალისა და ღვინოც უხრწნელად შენახულიყო.



26 ივლისი. სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ღოცვა-კურთხევით, სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის სატრაპეზოს ხატავს თანამედროვე ქართული მონუმენტური მხატვრო-



დედათა მონასტრის იღუმენიას წმიდა ჭურჭლით, ძვირფასი ვარდის ზეთი გადასცა და აგრეთვე, მონასტერს ნაქარგობის დიდი ოსტატობით შესრულებული ხატი შესწირა, რომელზეც მაცხოვრის გენეალოგიაა ასახული.



ბის ოსტატი ბ-ნი ამირან გოგლიძე, რომელსაც უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მხატვართუხუცესი უწოდა და სახსოვრად გადასცა სამუშაო თეთრი კაბა და ბეჭედი ოსტატისა. ამირან გოგლიძეს მოხატული აქვს საპატრიარქოს სასტუმროს დიდი დარბაზი, ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის და ვით ალმაშენებლის ეკლესია და სხვა. ბ-ნი ამირანი ამჟამად (მონასტრის სატრაპეზოს პარალელურად) ხატავს ყოვლადწმიდა სამების საკათედრო ტაძარში მთავარანგელოზის ეკვდერს.

2 აგვისტო. სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის წინამძღვარი, იღუმენია ქეთევანი, მონასტრის სულიერი მოძღვარი არქიმანდრიტი ლაზარე და მონოზენები თბილისის ყოვლადწმიდა სამების საკათედრო ტაძარში დაესწრნენ



წირვას, რომელიც წმიდა ილია თეზბიტელის და წმიდა ილია მართლის ხსენების დღეს აღევლინა. წირვაზე მისმა უწმიდესობამ მეორე გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით დააჯილდოვა სამთავროს მონასტრის მოძღვარი, არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე).



წირვის შემდგომ, იღუმენია ქეთევანმა და სამთავროს მონასტრის დედებმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდეს-

სა და უნეტარესს ილია II-ს ანგელოზის დღე მიულოცეს. ამ დღის აღსანიშნავად გამართულ ტრაპეზს, სამღვდელოებასა და ინტელიგენციის წარმომადგენლებთან ერთად, დედა იღუმენიაც დაესწრო.

15 აგვისტო. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ საკვირაო ქადაგებაში მოწყალების სათნოებაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ „მოწყალება უდიდესი ძალაა, რომლითაც დიქრთი შენდობას



უწმიდესი და უნეტარესი ილია II სტუმრად ანა (გულიკო) ჩაფიძის კლინიკაში

გვაძლევს ჩვენი ცოდვების წილ“. მისმა უწმიდესობამ სრულიად საქართველოს სამღვდელოებასა და მორწმუნე ერს გააცნო ბრძანება, რომლითაც ეძლეოდათ ღოცვა-კურთხევა: „ყოველ კვირა დღესა და ხუთშაბათს მონინახულონ გაჭირვებულები, უძღურებასა შინა მყოფნი, პატიმრები და მათი ოჯახები, ნუგეში სცენ მათ და შეძლებისდაგვარად დაეხმარონ სურსათით, ტანსაცმლით, თუ მედიკამენტებით...“

წირვის შემდეგ უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მონინახულა კარდიოლოგიური ცენტრის ავადმყოფები; დალოცა ცენტრის მედპერსონალი და მისი ხელმძღვანელი აკადემიკოსი გულიკო ჩაფიძე.

...
აქვე უნდა აღინიშნოს კარდიოლოგიური ცენტრის მედპერსონალის დიდი ძალისხმევა და შემწეობა, რომელიც მათ მიიმე სნეულების ქამს გაუწიეს სამთავროს დედათა მონასტრის წინამძღვარს, იღუმენია ქეთევანს. მონასტერი განსაკუთრებული მადლიერებით ღოცავს და იხსენიებს ექიმ-კარდიოქირურგს ბ-ნ ზვიად ბახუტაშვილს და ანესთეზიოლოგ ქ-ნ ლია ჯანელიძეს, მედპერსონალთან ერთად.

19 აგვისტო. მაცხოვრის ფერისცვალების ბრწვინვალე დღესასწაულზე სამთავროს მონასტრის ფერისცვალების ეკლესიაში საზეიმო წირვა აღავლინა სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა შიომ (მუჯირი). წირვის შემდეგ გამართულ სადღესასწაულო ტრაპეზს დაესწრნენ მეუფე შიო, მოძღვრები და მრევლი.



პირებმა ერთობლივი ღოცვა აღავლინეს. მიტროპოლიტმა ისაია დალოცა მონასტრის დედეები, მრევლი და წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც აღნიშნა, რომ პირველია, მათის მხრივ, საქართველოში ასეთი ორგანიზებული მომლოცველთა ჯგუფის ჩამოსვლა. მან ისაუბრა კვიპროსის ეკლესიის ისტორიაზე, კვიპროს – საქართველოს ეკლესიების ურთიერთობაზე, ისტორიულ და აწინდელ შეჭირვებაზე.

მიტროპოლიტმა ისაია მონასტრის დედეებს წმიდა ხატები და სხვა საეკლესიო ნივთები უსახსოვრა, ხოლო იღუმენია ქეთევანისათვის საჩუქრად გადასცა წმიდა ირაკლიდის ხატი და ტამასოსა და ორინის სამიტროპოლიტოს და სხვა წმინდა ადგილების შესახებ ქართულ ენაზე გამოცემული ბუკლეტი.

მონასტრის დედებმა სტუმრებს გულთბილად უმასპინძლეს, გადასცეს საჩუქრები, გადაიდეს სამახსოვრო ფოტოები და დამშვიდობებისას მეუფეს ბერძნულად უგალობეს „ღირს არსი“.

20 აგვისტო. მცხეთის წმიდა ნინოს სამთავროს დედათა მონასტერს ეწვია კუნძულ კვიპროსის უძველესი მართლმადიდებელი ეკლესიის, ტამასოსა და ორინის მიტროპოლიტი ისაია, რომელსაც მიტროპოლიის სამღვდელთა და მრევლის წარმომადგენლები ახლდა. სტუმრებს შორის იყვნენ ცნობილი თანამედროვე კვიპროსელი ჰიმნოგრაფი, ბ-ნი ხარლამპე ბუსიოსი, რომელმაც თარგმნა



კუნძულ კვიპროსის მიტროპოლიტი ისაია თანმხლებ სასულიერო პირებთან

წმიდა ნინოს ცხოვრება და შეადგინა წმიდანის საცისკრო მსახურება, აგრეთვე – კიკოს მონასტრის არქიმანდრიტი ანთიმოზი, კიკოს მონასტრის საეკლესიო მუზეუმის დირექტორი და სხვანი. სტუმრებს უძღვებოდა ხონისა და სამტრედიის მიტროპოლიტი საბა (გივიბერია).

კვიპროსელმა და ქართველმა სასულიერო

7 სექტემბერი.

სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის მოძღვარმა, არქიმანდრიტმა ლაზარემ (გაგნიძე), მონასტრის გარდაცვალებულ დედათა და მოღვაწეთა სულის მოსახსენიებლად მაყვლოვანში ადასრულა წირვა.



„აქ ნახევარი საქართველო მოვა“



26 აგვისტო. არქიმანდრიტ გაბრიელის (ურგებაძე) დაბადების დღეს სამთავროს ფერისცვალების ტაძარში, მისი სულის საოხად, საღმრთო ლიტურგია აღასრულა მონასტრის მოძღვარმა, არქიმანდრიტმა ლაზარემ (გაგნიძე).

წირვის შემდეგ მამა ლაზარემ მონასტრის დედებთან ერთად პანაშვიდი გადაუხადა მრავალთა მკურნალსა და შემწეს, დეაწლმოსილ ბერს, მამა გაბრიელს.

პანაშვიდს არქიმანდრიტი გაბრიელის მრავალრიცხოვანი მრევლი და თაყვანისმცემელი დაესწრო



მონოზენის ალტჰმა

კ ი თ ხ ე ა - მ ი გ ე ბ ა



უკეთო მისწოდებ წინაშე დეობი, ტკიბავ სიშველია

და ჰმიტე სუენ ვიქლია კნაღუღებია:

კიბე: რახიავის მისწოდებ, მია, შვერდია, წიდახა

ახა მხვეწდის შეწინება და წმელია ამა კრებულა?

მეტე: მებავს განძინება სიფლახვან, ჰაქაინა მამა.

კიბე: ნებია შეხაა დანს აქნება ანგელისებნეხა ამბ სხეხა

და წეხა გუნდია მინიზინია?

მეტე: ჰე, დუთხა მალია, ჰაქაინა მამა.

წინამდებობ: ხელა რავის დენსეკეტ კილია და ხაწნული ვხე

საქმე, უკეთო ტნებავს განსწოდება კილია საქმისა.

შინია, სუდუქებია და ტკივილია განსწოდების.

კიბე: ნებხა ტანებია შენია მისწოდა წინაშე უფლია?

მეტე: ჰე, დუთხა მალია, ჰაქაინა მამა.

კიბე: დავაჟა ქაღწუღებია შეხა ვაქლია ტანებია და ხაიკიბია?

მეტე: ჰე, დუთხა მალია, ჰაქაინა მამა.

კიბე: ცხოვრება მინა შეხა ვადრე სიკვადილე მყოფი

მინსაღებია უფროსისა, და ვიქლია ქრესტე სენ მამა?

მეტე: ჰე, დუთხა მალია, ჰაქაინა მამა.

კიბე: დამენა ვიქლია ძეინსხიდეხა, აწაიებია, ბინიჭა

სენ აღმწულია მხეკუდებია, ხსუყუყუდისაჯის ცაია?

მეტე: ჰე, დუთხა მალია, ჰაქაინა მამა.

სუამაია, 14 ხალხ

სამაქის უკრესადებს ტანს

უკრას დეამსხდის სარკულსქვე ხეჭა

მასქის მადეია, აქმსხდინა დისხე (რეჩხე)

დასწელის მინაღის მამე სეკლიაოს.

სამაქის წმე მინა დეია

მასქის მადის უჭა და დეიკა

კოსტელის „მსაქის“ სეოსდინკელ

2-1 ამბ მასქის.

რედაქტორი მარიამ (მარინე) ნიაური
ხარედაქციო კოლეგია: არქიმანდრიტი დავარე (ვაგნიძე),
ილუმენია ქეთევანი (კობალიანი),
მონოზენი სოსანა (კუპრეიშვილი),
ცილა (ნანა) გაგნიძე, შარლოტა კვანტალიანი.
დამკაბადონებლები: ირინა ქიტუაშვილი,
მორჩილი მარიამი (დაკობაძე), მორჩილი თინათინი (მეტრეველი).

მიხამართი: მცხეთის სამთავროს
წმიდა ნინოს დედათა მონასტერი,
მირიან მეფის ქუჩა №3
ტელ: 893 76 31 87; 893 30 07 07
ელ.ფოსტა: samtavrosmonasteri@yahoo.com
ანგარიშის ნომერი: 158107700